დუმილისა შენისა ❖ სამეოც არიან დედოფალნი, ღ ოთხმეოც ხარ-
 ჭნი, ღ ქალწულნი რომელთა არა არს რიცხუ ❖ ერთ არს ტრედი
 ჩემი, სრული ჩემი, ერთარს დედისა მისისა, რჩეულარს მშობელისა
 იგი, ისილეს იგი ასულთა, ღ ნატრიან ძას, დედოფალთა, ღ ხარჭ-
 თა, ღ აქეს იგი ❖ ვინ არს ესე რომელი აღმოიჭვრეების ვითარცა
 ცისკარი, კეთილ ვითარცა მთოვარე, რჩეული ვითარცა მხე, საკურ-
 ველი ვითარცა განწესებული ❖ მტილთა შინა ნიგზოვანთასა შთა-
 ვედ ზილვად ნაყოფთა ღვარისა, სილვად უკეთუ აღუვაუნა ვენაგი, ღ
 აღორძინდეს ვარდნი ❖ მუნ მოგცე მუშუნი ჩემნი შენ, ვერ სცენ
 სულმან ჩემმან, დამდეგ მე ეტლსა ზედა ამინადაბისასა ❖ მოაქციე,
 მოაქციე სულამითინ, მოიქეც, მოიქეც, ღ ვისილოთ შენ შორის.

თ ა ვ ი ზ.

ჩაჲ ისილეთ სულამიტიდისა მოძავალისა ვითარცა მწეობრნი
 ბანაკთა: რაჲ განმუჭნდეს სლვანი შენნი კამლთა შინა შენთა ასუ-
 ლო ამინადაბისო, ნასხამნი გვერდისა შენისა მკსავს მანიაკთა,
 ქმნილი კელთა კელოვნისათა ❖ უჰე შენი სასუბელი გამოქმნილი,
 არა მოკლებული სიზოხისა მუცელი შენი ვითარცა ზვაჳი იუქლი-
 სსა, გარე მოცული შრომანთა შინა ❖ ორნი მუშუნი შენნი, ვითარ-
 ცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი ❖ ქედი შენი ვითარცა
 გოდოლი სვილოს ძვალისა, თვალნი შენნი ვითარცა ტბა ესებონ-
 სსა შინა, ბჰეთა შორის ასულთა მრავალთა, ცხვრი შენი ვითარცა
 სვეტი ლიბანისა, მსედველი ჰირსა დამასკოსა ❖ თავი შენი შენ ზე-
 და ვითარცა მთა კარმელი, ღ ნათსენი თავისა შენისა ვითარცა
 ჰორფირი სამეუფო, შეკრული თანა წარმავალთა შორის ❖ რაბამ
 განმუჭნდი, ღ რაბამ დასტკები საუვარელი სიტკბოთა შინა შენთა ❖
 ესე დადებულება შენი მიაძსავსე ფინიკსა, ღ მუშუნი შენნი ტევა-
 ნთა ❖ ვთქუ: აღვიდე ფინიკსა ზედა, დავიჭერნე სიმაღლე მისი ღ
 იუშენ მუშუნი შენნი ვითარცა ტევანნი ვენაგისანი, და ეოსსა ცხვრ-
 თა შენთა ვითარცა ვაშლისა ❖ ღ სასა შენი ვითარცა ღჯნო კეთი-
 ლი; სულვა ძმისა მიმართ ჩემისა სიწრფოებით, კმა არს ბაკეთა
 ჩემთა ღ კბილთა ❖ მე ძმისა ჩემისა, ღ მოქცევა მისი ჩემდამო ❖

იბ მოვედ ძმაო ჩემო განვიდეთ ავარაკსა ზედა, განვისვენოთ დაბათ
 იბ შინა ❖ აღუძმთოთ ვენაკთა შინა, ვისილოთ უკეთუ აღუვაგნა ვენაკი,
 იგ მუნი ჩემნი ❖ მანდაგორთა გამოსცეს სულნელება, ჭ კართა თანა
 ჩუწნთა ყოველნი ნიგოზთანნი ასალ მუწლთადმდე ძმაო ჩემო დაგი-
 მარხენ შენ.

თ ა ვ ი ც.

ა შინა მოგცეს შენ ძმაო ჩემო წოვანად მუძუნი დედისა ჩემისანი,
 ბ გზოვე შენ ვარე ამბორს ვიყავ შენ, ჭ მერმე არა შეურაცხ მეო მე ❖
 გ შეგიპუარ შენ, ჭ შეგიუვანო შენ სახლსა შინა დედისა ჩემისასა, ჭ
 დ საძოსა მუცლად ღებულისა ჩემისათა, მუნ მასწაო მე, ვასუ შენ
 ე ღვინისაგან სულნელითურთ შენებულისა, ჭ წელისაგან ვაშლთა ჩე-
 ვ მთა ❖ მარცხენა მისი თავსა ჩემსა ზედა, ჭ მარჯუწნა მისი მომე-
 ვ სჯოს მე ❖ გაფუცებ თქუწნ ასულნო იერუსალიმისანო ძალთა ში-
 ვ ნა ჭ ძლიერებათა ავარაკისათა, უკეთუ შესძრათ ჭ აღადგინოთ სი-
 ვ უვარული, ვიდრემდის უკეთუ ინებოს ❖ ვინ არს ესე აღმომავალი
 გ განსწევაკებული, დაფამტვიცოთ ძმისა თვისისა თვს, ვაშლსა ქუწმე
 ვ განგაღვძე შენ, მუნ ეშევ შენ დედასა შენსა, მუნ ელმო შენ თანა
 ვ მშობელსა შენსა ❖ დამდვეს მე ვითარცა ბეჭედი გუღსა ზედა შენსა,
 ვ ვითარცა ბეჭედი მკლავსა ზედა შენსა, რამეთუ ძლიერ არს ვითარცა
 ვ სიუჭედილი სიუვარუდი, ფიცხელ ვითარცა ჯოჯოსეთი შური, ფრთე
 ვ მისა ფრთე ცეცხლისა (ნაკვერცხალი ცეცხლისა) ალი მისი ❖ არ
 თ ძალუც წყალსა მრავალსა დაშრეტად სიუვარულისა, ჭ მდინარე ვერ
 თ წარღუნის მას, უკეთუ მისცეს კაცმან ყოველი მონაკები მისი სიუ-
 თ ვარულსა შინა, შეურაცხყოფით შეურაცხუოს იგი ❖ დაჲ ჩუწნი
 თ მცირე, ჭ მუძუნი არა ასხენ, რაჲ უეოთ დასა ჩუწნსა, დღესა შინა
 თ რომლისა შინა უკეთუ ითქმის ❖ უკეთუ ზღუდე არს, აღვაშენეთ
 თ მას ზედა წარსამატებელნი ვეცხლისანი, ჭ უკეთუ კარ არს, დავსწე-
 თ როთ მას ზედა ფიცარი ნამვისა ❖ მე ზღუდე, ჭ მუძუნი ჩემნი ვი-
 თ თარცა გოდოლნი, მე ვიყავ თვალთა შინა მათთა, ვითარცა მხოვ-
 თ ნელი მშუდობისა ❖ ვენაკი იყო სოლომონისა ველამონსა შინა, ჭ

მისცეს ვენაჯი თუხი მცველთა, კაცმან მოიღოს ნაყოფი მისი ათა-
 სისა ვეცხლისა ❖ ვენაჯი ჩემი წინამე ჩემსა ათასი სოლომონისა, იბ
 ჯ ორასი მცველთა ნაყოფისა მისისა ❖ ძჯდომარე მტილთა შო- იგ
 რის, ჯ მოუვასნი შეპკრძალველნი ჯმისა შენისა მასმინე მე ❖
 ივლტოდი ძმაო ჩემო, ჯ მიემსგავსე ქურციკსა, ანუ ნუკრსა ირმი- იდ
 სასა მთასა ზედა ნელსაცხებელისასა.

დასასრული წიგნთა ქება ქებათასა, აქუს თავსა შორის ჟვისსა თავი ც.

წიგნი სიბრძნისა სოლომონისა

თ ა ვ ი ა.

უეიუვარეთ ¹⁾ სიმართლე მსაჯულთა ქუჭყანისათა, ბრძნობდით ა
 უფლისათუხ სახიერებათა შინა, ჯ სიწმინდობათა შინა გულისათა
 ჭპოთ იგი ❖ ²⁾ რამეთუ ჭპობენ მას რომელნი არა განსცდიან ბ
 მას, ხოლო გამოეცხადების რომელი არა ურწმუნო ექმნების მას ❖
 რამეთუ გუღარმნილნი გონებითა განეყოფიან ღუთისაგან, ხოლო კ
 გამოცდილი ძალი ამხილებს უგუნურთა ❖ რამეთუ სულსა ბოროტ გე- ღ
 ლოვანსა შინა არა შევიდეს სიბრძნე, არცა დაემკვდროს ჯორცსა შინა
 თანა მღებსა ცოდვათასა ❖ ³⁾ რამეთუ სული წმიდა განსწავლასა ე
 განელტვის მსაჯვარისასა, ჯ განემორების გულის სიტყუსაგან უგუ-
 ნურთასა, ჯ მხილებულ იქმნეს მომავალისაგან უსამართლოსა ❖
 რამეთუ კაცთ მოუვარე არს სული სიბრძნისა, ჯ არა უბრალო ვ
 ჭყოფს მემობართა ბაგეთაგან მისთა: რამეთუ თირკმელთა მისთა
 მოწამე არს ღმერთი, ჯ გულისა მისისა გამოემძიებულცა ჭემმარ-
 ტება, ჯ ენისა მასმენელ ❖ რამეთუ სულმან უფლისამან ადავსო ზ
 ქუჭყანა, ჯ უზურისე ეოველივე მეცნიერებითა მქონებელი ჯმისა ❖ ⁴⁾ ლ
 ამისთუხ მიმთხვეველთა უსამართლოსა არავისვე დაეფარვის, ჯ არა
 თანა წარკდეს მას სასჯელთა მხილებულნი ❖ რამეთუ განსრანგა- თ
 თა შინა არა წმიდათასა გამოძიება იქმნების, ხოლო სიტყვანი მი-
 სნი სასმენელ უფლისა ეოველისა მიმართ მიიწიოს საძმხილებელსა

¹⁾ ესაია ნვ. — ²⁾ ბ მოსე დ. ბ ნესტ. იე. — ³⁾ იერემია მგ. — ⁴⁾ იერემია დ.

ი შინა უსჯულოებისა მისისა ❖ რამეთუ ყური შურის მკებელი ის-
 იბ მენს ყოველსა, და შოთი დრტუნვა არა დაჭყაროს ❖ დაიცევით
 უკუტ დრტუნვივისაგან უსარგებლოსა, და ზრახვისაგან რიდეთ ენა,
 იბ რამეთუ მითხრობა ფარული ცუდად არა გამოვალოს, სოლო ჰირი
 იგ მტყუვარი მოჭკლვენ სულსა ❖ ¹⁾ ნუ ეშურებინ სიკუდილად მაცთუ-
 იდ ქმნა, არცა იხარებნ წარწემედასა ცხოველთასა ❖ რამეთუ შექმნა
 იე ჯოჯოხეთისა სუფევა ქუტყანასა ზედა ❖ რამეთუ სიძარტლე უკუ-
 დავ არს, (ხოლო უსამართლოება შესწევს სიკუდილსა,) ხოლო არა
 წმიდათა კლითა და სიტუჯთა მოუწოდს მას, მოუვასად შესცვლიდენ
 მას, განჭკოდეს და აღთქმა და დადვენს მის მიძარტ, რამეთუ ღირს
 არიან მისა წინაწილ უოფად.

თ ა ვ ი ბ.

ა რამეთუ თქვეს თავსა შორის თვისა განზრახვა არა ძარტალ,
 ბ მცირე არს და საჭმუნავ ცხოვრება ჩუტნი, და არა არს კურნება აღს-
 ბ რულებასა შინა კაცისასა, და არა არს ცნობა განხწონილი ჯოჯოხე-
 ბ თისაგან ❖ რამეთუ თვთ შემთხვეულ ვმობილვართ, და შემდგომად
 ამათსა ვიქმნეთ ვითარცა არა მყოფნი, ვინათგან კუამლი არს სამძ-
 ბ ნველი ცხვრსა შინა ჩუტნთა, და სიტუჯა ნაბერწკალი მერისა გუ-
 ბ ლისა ჩუტნისასა ❖ რომლისა დაშრტის ნაცარ იქმნეს გორცი, და
 დ სული ჩუტნი განიფინოს ვითარცა რბილი ჭყერი ❖ და სახელი ჩუტ-
 ე ნი დავიწუებულ იქმნეს ჟამსა შინა, და არაჲინ მოიკსენენს საქმენი
 ე ჩუტნნი, და წარკდეს ცხოვრება ჩუტნი ვითარცა კუალი ღრუბლისა,
 ე და ვითარცა ნისლი განჭქარდეს განდევნილი შარავანდისაგან მზისა-
 ე თა, და მკურვალეებისაგან მისისა დამძიმებული ❖ ²⁾ რამეთუ აჩრდილ
 ე წარმავალ არს ჟამი ჩუტნი და არა არს მოქცევა აღსასრულისა ჩუტ-
 ე ნისა: რამეთუ დაბეჭდილ არს, და არაჲინ მოიქცეს ❖ ³⁾ მოვედით

¹⁾ ბ მოსე დ. — ²⁾ ეფკაია იტ. — ³⁾ ა ნეშტ. კთ. — ⁴⁾ ესაია ნვ. ა კორ. იე.

უკუ^სმ^ს დავიტყვებნეთ მდგომარეთა ამათ კეთილთა, და გავასაყმაროთ
 მოსაგებელი, ვითარცა სიჭაბუკისა მოსწრაფება და ღვინთა მრავალ^ს
 სასუიდელისა და მირონისა კეთილ სულენელითა აღვივსნეთ, რათამცა^ს
 არა წარგუჯდეს ჩუ^სნი ევაგილი ჟამოვანი და გვრგვინოსან ვიქმნეთ^ს
 ვარდითა ნარცისითა ჰირველ ვიდრე დაჭნობადმდე და ნურცა ერთი^ს
 ჩუ^სნიგანი უნაწილო რათა იქმნების ჩუ^სნისა შეტკობისა, არავი-
 სცა ჩუ^სნიგან განვარდნილ რათა იეოს შეტკობისა ჩუ^სნისა, ევე-
 ლგან დაუტეოთ ნიში სისარულისა, რამეთუ ესე წილი ჩუ^სნი და
 ნაწილი ესე და ვმძლავრობდეთ გლახაკსა მართალსა, და ნუ შევიწ-
 უალებთ ქურთვისა, ნურცა მოხუცებულისა. გურცხვენის მკცოვნისა
 მრავალ წლოვანთა და სოლო რათა იეოს ჩუ^სნიდა ძალ სჯული სი-
 მართლისა, რამეთუ უძღურსა ურგებება ეპოების და სოლო უმსი-
 რეთ საცთურითა მართალსა, რამეთუ შეუტკობელარს ჩუ^სნიდა, და
 წინა აღუდგების საქმეთა ჩუ^სნითა, და გვაუვიდრებენ ჩუ^სნი ცოდვანი
 შჯულისანი, და ბოროტ გვისიტყვავს ჩუ^სნი ცოდვა სწავლულებისა
 ჩუ^სნისა და ¹⁾ მოკუთხრობს თავისა თვისისა ქონებად ღუთისა, და
 მედ ღუთისა თავსა თვისსა სახელსდებს, ²⁾ იქმნა ჩუ^სნიდა მხილებასა
 ზედა გონებათა ჩუ^სნითა და ³⁾ მძიმე არს ჩუ^სნიდა და სილულისა მძ-
 მართ, რამეთუ არა მზგავს არს სხვათა ცხოვრება მისი, და შეცვალე-
 ბულ არიან სლვანი მისნი და ევედრებასა შინა შევსცვლიდით მას,
 და განემორების გზათგან ჩუ^სნითა ვითარცა არა წმიდათაგან, ნატ-
 რის უკანასკნელსა მართალთასა, და იდიდების მამისა ქონებად თ-
 სად ღუთისა და ვისილოთ უკეთუ სიტყვანი მისნი ჭეშმარიტ, და
 გამოვიცადოთ რომელი იქმნებიან მისი და ⁴⁾ რამეთუ უკეთუ არს ჭე-
 შმარიტი მე ღუთისა, შეეწიოს მას, და იცნას იგი კელისაგან წინა
 აღმდგომთასა და ვინებითა და ტანჯვითა გამოვიძიოთ იგი, რათა
 ვსცნათ სიმდაბლე მისი, და გამოვიცადოთ უმანკოება მისი და სი-
 კუდილისა უშვერებითა დავსაჯოთ იგი, რამეთუ იეოს მისა მისედვა
 სიტყვათაგან მისთა და ესე განიზრახეს, და შესცთეს, რამეთუ დაბ-
 რმო იგინი უკეთურებამან მათმან და და არა სცნობდეს საიდუმლოთა

¹⁾ მათე კვ. — ²⁾ იოანე ვ. — ³⁾ ესაია ნგ. — ⁴⁾ ფსალ. კვ. მათე კვ.

კბ ღუთისათა, არცა ესვიდენ სასუადელსა ღირსებისასა, არცა უსაჯეს
 ნაწილნი სულთა უბიწოთასა ❖ ¹⁾ რამეთუ ღმერთმან შექმნა კაცი
 უბრწუნელებასა შინა, ზე ხატად მსგავსებისა შინა თვისისა ქმნა
 კბ იგი ❖ ²⁾ რამეთუ შურითა ეშმაკისათა სიკუჭდილი შემოჰჭდა სოფელ-
 სა შინა, ხოლო განსცდიან მას, (სიკუჭდილი) რომელიცა ნაწილი-
 სა მისისაგან არიან.

თ ა ვ ი ზ.

ს ³⁾ ვართალთა სულნი ჯელთა შინა ღუთისათა, ზე არა შეეხოს
 ბ მათ ტანჯვა ❖ ⁴⁾ საგონებელ იქმნეს თვალთა შინა უგუნურთასა მკუ-
 გ ღრად, ზე შერაცხა ბოროტად განსლვა მათი ❖ ზე რომელი ჩუწნგან
 დ განსლვა შემუსრვისა: ხოლო იგინი არიან მძუღობასა შინა ❖ ზე
 ე მათ უკუდავებით სავსე არს ❖ ზე მცირეთლა თუ ისწავნეს, მდიღრად
 ვ ქუჭლეოფილ იუჟნენ, ⁵⁾ რამეთუ ღმერთმან გამოსცადნა იგინი, ზე
 ზ ზოვნა იგინი ღირსად თავისა თვისისა ❖ ⁶⁾ ვითარცა ოქრო ბრძმედ-
 ზ შინა გამოცადნა იგინი, ზე ვითარცა ყოველი ნაყოფი მსხუტრ-
 ზ ზლთა შეიწყენარა იგინი ❖ ⁷⁾ ზე ჟამსა შინა მოხედვისა მათისასა გა-
 ზ მობრწყინდენ, ზე ვითარცა ნაბერწკალი ლერწამსა შინა რბილ-
 ზ დიან ❖ ⁸⁾ შჯიდენ წარმართნი ზე დანიჰირიან ერნი, ზე სუფუვდეს მათ
 თ შინა უფალი უგუნისამდე ❖ რომელი ესვიდენ მას გულის ხმა ჰქონ
 ზ ჰეშმარტი, რამეთუ მორწმუნენი სიყვარულისა შინა ეგნენ მისსა.
 ი ხოლო მადლი ზე წყალობა ღირსთა მისთა, ზე მისედვა მისი რჩეუ-
 ი ლთა მისთა ❖ ხოლო არა წმიდანი ვითარცა განიზრახეს მიიღონ
 ი შერისხვა, რომელთა არა სწირდათ მართლისათვის, ზე უფლისაგან
 ი განემორჩნეს ❖ რამეთუ სიბრძნე ზე სწავლა რომელმან შეურაცხუოს,
 ი უბადრუკება ზე უქმი სასოება მათი, ზე შრომანი უნაყოფონი, ზე
 ი უწესურ არს საქმენი მათნი ❖ ცოლნი მათნი უგუნურნი არიან, ზე
 ი ბენი მათნი ბოროტნი, წუეულ ნამობნი მათნი ❖ რამეთუ ⁹⁾ სანატ-

¹⁾ ა მოსე ა.—²⁾ ა. მოსე გ.—³⁾ ე. მოსე დგ.—⁴⁾ ჰევ. ე.—⁵⁾ ე. მო-
 სე გ.—⁶⁾ ზირაჟ ბ.—⁷⁾ დანიელ იბ. მათე ივ.—⁸⁾ მათე ით. ა კორ. ე.—⁹⁾
 ესაია ნდ. ლექს კბ. გად. დ.

რელარს ბერწობა შეუგინებელი, რომელმან არა სცნო საწოლი ცოდვასა შინა, აქუნდეს ნაყოფი მიხედვასა შინა სულისასა ❖ და საჭურისი რომელმან არა ქმნა გელითა თვსითა უსჯულოება, არცა განიზრასა უფაღსა სედა ბოროტი, რამეთუ მიეცეს მას სარწმუნოებისა ძადლი რჩეული, და წილი ტაძარსა შინა უფლისასა უსათნოესი ❖ რამეთუ კეთილთა შრომათა, ნაყოფი კეთილ დიდებულ, და დაუცემელი ძირი გულის სმის ყოფისა ❖ ხოლო ძულნი მემრუშენი უსრულ იქმნეს, და უსჯულოსაგან საწოლისა თესლი უჩინო იქმნეს ❖ უკეთუძცა დღეგრძელ იქმნეს, არა რაიფე შეირაცხნეს, და უპატო უკანასკნელსა სედა სიბერე მათი ❖ ხოლო უკეთუ მსწრაფლ აღესრულნენ, არა აქუნ სასოება, არცა დღესა შინა სასჯელისასა ნუკეპინისცემულ ❖ რამეთუ ნათესავისა უსამართლოსა უკეთურებისა აღსასრული.

თ ა ვ ი დ.

შეჯობეს არს უძულოება კეთილ მოღვაწეობით, რამეთუ უკუდავება არს ვსენებასა შინა მისსა, რამეთუ ღმრთისა მიერცა იცნობები და კაცთაგანცა ❖ ხოლო მყოფი ებადვიან მას და სურინ განსლვად, და საუკუნესა შინა გვრკვინოსანსა ჰატივცემენ, შეუგინებელსა მოღვაწეთა სძლევეს ვრიენენ ❖ ხოლო მრავალ ნაყოფიერება არა წმიდათა სიმრავლესა არა შეეცევენის, და მრუშებათა ნერგმან არა განიბას ძირი სიღრმესა შინა, არცა დაადგრეს ძლიერად ❖ უკეთუ შტონიცა ჟამსა შინა აღუვავილონ, არა ძლიერ არს, სედა მოსულისა ქარისაგან შეირვიოს, და სასტიკისაგან ქარისა აღმოიფსურას ❖ შეიმურსნეს რტონი აღსრულებულნი, და ნაყოფი მათი უშვერ კბილთ მომჭრელ ჭამადსა შინა, და არა რაჲდ საჲმარ ❖ რამეთუ უსჯულოთაგან ძილთა მეთა შვილნი შობილნი ძოწამე არიან სიბოროტისა გამომიებასა შინა მშობელთა მათთა ❖ ხოლო მართალი უკეთუ მიიწიოს აღსასრულად, განსწმენებასა შინა იყოს ❖ რამეთუ სიბერისა ჰატიოსნება არა მრავალ წელ, არცა რიცხვ წელთა აღირიცხვს ❖ ხოლო მცტოვნება არს სიბრძნე კაცთა, და ასაკი სიბერისა

ი ცხოვრება უბიწო ❖ ¹⁾ სათნო ღმთისა იყო, შეეგარებულ იქმნა: ჰ
 ია ცხოვრებოდნა შორის ცოდვილთა კარდაცვალებულ იქმნა ❖ წარ-
 იბ ტაცებულ იქმნა, რათა არა უკეთურებამან ცვალოს გულის ხმის
 იგ ეოფა მისი, ანუ საკრებამან აცთუნოს სული მისი ❖ რამეთუ შური
 იდ სიხენებისა დააბნელებს კეთილსა, ჰ გურიობმან გულის თქმისამან
 იე ცვალის კონება უმანკოთა ❖ აღესრულნეს მცირედ აღავსნა წელნი
 ივ გრძელნი ❖ რამეთუ სათნო იყო უფლისა სული მისი, ამისთვის
 იზ ისწრაფა სამუალისაგან უკეთურებისა ❖ ხოლო ერთა იხილეს ჰ
 იწ არა გულის ჯმა უჭლს, არცა დაიდვენ კონებასა შინა ესე ვითარნი,
 ით რამეთუ მადლი ჰ წებლობა ღირსთა შინა მისთა, ჰ მისედვა მისი
 ივ რჩეულთა შინა მისთა ❖ ხოლო უსაჯოს მართალმან მოკუდავსა
 იზ ცხოვრებულთა არა წმიდათა, ჰ სიჭაბუკესა აღესრულა მოსწრაფედ
 იწ წელ მრავლობისა სიბერე უსამართლოსა ❖ რამეთუ იხილოს აღ-
 ით სასრული ბრძნისა, ჰ არა გულის ჯმა უონ რაჲ კანიწრასა მისთვის,
 ივ ჰ რასა შინა განამტკიცა იგი უფალმან ❖ იხილონ ჰ შეურაცხ უონ
 ივ იგი, ხოლო უფალი ეცინოდეს მათ ❖ ჰ იქმენ შემდგომად ამისა
 ივ დასაცემელ უპატოდ, ჰ საგინებელ მკუდართათანა უკუნისამდე, რა-
 ივ მეთუ შთაფარნეს იგინი უგმონი ჰირდადმა, ჰ შეარყიოს იგინი სა-
 ივ ფუძველთაგან, ჰ ვიდრე უგანასკნელამდე განკმენ, ჰ იუწენს საღმო-
 ივ ბასა შინა, ჰ საკსენებელი მათი წარწემდეს ❖ მოვიდენ გულის სი-
 ივ ტეჭათა შინა თვისთა ცოდვათა მოძიშნი, ჰ ამხილოს მათ წინა აღ-
 ივ მდგომთა უსჯულოება მათი.

თ ა ვ ი ე.

ა **ე**შინ დადვენ კადნიერებათა შინა მრავალსა მართალნი წინა-
 ბ შე ჰირთა მაჭირვეებლთა მისთა, ჰ შეურაცხის მეოფელთა საღმო-
 ბ ბათა მისთა ❖ მხილველნი შემწუნდენ შიშითა მძიმითა, ჰ გან-
 გ ცუფრდენ დიდებულისათვის ცხოვრებისა ❖ ჰ თქნან თავსა შორის
 ივ თვისსა შევინანეთ, ჰ შეჭირვებასა შინა სულსა სულით ითქმიდენ,
 ივ ესე იყო რომელიცა გუბაქუნდა ოდესმე საცინელ, ჰ იგავად უჭლდ-
 ივ რებისა ❖ უკულის კმოდ ცხოვრება მისი შევრაცხეთ ცოფად, ჰ

¹⁾ ა მოსე ე. ზირაქ მდ. ებრ. აა.

აღსასრული მისი უნატიოდ ❖ ვითარ შერაცსა მეთა შორის ღუთი-
 სათა, ღ წმიდათა შორის ნაწილი მისი არს ❖ უკუტ შესვცოით
 გზისაგან ჭეშმარიტებისა, ღ სიძარტლისა ნათელი არა აღმოკვბრ-
 წეინდა ჩუტნ, ღ მსე არა აღმოკველვარდა ჩუტნ ❖ უსჯულოებითა
 აღვსენით გზანი ღ წარსაწედეღლითა, ღ განვღეთ უდაბნოთა შინა
 უვალთა, სოლო გსა უფლისა არა ვსცანით ❖ რაჲ სარკებელ
 გვეო ჩუტნ ამხარტავანება, ღ სიძდიდრე დიდებითა რაჲ მოკუტტკო
 ჩუტნ ❖ წარგდეს ყოველნი იგინი ვითარცა აჩრდილნი, ღ ვითარ-
 ცა ამბავი მსრბოლი ❖ ვითარცა ნავი განმავალი წელსა მღელვა-
 რესა, რომლისა განსლვასა არა არს კუალი ზოვნილად, არცა გზი-
 სა სლვისა მისისა ღელვასა შინა ❖ ანუ ვითარცა ფრინველნი
 მფრინავი ჭავრსა ზედა, არცა ერთი იპოების სასწაული გზისა, სო-
 ლო წელულება შემამრწუნებელი გუტმული სულთა მსუბუქი, ღ
 განმკუტთელი ძალითა მგრკუნავლითა აღმრფითა ფრთეთათა ფრი-
 ნვენ ღ შემდგომად ამისა არცა ერთი ნიში იპოების განსლვასა მას
 შინა ❖ ანუ ვითარცა ისრითა ტეორცებულითა სომიერსა ზედა აღ-
 გილისა განკუტთა ჭავრისა მევესეულად თვთ თავით თვსით შეიერ-
 თების, რამეთუ არა იცნობების განსავალი მისი ❖ ეგრეთ ჩუტნცა
 შობილნი მოვაკლდით: ღ კეთილ მოქმედნი უკუტ არცა ერთისა ნი-
 შისა ძალკვც ჩუტნებად, სოლო უკეთურებასა შინა ჩუტნსა მოვა-
 კლდით ❖ რამეთუ სასოება არა წმიდათა, ვითარცა მტუტრი ქარი-
 საგან მობერული, ღ ვითარცა ქაფი თრთვლისა გრიგალისაგან
 განიდევნების, ღ ვითარცა კუამლი ქარისაგან განითხევის, ღ ვი-
 თარცა სასსენებელი მწირისა ერთსა დღესა წარგდა ❖ სოლო
 მართალი უკუნისამდე ცხონდეს, ღ უფლისა მიერ სასყიდელი
 მათი, ღ ზრუნვა მათი ძაღლისათანა ❖ ამისთვს მოიღონ მეფო-
 ბა მუტნიერებისა, ღ მარავანდელი სიკეთისა კელისაგან უფლისა
 რამეთუ მარჯუტნითა დაიფარნეს იგინი, ღ მკლავითა თვსითა შეე-
 წიოს მათ ❖ მოიღოს ყოვლად საჭურველი შურისა თვსისა, ღ შე-
 ჭურნეს ქმნულნი ადგილთა შინა მტერთა ❖ ღ შეიმოსოს ჯაჭვი
 სიძარტლესა შინა, ღ დაადვას ჩაფსუტი, სასჯელისა არა მლიქნე-

ე
 ვ
 ზ
 ს
 ტ
 თ
 ი
 ია
 იბ
 იგ
 იდ
 იე
 ივ
 იზ
 იტ

ით ლობისა ❖ მოიღოს ფაზრი უძლეველი ღირსებისა, სოლო აღლუ-
 კ სოს თუალ უხვევი ❖ ღ რისსუბა საჭურველსა შინა სოლო ბრძო-
 კა დის მას თანა სოფლისა უკუნურთა ზედა ❖ ვიდოდინ მმართვე-
 კბ ლად ისარნი ელვათან, ღ ღრუბელთაგან ვითარცა კეთილითა მო-
 კბ მკრუბლებითა მშუღლისათა ზომიერებასა ზედა სრბოდენ ❖ ღ
 კბ კლდისაგან ხატეორცისა გულის წერომითა სავსე დაეცემოდინ სე-
 კბ ტეუანი, ღ კსნიდეს მათ ზედა წვალი ზღვსა, სოლო მდინარენი
 კბ წარღუნიდენ მეისად ❖ ღ წინა აღუდგენ მათ სული ძლიერებისა,
 კბ ღ ვითარცა აღმურძან განაქარუნეს იგინი ❖ ღ მოაოკროს ეო-
 ველი ქუჭუნა უსჯულოებამან ღ ძვრის საქმემან დაამხუნეს საყდარ-
 ნი ძლიერთანი.

თ ა ვ ი ვ

ს ოსმინეთ უკუჭ მეფენო ღ გულის ვმა ეავთ, ღ ისწავეთ მსა-
 ბ ჯუღთა კიდეთა ქუჭუნისათა ❖ უურად იდეთ რომელთა გიუჭარს
 ბ სიმრავლენი ღ იამპარტავნეთ ერთათუხ თესლებითა ❖ 1) რამეთუ
 ბ უფლისაგან მოცემულ არს თქუჭუნდა სიმტკიცე, ღ ძლიერება მალ-
 ბ ლისაგან, რომელი გამოიკითხავს საქმეთა თქუჭუნთა, ღ გულის სი-
 ბ ტეუბთა გამოიძიებს ❖ რამეთუ მსასურნი იეავნით სუფევისა მისი-
 ბ სა, ღ არა საჯეთ მართლიად, არცა დაიმარსეთ სჯული, არცა ნე-
 ბ ბისაებრ ღუთისა ხვდოდით ❖ ღ სამიძრად მეფესეულად გამოგიც-
 ბ ხადნეს თქუჭუნ, რამეთუ სასჯელი უუფიცესეს გარდამატებულთა იქმ-
 ბ ნებიან ❖ რამეთუ მცირე ღ ღირს არს წვალობისა, სოლო ძლიე-
 ბ რი ძლიერისა გამოძიებულ იუენენ ❖ რამეთუ არა რიდებს ჰირსა
 ბ უოველთა მეუფე, არცა ჭრცხუჭუნის დაბალთა 2) რამეთუ მცირე ღ
 ბ დიდი ამან შეჭქმნა, სოლო მსგავსად განიზრახავს ეოველთათუხ ❖
 ბ სოლო ძლიერთა ძლიერი წარმოუდგების გამოძიება ❖ თქუჭუნდა
 ბ მომართ უკუჭ ❖ ძლიერთ სიტეუანი ჩემნი, რათა ისწავთ სიბრძ-
 ბ ნე, ღ არა დაეცეთ ❖ რამეთუ რომელმან დაიცივას ღირსებით ღირ-
 ბ სება ღირს იქმნეს, სოლო მქადაგებელნი ამისნი ჭპობენ მიკება-

1) რომ. იგ. ა ზეტ. ი. ტიტე. გ. ზირაქ იფ.—2) კ მოსე ი. ბ ნესტ. კთ. იობ ღღ. ზირაქ ლე. რომ. ბ. გალ. ბ. ეფეს. ვ. კოლას. გ. საქმე ი. ა ზეტ. ა.

სა ❖ გული ვითქმიდეთ უკუ^ლ სიტყუასა ჩემსა, ვიუჭარდენ **ბ** ვა- ია
 ნისწავლეთ ❖ ბრწყინვავლე **ბ** დაუჭკნობელ არს სიბრძნე, **ბ** აწულ იბ
 იხილავების მოყვარეთაგან მისთა, **ბ** ეპოების მეძიებელთა მისთა ❖ იგიდ
 წინა უძღვს მოსურნეთა წინა ცნობად ❖ რომელიმან აღიმსთვოს
 მისდა მიმართ, არა დაშურეს, რამეთუ რომელი თანა ზის ჰპოებს
 ბჭეთათანა თვსთა ❖ რამეთუ რომელი განისრანსჯდეს მისთვს, კო- იე
 ნიერება არს სრული: **ბ** რომელი იღუპებდეს მისთვს, ადრე უსრუ-
 ნველ იქმნას ❖ რამეთუ ღირსთა მისთა თვთ მიმოვალს **ბ** ეძიებს, ივ
ბ ალაგთა სედა ეჩუ^ლნების მათ კეთილ შესაწინარებელად, **ბ** ყო-
 ველთა შინა წინა სედვისა შეემთხვევის მათ ❖ რამეთუ დასაბამი იზ
 მისი უჭემძარიტესი სწავლისა სურვილი ❖ სოლო ზრუნვა სწავ- იწ
 ლისა სიუჭარული, სოლო უეჭარს მცველი შჯულისა მას ❖ სო- ით
 ლო დაცვა შჯულისა განმტკიცება არს უსრწნელებისა, სოლო უს-
 რწნელება ჰყოფს მასლობელ ყოფად ღუთისა ❖ გულის თქმა უკუ^ლ კ
 სიბრძნისა მიიუჭანებს სუფევისა მიმართ საუკუნოსა ❖ ¹⁾ უკეთუ კა
 უკუ^ლ დაიტკებნით საუდარნი **ბ** სკიპტრა, **ჟ** მძლავრო ერთანო,
 ზატყე ეცთ სიბრძნესა, რაჲ უკუ^ლ სუფევდეთ ❖ სოლო რაჲ არს სიბ- კბ
 რძნე, **ბ** ვითარ იქმნა ❖ მიგითხრა, **ბ** არა დაფარო თქუ^ლნგან კტ
 საიდუმლო, არამედ დასაბამითგან შობისა გამოვიკუ^ლლიო ❖ **ბ** დაფ- კდ
 დუა ნათელსა სედა მეცნიერება მისი, **ბ** არა გარდავსდე ჰემძარი-
 ტებასა ❖ არცა შურითა დადნობილისა თანა მოვკ საურობდე, რა- კმ
 მეთუ ესე არა ესიაროს სიბრძნესა ❖ სოლო სიმრავლე ბრძენთა კვ
 ცხოვრება არს სოფლისა, **ბ** მეფე ბრძენი სიმტკიცე ერთა ❖ ამის- კს
 თვს მიიღეთ სწავლა სიტყუათა ებრ ჩემთა, **ბ** სარგებელ გეუოს
 თქუ^ლნ.

თ ა ვ ი ზ.

²⁾ ვითარ უკუ^ლ მეცა კაცი მოკუდავი, მსგავს ყოველთა, **ბ** მი- ა
 წის მძობელისა მიხესთა ზირველ მენებულისა ❖ **ბ** მუცელსა შინა ბ
 დედისასა გამოვისატე ვორცი მეთესა შინა თვ^ლთა ჟამისა, სისრქე
 სისხლთა შინა თესლისაგან მამა-კაცისა **ბ** დატკობისა მილისათა

¹⁾ ლუკ. იზ. ბ მეფ. იდ. ვ მეფ. გ.—²⁾ იოზ ს.

გ შესრულისათა ❖ დ მე შობა მოვიღე სასოგადო ჭაერისა, დ მსგავს
 ვნებულისა ქრწენასსა, დავეცი ზირველისა ვმისა მსგავსად ეოველთა
 დ განუტევე ტირილი ❖ დ მწერთა აღჯსარდე, დ დედითურთ თანა სურ-
 ე ვილითა ❖ რამეთუ არცა ერთსა მეფესა სხუასა აქენდა შობისა დასაბა-
 ვ მი ❖ რამეთუ ¹⁾ ერთი არს შემოსლვა ეოველთა ცხოვრებასა შინა,
 სოლო მზგავსი განსლვაცა ❖ ამისთჳს ვევედრე, დ მომცა მე მე-
 ც ცნაერება, მოუწოდე დ მოვიდა ჩემ ზედა სული სიბრძნისა ❖ წინა
 ვსაჯე მისი უფროს სკიპტრათა დ საუღართა, დ სიძლიდრე არა რა-
 თ ივე შევსცვალე თანასწორ შენდამო ❖ ²⁾ არცა ვამსგავსე იგი ქვასა
 უფასოსა, რამეთუ ეოველივე ოქრო წინაშე მისსა ქჳშა უმცირე, დ
 ი ვითარცა უეე შეირაცხოს წინაშე მისსა ვეცხლი ❖ უფროსდა სო-
 ცოცხლისა დ მჯწნიერებისა შევიუვარე იგი, დ წინა გამოვირჩიე იგი
 ადგილ ნათლისა ქონებად, რამეთუ განუბნეველ არს ეღვარება მისი ❖
 ია სოლო ³⁾ მოვიდა ჩემდა კეთილნი ეოველნი ერთბაშად მისთანა, დ
 იბ ურიცხუნი სიძლიდრე კელსა შინა მისსა ❖ დ ვისარბედი ეოველთა-
 თჳს, რამეთუ მით ჭფლობს სიბრძნე, სოლო ვერა ვსცან იგი მშო-
 იგ ბელისა ეოფად ამათთა ❖ უსაკველად ვისწავე, უშურველად მი-
 იდ ვსცემ, დ სიძლიდრესა მისსა არა დავჭფარავ ❖ რამეთუ მოუკლებელი
 არს საუნჯე კაცთა, რომელიცა გასაკმრებული ღუთისა მიძართ წა-
 რიგსავენეს თანა მეკობრად, სწავლისაგან ნიჭითა დადგინებულთა ❖
 იე სოლო მომცა მე ღმერთბან სიტყვად მეცნაერებისა ებრ, დ გონებად
 ღირსებისა მონიჭებულთათჳს, რამეთუ იგი სიბრძნისადა წინა
 ივ მძღვარ არს, დ ბრძენთა განმძართეველ ❖ რამეთუ კელსა შინა მი-
 ისსა ჩუწნცა დ სიტყვანნიცა ჩუწნნი, ეოველივე მეცნაერება, დ სა-
 იბ ქმეთა კელოვანება ❖ რამეთუ ამან მომცა მე მეოფთა თჳსი მეცნო-
 ბა უტეუველად, ცნობად სოფლისა დგომისა დ მოქმედება ნივთთა ❖
 იც დასაბამი დ აღსასრული დ საშუალი ჟამითა მოქცევათა შეცვალეა,
 ით დ ცვალეებანი ჟამთა ❖ წელთა სიმკრკველე დ ვარსკვლავთა განი-
 კ სხდომანი ❖ ჰუნებანი ცხოველთანი, დ რისხვანი მკეცთა, ქართ-
 მძღვარება, დ გულის სიტყვანი კაცთანი, მრავალ ფეროვან ნერკთა,

¹⁾ იობ ა. ა ტომ. ვ. — ²⁾ იობ ბ. ივავი ც. — ³⁾ გ მეფ. გ.

ღ ძალნი ძლიერთანი ❖ ღ რაოდენსი არიან დაფარულ ღ გამოცხადებულ ვსცან: რამეთუ ვოველთა ველოვანმან მასწავა მე სიბრძნე ❖
 რამეთუ არს მას შინა სული მეცნიერებისა წმიდა, მსოლოდ შობილი მრავალ წილნი წუელილი, კეთილ მოძრავი, ნათელი შეუგინებელი, ბრწეინვალე უწეინარი, კეთილის მოყვარე, მკუჭთრ, დაუბრკოლებელი, ქუჭლის მოქმედი ❖ კაცთ მოყვარე, უწეებულ, ძლიერი, ესრუნველ, ვოვლად ძლიერი, ვოველთა მსედველი, ღ მორის ვოველთა გამღველი სულთა გონიერთა წმიდთა, უუწუელილთა ❖ რამეთუ ვოველთა მოძრავთა უმოძრავესი არს სიბრძნე, სოლო მისწუდების ღ განვლის შორის ღ იტვეს ვოველსავე თვისისა სიწმინდისათჳს ❖ რამეთუ აღმურ არს ძალნი ღუთისანი, ღ გარდმოთხეული ვოვლის მწერობელისა დიდება წმიდა, ამისთჳს არს რაჲვე შეგინებული მის ზედა დაეცეს ❖ რამეთუ ბრწეინვალეა არს ნათლისა საუკუნოსა, ღ სარკე არს შეუბლაველი ღუთისა მოქმედება, ღ სატი სასიერებისა მისისა ❖ სოლო ერთი მეოფი ვოვლისა კაცისა შემძლებელი, ღ რომელი დაადგრების თავსა შინა ვოველსა განაანსლებს: ღ ნათესავთა ებრ სულსა შინა ღირსთა წარვდების, მეგობართა ღუთისათა ღ წინასწარ-მეტყუჭლთა განმხადებს ❖ რამეთუ არს რაივე შეივაროს ღმერთმან, თჳნიერ მისა რომელი სიბრძნისა თანა ეგოს ❖ რამეთუ არს ესე კეთილ მოქმედებ მისისა, ღ უუროს ვოველთა ვარსკვლავთა მსდომარეთა, ნათლად შესწორებული იპოვების ჰირველი ❖ რამეთუ ამას შეიწენარებს ღამე, სოლო სიბრძნესა ვერა სძლევს ბოროტი.

თ ა ვ ი თ

სოლო მისწუდების კიდითგან ვიდრე კიდემდი ღ ძლიერად, განაკებს ვოველსავე კეთილად ❖ ესე შევივარე, ღ ვიძიე სიჭაბუკითგან ჩემისა, ღ მოვიძიე სძლად მოყვანებად თავისად, ღ მოყვარე ვექმენ მუწნიერებისა მისსა ❖ გუარ კეთილობა აღიდებს თანა ცსოვრების მქონებელთა ღუთისა ღ ვოველთა მეუფემანცა შეივარო იგი ❖ რამეთუ საიდუმლო არს ღუთისა ველოვსუბად; ღ მოძოვნებელი საქმეთა მისთა ❖ ღ კუალად სიმდიდრე არს გულის სათქმელი

მოსაგებელ ცხოვრებასა შინა, რაჟ სიბრძნისა უმდიდრესი, რომლისა
 ვ იქმნების იქმნებიან ეოველი ❖ სოლო უკეთუ მეცნიერება მოქმედე-
 ზდეს, ვინ მისა მეოფთავან უმჯობეს კელოვან არს ❖ ღ უკეთუ
 ვის სიძარტლე უევაწს, შრომანი მისნი არიან კეთილ მოქმედ რამე-
 ტ თუ სიწმიდესა ღ მეცნიერებასა ასწავებს, სიძარტლესა ღ სიმცნესა,
 ღ რომლისა საკმარ არა რაივე არს ცხოვრებასა შინა კაცთასა ❖ სო-
 ლო უკეთუ მრავალსა ვისმე გამოცდილება სწადის, იცის დასაბამი-
 თსა, ღ ეოფად მნებელთა გულის სმას ჭყოფს, იცის ქცეულება სი-
 ტევათა, ღ განკნა იგავთა, სასწაულნი ღ ნიშნი წინასწარ იცნის,
 თ ღ შექმნა ჟამთა ღ წელთა ❖ ვსაჯე უკუწ ამისა მოევანებად ჩემდა
 თანა ცხოვრებასა შიძარტ, უწეი რამეთუ იქმნების ჩემდა თანა
 მზრახუწლ კეთილთა, ღ ნუგეშინის მცემელ ზრუნვისა ღ მწუ-
 ი ხარებისა ❖ მექმნების ამისთჳს დიდება თემთა შორის, ღ ჰატევი
 ია წინაშე მოსუცებულთა ჭაბუკ მეოფთა ❖ მკუწთრი ვიპოვნო სასჯე-
 იბ ლსა შინა, ღ ჰირსა ძლიერთასა საკვრველ ვიქმნე მე ❖ დამადუმე-
 ბელ ჩემდა ღ ითმენენ ღ მეტეუწლებასა მაქუნდეს მე, ღ რომელი
 მეტეოდეს მე მრავლისათჳს, კელი დასდვას ჰირსა 'სედა თჳსსა ❖
 ივ ამის მიერ მისთჳს მოვილო უკვდავება, ღ სახსენებელი საუკუნო
 იდ მეოფთა შემდგომთა ჩემთა დაუტევეო ❖ განვაცო ერი, ღ წარმართ-
 იე დაემორჩილნეს მე ❖ ეშინოდეს ჩემი მსმენელთა ძძლავრთა სა-
 ივ შინელთა, სიმრავლესა შინა ვაჩუწნო კეთილი ღ ბრძოლასა შინა
 მენედ ❖ შევიდე სახლსა შინა ჩემსა განვისვენო მას თანა, რამეთუ
 იბ არა აქუს სიძარტე მისთანა შეერთებასა მისსა, არცა საღმობა თა-
 იბ ნა ცხოვრებასა შენსა, არამედ შუწბა ღ სინარული ❖ ესე განვი-
 ზრახე შორის ჩემსა, ღ ვიწუწითიდი გულთა შინა ჩემთა, რამეთუ
 იწ უკუდავება არს თანა მონათესაობა სიბრძნისა ❖ ღ მოკება მისი
 სიტკბოება კეთილი, ღ შრომასა შინა კელთა მისთასა სიძდიდრე
 მოუკლებელი, ღ თანა განსწავლასა შინა ზრახვისა მისისასა მე-
 ცნიერება, ღ კურთხევა ზიარებასა შინა სიტევათა მისთასა, გარე მო-
 თ ვლე მეძიებელმან რათა მოვილო იგი თავისა შიძარტ ❖ სოლო ვრძა
 კ ვიუავ გულ-მასვილ ღ სულით შევიძთსჳ სასიერნი ❖ სოლო უფ-

როს სასიერ გიუავ მოვედ სორცსა შინა შეუგინებელსა ❖ სოლო კა
 ვსცან რამეთუ არა სხვსა ღ ვიქმენ მძარხუჭლ, უკეთუ არა დმერთ-
 მან მომცეს, ღ ესე სოლო იყო მეცნიერებისა, რომელი ცნობად
 ვისი მადლი: მოვედ უფლისა მიმართ ღ ვევედრე მას, ღ ჭთქუ ეო-
 ვლისაგან გულისა ჩემისა:

თ ა ვ ი თ.

მდერთო მამათაო, ღ უფალო წყალობათა შენათაო, რომელმან ბ
 შეჭქმენ ეოველი სიტყუთა შენითა ❖ ღ სიბრძნითა შენითა დაბადე ბ
 კაცი; რათა უფლებდეს შენ მიერ ქმნილთა დაბადებულთა ❖ ღ გა- გ
 ნაგებდეს სოფელსა ღორსებათა შინა ღ სიმართლეთა, ღ სიწროფო-
 ბასა შინა სულისა სჯა რათა საჯოს ❖ მომეც მე შენთა საუდართა დ
 თანა ჯდომილობისა სიბრძნე, ღ ნუ განმამორებ მე მონათაგან შენ-
 თა ❖ ¹⁾ რამეთუ მე მონა შენი, ღ მე მკველისა შენისა; კაცი უძ- ე
 ლური, ღ მცირედ ჟამეულ, ღ მოკლებულ გონებათა შინა სასჯელი-
 სა ღ სჯულისა ❖ უკეთუ ვინმე იყოს სრულიცა მეთა შორის კაც- ვ
 თასა, ღ განმორებულ სიბრძნისა შენისა, არა რაადვე შეერაც-
 ხოს ❖ ²⁾ შენ მე გამომიჩინე შეფედ ერთა შენთა; ღ მსაჯულ მე- ზ
 თა შენთა, ღ ასულთა ❖ ღ მაქუს მე აღშენებად ტაძრისა მთასა ში-
 ნა წმიდასა შენსა, ღ ქალაქსა შინა საყოფელსა შენსა საკურთხევე-
 ლი, მკსაგსად კარვისა წმიდისა შენისა, რომელი წინარე განმხადენ
 დასაბამითგან ❖ ღ ³⁾ შენ თანა სიბძნე ხილული საქმენი შენნი, ღ თ
 თანა შემსაჯულელებელი მაშინ სოფელი შეჭქმენ, ღ ვისილო რაჲ არს
 სათნო წინაშე თვალთა შენთა, ღ რაჲ წრფელი მცნებათა შინა შენ-
 თა ❖ გამოავლინე იგი ზეცით წმიდით, ღ საუდრისაგან დიდებისა ი
 შენისა გამოავლინე იგი: რათა ჩემთანა იყოს მშრომელ, ღ უწეოდე
 რაჲ სათნო არს წინაშე შენსა ❖ რამეთუ უწეის მან ეოველივე ღ ია
 გულის ხმა ჭეოფს, ღ მიძლოდეს მე საქმეთა შინა ჩემთა სიწმინდით,
 ღ დამიცვას მე დიდებათა შინა თვისსა ❖ ღ იყოს შესაწყნარონი სა- იბ
 ქმენი ჩემნი, ღ უსაჯო ერსა შენსა სიმართლით, ღ ვიქმნე ღირს

¹⁾ ფსალ. რე. — ²⁾ გ მეფ. გ. ა. ნეშტ. კლ. ბ ნეშტ. ა. — ³⁾ ა. ნეშტ. კლ. იგავ. ჭ. იოანე ა.

იგ საუღრისა მამისა ჩემისასა ❖ რამეთუ ¹⁾ ვინ კაცთაგანმან სცნა განს-
 იდ რახვა ღუთისა, ზ ვინ მოიგონოს რაჲ ნებაჲს ღმერთსა ❖ რამეთუ
 გულის სიტყვანი მოკუდავთანი მოშიძ, ზ შესაცოდებელ განსრახვა-
 იე ნი ჩუწნნი ❖ რამეთუ განსრწნადი კორცი დაამძიმებს სულსა, ზ
 ივ მიწიერი ცხოვრება დასტვრთავს გონებასა ძრავალ ზრუნვათა ❖ ზ
 იზ მნიად ვსცნობთ რომელი ქუწყანასა ზედა, ზ რომელი კელთა შინა
 იზ ვაოვებთ შრომითურთ, ზ რომელი ცათა ზედა ვინ მოიკუთლია ❖ სო-
 ილ განსრახვა შენი ვინ სცნა, უკეთუძცა შენ მოსცე სიბრძნე, ზ
 ილ მოავლინენ სული წმიდა შენი მას ზეგარდაძო ❖ ზ ესრეთ წარება-
 ით რთნეს გჴანი მეოფთა ქუწყანასა ზედა, რომელი სათნო შენა ისწა-
 ით ვეს კაცთა ❖ ზ სიბრძნითა ცსონდენ.

თ ა ვ ი ი.

სე ჰირველ შექმნილი მამა სოფლისა, მხოლოდ შექმნილი, დაი-
 ბ ცვენ, ზ გამოიყვანე იგი ცოდვისაგან მისისა ❖ სოლო ²⁾ მიეც მას
 ბ ძალი ჰერობად ეოველთა ❖ სოლო განემორა მისგან უსამართ-
 ლოება რისხუთა შინა თჴსთა, ³⁾ თანა ძმის მკლაველობითა წარწე-
 ლ მდა გულის წერობითა ❖ სოლო ⁴⁾ ამისთჴს წარღუნილი სოფელი
 ლ კვალად აცსოვნა სიბრძნება, მცირითა სითა, ძართალი დაიცვა ❖
 მ ზ ⁵⁾ ესე შეთქმულთა შინა წარძართთა სიბოროტისათა შერეულთა
 კ ზოვა ძართალი, ზ დაიცვა იგი უბიწოდ ღუთისა, ზ ვითარცა მკლ-
 კ თა ზედა წყალობითა ძლიერითა დაიცო ❖ ⁶⁾ ესე ძართალსა წარწე-
 ზ მედვილთაგან არა წმიდათა იჴსნა ძლტოლჴარე, ცეცხლისაგან ვარ-
 ზ დამომავლისა ხუთ ქალაქთასა ზედა ❖ რომლისა კუბალად საწამე-
 ზ ბელად სიბოროტისა მემოლჴარე დგას ქუწყანასა უდაბნოსა, უსრუ-
 ლთა ჴამთა ნაუოჴ გამოძღები ნერგისა, ზ ურწმუნოსა სულსა სა-
 ლ სსოფრად დაუდგინა ძეგლ ძარილისა ❖ რამეთუ სიბრძნისა მიძომ-
 ლ სვლელთა არა ვარწნა აწუინებდეს რომელი ცნობად კეთილისა, არა-
 ლ მედ უგუნურებისაცა თჴსისა დაუტევეს ცხოვრებისა საჯსენებელი,
 თ რათა რომელთა შინა ცოდეს არცა დაფარვად შეუძლონ ❖ სოლო

1) ესაია მ ზ რდ. რომ. აა. ა კორ. ბ. — 2) ა მოსე ბ. — 3) ა მოსე დ. —
 4) ა მოსე ზ. — 5) ა მოსე აა. — 6) ა მოსე ით.

სიბრძნე მსახურთა მისთა საღმობათაგან იესისა ✠ ესე ¹⁾ საღტო-
 ლველი რისსჯავან ძმისა მართლისა, უძღვა გვასა ზედა წრფელ-
 სა, ჰ უჩუჭნა მას სასუფეველი ღუთისა, ჰ მისცა მას მეცნიერება
 წმიდათა, ჰატვისცა მას შრომათა შინა, ჰ განამრავლნა შრომა მი-
 სი ✠ შეჭირვებასა შინა მისსა მაჭირვებელთა, წინა დაუდგა მას, ჰ
 განამდიდრა იგი ✠ დაიცო იგი მტერთაგან, ჰ მსაცთურებელთაგან
 დაიფარა იგი, ჰ ღვაწლი მღიერი მღევასა ზედა მისცა მას, რათა
 სცნას რამეთუ ყოველთა უძლიერეს არს კეთილ მსახურება ✠ ესე ²⁾
 განსეიდული მართალი არა დაუტევა, არამედ ცოდვისაგან იესნა
 იგი: შთავიდა მას თანა ჯურღმულსა შინა ✠ ჰ საკვრველთა შინა
 არა დაუტევა იგი, ვიდრებმდის მიუღო მას სკიპტრა მეფობისა, ჰ
 გელძწიფება მაჭირვებელთა მისთა ზედა, ხოლო ცრუთა უჩუჭნა
 ბრძვილი მეოფელნი მას ზედა, ჰ მისცა მას დიდება საუკუნო ✠ ³⁾
 ამან ერი მართალნი ჰ თესლი უბიწო იესნა, წარმართთაგან მაჭირ-
 ვებელთა ✠ ⁴⁾ შევიდა სულსა შინა მონისა უფლისასა ჰ აღუდგა წინა
 აღმდგომ მეფეთა საშინელთა სასწაულთა შინა ჰ ნიშებითა ✠ მია-
 გო ღირსთა სასეიდელი შრომათა მათთა, უძღვა მათ გვასა შინა
 საკვრველსა, ჰ იქმნა მათდა საფარველ დღეთა შინა, ჰ ალად ვარ-
 სკუელავთა ღამესა შინა ✠ ⁵⁾ ჰ განიყვანნა იგინი ზღუასა მიერ მე-
 წამულსა, ჰ განიყვანნა იგინი შორის წყალსა მრავალსა ✠ ხოლო
 მტერნი მათნი წარღუნნა ჰ სიღრმესა უფსკრულისასა, შთავარნა
 იგინი ✠ ⁶⁾ ამისთჳს მართალთა აღიღეს ნატუქუჭნავი არა წმიდა-
 თა, ჰ ⁷⁾ აქეს უფალო სასეფი შენი წმიდა, ჰ ბრძოლა გელისა შე-
 ნისა აქეს ერთსუფად ✠ რამეთუ სიბრძნემან განუკუნა ჰირნი უტ-
 ვუთა, ჰ ენანი ჩჩვლთანი ყო ცხადნი.

თ ა ვ ი ი ა.

¹⁾ წარმართა საქმენი მათი გელსა შინა წინასწარმეტყუჭლისა
 წმიდისათა ✠ განვლეს უდაბნო უსავანო, ჰ უვადითა შინა აღმარ-
 თეს კარავი ✠ წინა აღუდგეს წინა აღმდგომთა, ჰ მიაგეს მტერ-

¹⁾ ა მოსე კჭ.—²⁾ ა მოსე ღზ.—³⁾ ბ მოსე ბ.—⁴⁾ ბ მოსე გ.—⁵⁾ ბ
 მოსე იდ.—⁶⁾ ბ მოსე იბ.—⁷⁾ ბ მოსე ივ.—⁸⁾ ბ. მოსე ივ.

ღთაჲ ¹⁾ სწუროდათ და მოგიწოდეს შენ, და მიეც მათ წყალი კლდისაგან გამოუკვეთელისა, და კურნება იქმნა წუერვილისა კლდისაგან ფიცხელისა ²⁾ რამეთუ რომლისადა განსწავლულ იქმნეს მტერნი მათი ³⁾ ამით ესენი მოკლებასა შინა. მეოფნი ქუჭლის მოქმედ იქმნეს ⁴⁾ წუაროსათჳს უკუჭ მარადის გამომდინარისა, სისხლ დათხუელითა ⁵⁾ შეძრწუნებულნი მხილებასა შინა ჩხვლთა სვრისასა ბრძანებულნი, მისცენ მათ აღმატებული წყალი უსასოდ ⁶⁾ უზვენენ მაშინ წუერვილისა ვითარ წინა აღმდგომნი სტანჯნე ⁷⁾ რამეთუ ოდეს გამოიცადნეს, და წუალობათა შინა განსწავლილნი სცნეს ვითარ რისხვთა შინა დასჯილნი არა წმიდანი იტანჯნეს ⁸⁾ რამეთუ ესენი ვითაცა მამამან მწუროთუჭლმან გამოიცადენ, ხოლო იგინი ვითარცა ჰეფე ფიცხელითა სასჯელითა გამოიძიენ ⁹⁾ ხოლო განდგომილნი და შემსაჯულებულნი ეგრეთვე იტანჯნეს ¹⁰⁾ რამეთუ მრჩობლი მიიღეს მწთ მწუხარება, და სულთქმა საკსენებელად გარდასულთა ¹¹⁾ რამეთუ ოდეს ესმა თვთა ტანჯვათა ქუჭლის მოქმედებათა მათთა, სცნობდეს უფლისასა ¹²⁾ რამეთუ რომლისა ჰირველ განსხმასა შინა დაკუჭთებულისა უარ ჰევეს ეკიცხოდეს, აღსასრულისა თანა ვოფისსა განცუფრდეს, არა მსკავსად მართალთა სწუროდეს ¹³⁾ ხოლო გულის სიტყვათათჳს უგუნურისა უსამართლოება მათი, ხოლო რომელთა შინა შესცთეს ჰატვიცცემდეს ჰირუტუეთა მძრომთა, და მხეცთა მძნვარეთა, მოუვლინა მათ სიმრავლე უსიტუეტლთა ცხოველთა შურის გებასა შინა ¹⁴⁾ რათა სცნან რამეთუ რომელთა ვინ სცოდეს, ამით იტანჯნეცა ¹⁵⁾ რამეთუ ¹⁶⁾ არა რაჲ შეუძლებელ უოვლად ძლიერითა კელითა შენითა, რომელმან შეჰქმენ სოფელი უსახოსა ნივთისა, მოვლინებად მათ ზედა სიმრავლე დათვთა, ანუ ბოროტთა ლომთა ¹⁷⁾ ანუ ახალ ქმნულთა რისხვთა სავისეთა, მკეცთა უცნაურთა, ანუ ცეცხლითა მბერვლითა სულითა ანუ სიმერალე გამოტანილთა კუამლთა, ანუ საშინელი თვალთაგან ნაბერწვალისა გამოძკროლოვარებათა ¹⁸⁾ რომელთა არა მხოლო ვნება შეუძლებდა მოსწრვად მისა, არამედ სახეცა შეაშინებდა წარწემედად ¹⁹⁾

¹⁾ ბ მოსე იხ. ფსალ. ოზ. ა კორ. ბ. ესაია მწ. — ²⁾ ბ მოსე კზ. ეფ. ტ.

ღ თუნიერ ამათსა, ერთითა სულითა მწყესად შეუძლებდა სასჯელი- კა
 სან განდევნითა, ღ დაწულილდებოდეს სულისაგან შენისა ძლიერ-
 რისა, არამედ ყოველივე საზომითა ღ რიცხვითა ღ სასწორითა გა- კბ
 ნაწყესენ ზ რამეთუ რომელი მრავალ შემძლებლობა ჰქვიეს შენდა მა- კბ
 რადის, ღ ძალსა ძკლავისა შენისასა ვინ წინა აღუდგეს ზ ვინათ- კკ
 გან ვითარცა წამი სასწორთა შინა, ეგრეთ ყოველი სოფელი წინაშე
 შენსა, ღ ვითარცა წუჭთი ცვარისა განთიად გამოვალს ქუჭყა-
 ნასა სედა ზ ¹⁾ სოლო შეიწყალეს ყოველთა, რამეთუ ყოველივე კდ
 ძალგიც, ღ უგულებელს ჰყოფ ცოდვასა კაცთასა სინანულსა ში-
 ნა ზ სოლო გიუვარნ ყოველივე მეოფნი, ღ არა რადსავე მოიძა- კე
 გებ, რომელი შეჰქმენ: რამეთუ არცა მოიძულო რად შემსადენ ზ
 სოლო ვითარ ეგოსმცა რად უკეთუძცა შენ არა გთნდეს, ანუ რომე- კვ
 ლი არა წოდებულ იქმნა შენ მიერ ღ დაიცო ზ სოლო ჰკრიდებ კს
 ყოველსა, ვითარცა შენნი არიან, მეუფეო სულთ მოუვარეო.

თ ა ვ ი იზ.

რამეთუ უხრწნელ არს სული შენი ყოველთა შორის ზ ვინძცა ა,ბ
 შეცთომილთა მცირედ ამხილებს, ღ რომელთაცა შინა ცცოდვენ მო-
 საკსენებელად სწავლი, რათა შეიცვალნენ ბოროტისაგან ღ რწმენესთ
 შენდა უფალო ზ რამეთუ ²⁾ ზირველნიცა მკვდრნი ქუჭყანისა წმი- გ
 დისა შენისა მოიძულენ ზ საქმეთათჳს ბოროტთა რომელთა შინა დ
 ჰყოფდეს მოგებათა, ღ მსხუჭრზლთა უღირსთა ზ ძულთა მკულე- ე
 ლობთა უწყებლოთა, ღ ნაწლევთა მჭამელნი კაცობრივთა გორცთა, ვ
 ღ სისხლისა სძასა, შესასაგან წმიდათა შენთა ზ ღ უფალოთა მმო- ვ
 ბელთა სულთა შეუწყვნელთათა მონებენ წარწყმედად გელითა ძამათა უ
 ჩუჭნთათა ზ რათა ღირსად შეიწყნარეს საყოფელთა ერძათა ღუთი- ლ
 სათა, რომელ შენთანა ყოველთა უზატოისნეს არს ქუჭყანა ზ არა- ლ
 მედ ამათთაცა ვითარცა კაცთა ჰკრიდენ, სოლო წარავლინენ წინა
 მორბედნი მკედრისა შენისა ვითარცა ბზიკნი, რამეთუ რათა იგინი
 შემდგომად მცირედისა მოსწყუჯდნეს ზ არა შეუძლებელ ხარ ბრძო- თ
 ლასა შინა დამორჩილებს არა წმიდათა მართალთჳ, ვინა მკეცთა

¹⁾ რამ. ბ. მთ. წ.—²⁾ ბ მსსე.

მრისსანეთა, ანუ სიტყვთა ფიცხელითა, ვითარცა ერთისა შემუსრ-
 ვად ❖ ¹⁾ სოლო უსჯიდი შემდგომად მცირედისა მისცემდი ადგილ-
 სა სინანულისასა, არა უმეცარ იუჟნეს რამეთუ ბორცოტი შობანი
 მათნი, ჭ ბუნებრივი სიბორცოტე მათი, ჭ რამეთუ არა შეიცვალე-
 ბის გულის სიტყვა მათი უკუნისამდე ❖ რამეთუ თესლი იყო წყუ-
 ლისა დასაბამითგან, არცა ეშინოდათ ოდეს მიტყუებასა მისცემდი
 ცოდვითა მათ ❖ ²⁾ რამეთუ ვინ გრქმას შენ: რაჲ ჰქმენა; ანუ ვინ
 წინა აღუდგეს სასჯელსა შენსა; ხოლო ვინ გამოვიძიოს შენ წარ-
 მართთათჳს წარმწემდეღლთა, რომელნიცა შენ შეჰქმენ, ანუ ვინ წინა
 წარმოდგომასა შენდა მოვიდეს, შურის მკებელი უსამართლოებასა
 შედა კაცთასა ❖ ³⁾ რამეთუ არა არს სხვა ღმერთი თჳნიერ შენსა,
 რომელსა გჭირს ეოველთათჳს, რათა აჩუწნო რამეთუ არა უსამ-
 რთლოდ უსაჯუნ ❖ არცა მეფემან, ანუ მძლავრმან წინა აღმდგომ
 შენდა მიხედვად შეუძლოს, რომლისათჳს წარწემდენ ❖ ხოლო მა-
 რთალ რომელ ხარ მართლიად ეოველსა განაგებ, ხოლო უთანამდე-
 ბოს მძლავრსა დასჯი ჭ უცხოდ ჰგონებ შენსა ძალსა ❖ რამეთუ
 ძალი შენი სიძარბოელისა დასაბამ, ჭ რამეთუ ეოველთა შედა
 შენ ჰფლობ ჭ ეოველთა რიდებით ჰყოფ ❖ რამეთუ ძალი უჩუწნო
 ურწმუნოთა სრულისათჳს ძალთა, ჭ უმეცრებასა შინა კადნიერება
 ამხილო ❖ ხოლო შენ მეუფებ ძლითა სიმძუდესა შინა შჯი, ჭ დიდი-
 თა რიდებითა განვაგებ ჩუწნ, რამეთუ შენთანა არს ოდეს კენებოს
 რომელი შეწევნა ❖ ხოლო ასწავენ ერსა შენსა ესე ვითარითა სა-
 ქმეთა, რამეთუ შუწნის მართალთა ეოფად კაცთა მოეფარებისა, ჭ
 რამეთუ კეთილ სასოსა ექმენ მეთა შენთა, რამეთუ მისცემ ცოდვა-
 თათჳს სინანულისა ❖ ხოლო უკეთუ მტერნი ერმათა შენთა ჭ თა-
 ნამდებთა ზიკუდილისა ესე ვითარითა სტანჯენ შეწუნარებითა ჭ
 რიდებითა, რამეთუ მიეც უბი ჭ ადგილი, რომლითა შეიცვალნეს
 სიბორცოტისგან ❖ რაჲოდენითა კრძალულებითა უსაჯუნ მეთა შენ-
 თა: რომელთა მამათა ფიცნი ჭ აღთქმანი მისცენ კეთილთა აღთ-
 ქმათა ❖ ჩუწნ უკუწ გუწწავლი, მტერთა ჩუწნთა ბევრეულად გუწმ,

1) ბ მოსე კვ. ე მოსე ზ. — 2) რომ. თ. — 3) ა ჰეტრ. ე.

რათა სახიერებითა შენითა ვისრუნოთ ღმრთისა და ვსაჯოთ, სოლო დასჯილ-
 ნი მოველოდეთ წყალობასა და სოლო ვოვლითურთ და უსამართ-
 ლოთა უგუნურებასა შინა ცხოვრებულთათა ცხოვრებასა სჯინდისი-
 თა მათითა სამაგელითა საჯენ და რამეთუ საცთურისა გზათა უპო-
 რესად შესცთეს ღმერთად ჰგონებდეს რომელსა, და ცხოვრებათა ში-
 ნა მტერთა უზატოთასა ვითარცა ჩხვლთა უგუნურთა შესცთენს და
 ამისთვის ვითარცა ერმათა უგუნურთა სასჯელი საკიცხვად მოუვლი-
 ნენ და რომელთა განკიცხვთა შერისხვსათა არა განისწავლეს,
 ღირს სამართალსა ღმრთისასა განსცდიან და რამეთუ რომელთაცა ში-
 ნა იგინი ივანებდეს განრისხდებოდეს, ამათ შინა რომელთა ჰგო-
 ნებდეს ვოფად ღმრთაებად, მათ შინა ტანჯვით იხილეს რომელსა
 ზირველ უარ ჰყოფდეს ცნობად, ღმერთსა ჰუმმარტისა სცნობდეს,
 ამისთვისცა და აღსასრული სასჯელისა მოვიდა მათ ზედა.

ბბ
 ბდ
 ბმ
 ბპ
 ბჟ

თ ა ვ ი იზ.

შეგო ვართ უკუტ ვოველნი კაცნი ბუნებით რომელთაცა შინა
 იპოების უცნობელობა ღმრთისა მიერი ¹⁾ და სილულთაგან კეთილ-
 თა ვერ შეუძლეს ცნობად მეოფისა, არცა საქმითა მიხედვითა სცნეს
 ველოვანი და არამედ ანუ ცეცხლი, ანუ სული, ანუ მსწრაფლი ჰაერი, ანუ
 სიმერგულე ვარსებულავთა, ანუ მხერვალეა წელისა, ანუ მნათობნი
 ცისანი, ქმნილნი სოფლისანი ღმრთად ვოფად ჰგონებდეს და რომელთა
 უკეთუ უკუტ შუტნიერებითა დატკობილნი ამას ღმრთად ჰგონებდეს,
 რათა სცნან რამოდენ ამათა მეუფე არს უმჯობეს: რამეთუ შუტნიე-
 რება ნათესავთა დასაბამან შექმნა იგინი და სოლო უკეთუ ძალნი
 და მოქმედებანი განაკვრებდეს რათა ამათგან გულის ჯმა ეონ რა-
 ბამ შემოქმედი ამათი უძლიერეს არს და რამეთუ დიდებისგან შუტნიე-
 რებისა და ქმნილთა შეთანასწორებად ნათესავ მქმნელი მათი იცნო-
 ბებოდეს და არამედ გარნა ამათ ზედა არს შეურაცხება მცირე, რამეთუ
 თვთ ესენი თულა შესცთენ, ღმრთისა მეძიებელნი, და მნებებელნი ზო-
 ვნისა და ²⁾ რამეთუ საქმეთა შინა მისთა მცხოვრებელნი გამოიკუ-
 ლევენ, და აუწევებენ სახითა, რამეთუ კეთილარს სილულნი და გარ-

ა
 ბ
 გ
 დ
 ე
 ვ
 ზ
 ჟ

¹⁾ რომ. ს.—²⁾ რომ. ს.

თ ნა არცა ესენი შენდობისა ღირსნი ❖ რამეთუ უკეთუ ესოდენ შეუ-
 ძლეს უწეებად, რათა შეუძლონ გულის სმის ყოფად საუკუნოსა,
 ი სოლო ამით მეუფე ვითარ მეესეულად არა ჰოვეს ❖ სოლო უბადრუკ
 არიან ზე მკუდართა თანა სასოება მათი, რომელთა უწოდეს ღმერთებად
 ქმნილთა გელთა კაცთასა ოქრო, ზე ვეცხლი, გელოვნებისა განზრ-
 ხვა, ზე მსგავსება ცხოველთა, ანუ ქუათა უმართა ქმნილთა გელის
 ია ზირველისა ❖ ¹⁾ სოლო უკეთუ ვინ ხეთა მკუჭთელმან სურთ
 მოძღვარმან საკმარი ხე მოუკუჭთენეს, განთაღნო კეთილ სწავლუ-
 ლებითა. ყოველი ქერქი მისი, ზე გელოვნებითა მუჭნიერ ჭყოფს სა-
 იბ სმარი ჭურჭელი საკმარსა შინა ცხოვრებისასა ❖ სოლო ნემტი
 იუ საქმისა განსამხადებასა ზედა ჭამადთა ივია განსამდებელად ❖ სო-
 ლო ნემტი, რომელი ამოდგან არცა რაივე კეთილ საკმარ, ხე მრუ-
 დი ზე როკითა სავსე, მოიღო გამოაქანდაკა გულს მოდგინეთ უქმო-
 ბად თვისითა, ზე გამოცდილებითა გონებისა გამოსასა იგი, ზე მია-
 იდ მსგავსა იგი ხატსა კაცისასა ❖ ანუ რაჟსამე ცხოველსა შეურაცხსა
 მიაძგ სავსა იგი ზე ცხო ფერთა ზირად ზირადითა ზე მეწამულ ჭყო-
 ჩენა მისი, ზე ყოველი ბიწოვნება რომელი მას ზედა არს სცხო ❖
 იე ზე ყო მისა ღირსად იგი, სავანედ, სლუდესა ზედა დაადგინა იგი,
 იუ დაამტკიცა რკინითა ❖ რათა ნუ უკუჭ დაეცეს, წინა განიზრასა მი-
 ის სთუს მხილველმან რამეთუ არა ძალუცს შეწევნა თავისა თვისისა,
 ის რამეთუ კერზ არს, ზე უხმს მას შეწევნა ❖ სოლო მონაგებთათუს ზე
 ქორწილისათუს მისისა ზე შულთა თუსთა მავედრებელი, არა
 ის რცხუჭნის უსულოთა მიმართ მეტყუელსა ❖ ზე სიმართელისათუს
 უკუჭ უძღურისა მოუწოდებს, ზე ცხოვრებისათუს მკუდრისა ევე-
 ით დრების, ზე შეწევნასა შინა უკმარსა უწოდს ❖ ზე თანა მოგსაურო-
 ბისათუს სთხოვს, არცა სლვად შემძლებელისა, ზე მონაგებთათუს
 ზე საქმეთა ზე გელ ქუჭმ განმტკიცებათათუს უძღურისა გელითა სი-
 ძენესა ითხოვს მისგან, რომელი ყოველთა უუძღურეს არს.

თ ა ვ ი იღ.

ს სურვად კუთლად ვინ განიზრასა, ზე მძვნავრებისა ღელვათა

¹⁾ ესაა მდ. იერუშა ი.

განსლვად, მტვრთველისა მის ნავისა განსწრწნადსა ძელსა მოუ-
 წოდს ❖ რამეთუ იმისი უკუტ წადილ მოძხიდველობისა განიხრ- ბ
 სა რამეთუ კელოვანმან სიბრძნითა შემსადა ❖ სოლო ¹⁾ შენი მა- გ
 ძაო, განეგების განსრახსსა, რამეთუ მისცენ სდუათა შინა გსა, ზ
 ღელვათა შორის სავალი უმტვიცესი ❖ აჩუტნო რამეთუ ძლიერ ღ
 ხარ უოვლისაგან ცხოვრებად, უკეთუ ზ თუნიერ კელოვებისა ვინ
 განვლოს ❖ ხოლო გნებავს რათა არა იუტნენ უქმ საქმე სიბრძნი- ე
 სა შენისა, ამისთვსცა უძვირესსა ძელსა არწმუნებენ კაცნი სულსა
 თვსთა, ზ განძლეულნი ღელვათა ნავითა გსნილ არიან ❖ ზ ²⁾ რა- გ
 მეთუ დასაბამითგანცა წარწემედითა ამჰარტავანთა გძირთა, სასო-
 ება სოფლისა ნავსა შინა ივლტოდა, დაუტევა საუკუნო თესლი
 შობილისა, კელითა შენითა აკებული ❖ რამეთუ კურთხეულ არს ხე, ზ
 რომლითა იქმნებიან სიძარტლე ❖ სოლო ³⁾ კელით ქმნილი, ტ
 წეულ არს ზ ქმნა იგი, სოკი შექმნა, ამასავე განსწრწნადსა ღმერ-
 თად სახელ სდვა ❖ რამეთუ ⁴⁾ სწორედ სამულველ არიან ღუთისა
 არა წმიდაცა ზ არა წმინდება მისი ❖ რამეთუ ქმნილნი მოქმედთა-
 თანა ტანჯულ იუოს ❖ ამისთვს ზ კერძთა შინა წარმართთასა
 იუოს განგებულება, რამეთუ ქმნილთა შორის ღუთისათა საძაგელ
 იქმნენ, ზ საცთურ სულთა შორის კაცთათა, ზ საბრკე ფერკთა ში-
 ნა უკულის კმთა ❖ რამეთუ დასაბამი მეძაობისა განსრახსა კერ- იბ
 ჰთა, სოლო მოძოვნება მათი განმსწრწნელ ცხოვრებისა ❖ რამეთუ იგ
 არცა იუტნეს დასაბამითგან, არცა იუტნენ უკუნისამდე ❖ რამეთუ იდ
 ამავო დიდებათა კაცთათა შემოვიდეს სოფლად, ზ ამისთვს შემოკ-
 ლებულად აღსასრული მათი შეერაცსა ❖ რამეთუ მწარითა ტირი- იე
 ლითა მელოვარემან მამამან მოსწრწაფედ წარტაცებულისა შულისა,
 ხატი შეჭქმნა, რომლისა მამინ მომეჭდრისა კაცსა, აწ ვითარცა
 ღმერთსა ჰატვი სცა: ზ მისცა კელთა ქუტქე საიდუმლო, ზ მსხუტ-
 რწლი ❖ შემდგომად ამისა ჟამითა შეუძლეს არა წმიდათა ჩუტულე- ივ
 ბა, ვითარცა სჯული დაცულ იქმნა, ზ მძლავრთა ბრძანებითა ჰა-
 ტვიცემულ იქმნენ, გამოქანდაკებულნი ❖ რომლისა ჰირსა შინა ვერ იზ

1) ბ მოსე იდ.—2) ა მოსე ზ ბ იზ.—3) ფსალ. რიგ. ბარუქ ე.—4) ფსალ ე.

შეუძლებდეს ზატყვემად კაცნი სიძორისათჳს მკუდრობისა, შო-
 რითგან ჰირსა გამოსასხუდენ, ცხადთა სატითა ზატყვის ცემისა მე-
 ფეთა ჰქმნეს, რამეთუ რათა განძორებულსა ვითარცა მასლობელსა
 იწ მოფოს ლიქნიან წადიერებითურთ ზ სოლო სიგრძესა შინა ბოროტ
 მსახურებისასა ღ უმეცართა კელოვნებად ღ მჭირვა ზატყვის მოეჭა-
 ით რება ზ რამეთუ ამის მნებებელი სათნო ყოფად მჭერობლისა, გა-
 კ ნიეჭიანა კელოვნებითა თჳსითა მსგავსება უძჯობესსა ზედა ზ სო-
 კა ლო სიძრავლე კაცთა მიისიდოს კეთილ სატითა საქმისა, ჰირველ
 კა მცირედსა შინა კაცისა ზატყვისა, აწ ღმერთად შერაცხევდეს ზ ღ
 ესე იქმნა ცხოვრებისა შეცთომასა შინა რამეთუ ანუ ბოროტ შეჭე-
 კბ ლი სასელი ქუათა ღ მეღთა გარე მოიდგეს ზ შემდგომად ამათა
 არა კმა იყო შეცთომად ღუთისა მეცნიერებისათჳს, არამედ ღ დიდ-
 კბ ბოროტსა მძუდობად უწოდდენ ზ რამეთუ ანუ შჳლთა მკუღელსა
 კდ სსუათაგან რჯულთა ლხინობასა მოფელნი ზ არცა ცხოვრება,
 კე არცა ქორწილთა წმინდათა კუაღად დაიცვენ, სოლო ერთი მეორე-
 კე სა, ანუ საცთურითა მოჰკლავს, ანუ შეცთომილი აჭირვებს ზ ყო-
 კე ველივე შერეულ არიან სისხლსა ღ კუელასა, ზარვასა ღ ზაკუასა,
 კე განსწწნად ურწმუნობა ღ შოთი ზ ფუცვა ლაღვა კეთილთა, მა-
 კე დლისა დავიწება, სულთა შეგინება, დაბადებისა შეცვალება, ქორ-
 კე წილთა უწესობა, მრუშება, ღ სასირცხო მოქმედება ზ რამეთუ
 კე უღირსთა სასელისა კერძთა მსახურება, დასაბამი ყოვლისა ბოროტ
 კე დასაწყისისა ღ მიზეზი ღ აღსასრული არს ზ რამეთუ ანუ რომე-
 კო ლი იხარებდეს ცბიერებენ, ანუ წინასწარმეტყუშლებდენ ცრუდ, ანუ
 ლ ცხოვრებდენ უსამართლოდ, ანუ ფუცვდენ მოსწრაფედ ზ რამეთუ
 ლ უსულოთა ზედა კერძთა ესვიდეს, ბოროტად ფუცვდეს, ტანჯვათა
 ლ ყოფად არა ელიან ზ სოლო ორისავესათჳს მათ ზედა მოვიდეს
 მსჯავრი, ვინათგან ბოროტს ბრძნობდეს ღუთისათჳს მკრძალველნი
 კერძთა ღ არა მართლად ინანდეს საცთურითა, უგულებელს ევის

ღირსნი ❖ რამეთუ არა ძალი მათი ცნობითა, არამედ შემცოდებელთა ლა
სჯა შემოვალს მარადის გარდასლვასა ზედა უსამართლოთა.

თ ა ვ ი ივ.

სოლო შენ ღმერთი ჩუენი ტკბილ ღ ჭეშმარიტ, სულ გრძელ ა
ღ წყალობასა შინა, განმკებელი ყოველთა ❖ სოლო უკეთუ ცცო- ბ
დეთ შენნი ვართ, უწუით ძალი შენი: ღ უკეთუ არა ცცოდოთ, გ
უწუით რამეთუ შენდა შევიწახცხენით ❖ რამეთუ რომლისა ცნობად გ
შენდა, ყოვლად სრულ არს სიძნობელე, ღ უწუებად მპყრობილობი-
სა შენისა ძირი არს უკვდავებისა ❖ რამეთუ არცა გუბადუნეს ჩუენ ღ
კაცთა ბოროტ კელოვანთა განზრახუამან, არცა აწრდილთა მწერალ-
თამან შრომაძმან უნაყოფოძმან ხილვამან გამოქანდაკებულძმან, ზი-
რად ზირადთა ფერთამან ❖ რომლისა ჭკრეტა უკუნურთა შემოი- ე
უენანს გულის თქმასა შინა, ღ უუარსთ მკუდარისა ხატისა ხილვა
უსულოთა ❖ ბოროტთა მოუწარენი ღირსნი ეგრეთთა სასოებათა ვ
ღ მყოფელნი ღ მოუწარენი ღ ზატვიის მცემელნი ❖ რამეთუ მეკეცე უ
ჩულსა მიწასა მკონებელი შრომითურთ იქმს, მსასურებისა მიძნობ
თუთუელისა, არამედ მისგანვე თივისა შექმნა, ღ რომელი წმინდა-
თა საქმე სამსახურებელად ჭურჭელნი, ღ წინა აღმდგომთა ყოვლი-
სა მსგავსად, სოლო ესენი ორთავე ვისა არს საკმარნი, მსაჯულ ც
არს თინის მოქმედი ❖ ღ ბოროტ მშრომელი ღუთისა ამაჟოსა
მისგანვე თინისა შეიქმს, რომელი მცირედ ზირველ ქუწყანისაგან
შექმნილ იყო შემდგომად მცირედისა წარვიდეს რომლისაგან მოღე-
ბულ იქმნა, გამოძამიებელი სულიერთათუც გრძელად ❖ არამედ არს თ
მისა კრძალვა, არა ვითარცა აქუს შრომად, არცა ვითარცა მეჭლე-
ლი სრულებისა ცხოვრება აქუს, არამედ ემურების ოქროს მოქმე-
დთა, ღ ვეცხლის მდნობელთა ღ რვალის მჭედელთა ებარვის, და-
დებად ჭკონებს რამეთუ კელოვნებით იქმს ❖ რამეთუ ნაცარ არს ი
გული მისი, ღ მიწის სიავე სასოება მისი, ღ თივის უზატვიოესი
ცხოვრება მისი ❖ რამეთუ არა იცნა შემოქმედი მისი, ღ რომელისა ია
მოჭებერა მას სული მოქმედებისა, ღ მთაბერა სული ცხოვრებისა ❖
არამედ შერაცხა სამროკუწლ ყოფად ცხოვრება ჩუენი, ღ ყოველსა იბ

ცხოვრებასა შრომა ღ თანა მოქცევასა ზედა, რამეთუ იტყუან ვითარცა ჯერ არს სადითგან ნუ თუ უკეთუ ღ ბოროტისაგან თანა მოქცევად ზ რამეთუ ესე უფროს ეოველთასა ზედავს რამეთუ სცოდავს, ნივთთაგან ქუჭუნიერისა შემუსრვისა მიმართ ჭურჭელისა ღ გამოქანდაკებულისა შექმნილი ზ სოლო ეოველნივე უუგუნურეს ღ უუბადრუკესი, უფროს ჩუღთა სულისა, მტერნი ერთა შენტა მფლობელობდეს მათ ზ რამეთუ ¹⁾ ეოველნი კერძნი წარმართთანი შერიაცხებოდეს ღუთაებად, რომელთა არცა თვაღთა საკმარება ზედვისა მიმართ, არცა ცხუროთა მოსიღვა ჭერისა, არცა უური სმენად, არცა თითნი კელთანი განსიღვად, ღ ფერჯნი მათნი უქმ არიან სღვისა მიმართ ზ რამეთუ კაცმან შექმნა იგინი, ღ სულმან შესებულმან აღიღო აღაგო იგინი, რამეთუ არცა ერთი კაცი შემძლებელ არს თუსად შექმნად მსგავსად ღუთისსა ზ სოლო მოკუდავ არს, ღ მკუდარსა იქმს კელითა უსჯულოთა: რამეთუ უძობეს არს კერძთა თუსთა რამეთუ ესენი უკუჭ ცხოველ არიან, სოლო იგინი არა ოდეს ზ სოლო ცხოველთა საძაგელთა ჰატოვ იცემებიან, რამეთუ უკულისსმოებანი შეთანასწორებულ სხვათა უარეს არიან ზ არცა არაოდენ სურვიელ ვითარცა ჰირსა შინა ცხოველთათა კეთილ არიან, სოლო განივლტოდენ ღუთისსაცა ქებისა ღ კურთხევისა მისისა.

თ ა ვ ი ი მ.

ამისთუხ მსგავსთაგან ნებულობდეს ღირსად, ღ სიმრავლითა მსეცთასა დაისაჯენ ზ ნაცუღად ტანჯვასა უქუჭლის მოქმედებდი ერთა შენტა, გულის სათქმელსა შინა სურვილისა უცხოთა გემოვნებისა, საზრდელათ განუმხადე მწეერ მარსილი ზ რათა მათ უკუჭ გული უთქმიდეს საზრდელისა ჩუჭუნებითა მოვლინებულთა, ღ მჭიროსაგან ნდომისა მოაქციენ, სოლო ესენი მცირედლა ნაკლულევან იქმნეს, ღ უცხოთა გემოვნებასა შუჭნოდეს ზ რამეთუ ჯერ იყო მათთა უკუჭ არა ლტოლვა სიგლასაეისა მოსუღად მძღაგრობელთა, სოლო ამით თუნიერ ჩუჭუნებად, ვითარ მტერნი მათი იტანჯებო-

¹⁾ ფსალ რღგ ღ რღღ.

დენ ❖ რამეთუ ¹⁾ ამათ ოდეს გადმოვიდა მკეცთა ფიცხელი რისხუბა, ე
 დ კბენითა გულარძნილითა გუჭლთასა განისწვნებოდეს ❖ არამედ ვ
 არა სრულიად ეგო რისხუბა შენი: სოლო სასწავებელად მცირედნი
 შეძრწუნდეს, ნიძი აქენდეს ცხოვრებისა, მოსასსენებელად მეცნიერე- ს
 ბისა შჯულისა შენისა ❖ რამეთუ მოიქცეს, უნიეთოსა კედვითა
 განიკურნებოდეს, არამედ შენითა ეოველთა ცხოვრებითა ❖ დ ამით ლ
 უჩუტნე მტერთა ჩუტნთა, რამეთუ შენ ხარ მკსნელი ეოვლისაგან
 ბოროტისა ❖ რამეთუ ²⁾ რომელთა თაგუთა დ მკალთა მოსწუჯტნეს თ
 კბენითა, დ არა ეპოვა კურნება სულთა მათთა, რამეთუ ღირს იუჭ-
 ნეს ესოდენისაგან ტანჯვად ❖ სოლო მეთა შენთა არცა გუჭლთა ი
 კესლიანთა კბილთა სძლეს, რამეთუ წყალობა შენი გარდამოვიდა
 დ განკურნა იგინი ❖ რამეთუ საკსენებელად სიტყუბთა შენთა იწ- ია
 რიტებოდეს, დ მეესეულად განიკურნებოდეს, რათა არა სიდრძესა
 დავიწეებისასა შთაცვანეს, განყოფილნი შენისა ქუჭლის მოქმედე-
 ბისა ❖ რამეთუ არცა მწვანემან, არცა შეკურამან განკურნა იგინი, იბ
 არამედ სიტყუბა შენი თანა მკურნალი არს ეოველთა ❖ რამეთუ ³⁾ ივ
 შენ გაქუხ ცხოვრებისა დ სიკუდილისა კელმწიფება, დ შთაიუჴან
 ვიდრე ბჭეთამდე ჯოჯოხეთისა, დ აღმოიუჴან ❖ სოლო კაცი მო- იდ
 კუდების უკუჭ სიბოროტითა თჯნითა, სოლო გამოვიდა სული
 მისი დ არღარა მოიქცა, არცა კუხლად უწოდოს სულსა რომელი
 მიეღო ❖ რამეთუ კელისა შენისაგან ლტოლვა შეუძლებელ არს ❖ ⁴⁾ იე
 რამეთუ უარის მეოფელთა უსჯულოთა გინილონ შენ, ძლიერითა ივ
 მკლავითა შენითა იგუჭმნეს, უცხოთა წჯძითა, დ სეტყუთა, დ ღუბ-
 რითა განდევნით განულტოლველათ, დ ცეცხლითა განლივნეს ❖
 რამეთუ უდიდებულეს წყალობა შინა ეოველთა დამძრეტელისა სიძ- ის
 რავლე მოქმედებდეს ცეცხლი, რამეთუ მბრძოლი არს სოფელი მარ-
 თალთათჯს ❖ რამეთუ ოდესმე უკუჭ დამძვდებოდა ალი, რათა არა ის
 შესწვას წარმოკსავნილთა ზედა ცხოველთა არა წმიდათა, არამედ
 ამათ მხედველთა სცნან, რამეთუ ღუთისაგან სასჯელისა ივნებინ

¹⁾ დ მოსე კ. 5 კორ. ი. — ²⁾ ვ მოსე ი. გამოცხ. თ. — ³⁾ ე მოსე ლბ. 5 მეფ. 5. ტობ. ივ. — ⁴⁾ ა მოსე თ.

ით დევნულნი ❖ ხოლო ოდესმე შორისცა წელითა ზევით ძალი ცეც-
 ხლისა მოსწავს, რათა უსჯულოსა ქრესტიანისა ნაშობნი განსწრწ-
 კ ნეს ❖ ხოლო ¹⁾ ამათ წილ ანგელოზთა სახრდელითა გამოსარდნე
 ერი შენი, ჰ განმსადებული ჰური ზევით წარმოუგზავნე მათ უბუ-
 კა რველად, ყოვლისა დატკობისა თავსა შორის მქონებულნი, ჰ ყო-
 ველსა მიმართ შემთხრულნი გემოს იხილვიდა ❖ რამეთუ თვსე-
 კბ ბანი შენისა სიტკობებისა ძეთა მიმართ შენთა გამოუცხადა, ჰ სია-
 მედ ერთისა თუთეულისა ნებისა ვითარცა ვის ენებოდათ კაცად კა-
 კბ ცადსა კარდაექცეოდენ ❖ ხოლო თოვლი ჰ ყინული მოითქმენ-
 დეს ცეცხლსა ჰ არა დადნებოდეს, რათა სცნან რამეთუ ნაყოფი
 კკ მტერთა განრეუნა ცეცხლმან აღტყინებულმან სეტყუათა შორის, ჰ
 კდ წუძათა შინა ელვითა ❖ ივინივე რათა კუბლად გამოიზარდნენ მარ-
 თალნი, ცეცხლს კუბლად თვსითაცა დაავიწყდა ძალი ❖ რამეთუ
 კე ქმნილი შენი შემოქმედსა ყოველთასა კმსახურებდეს, განვრცების
 ტანჯვასა ზედა წინა აღმდეგ არა წმიდათა, ჰ მსუბუქ იქმნების კე-
 კე თილ მოქმედობათვს მოსავთა შენთა ზედა ❖ ჰ ამისთვის მაშინ ყოვ-
 კვ ლისა შინა გამოსასული ყოველთა გამომსრდელი ძადლი შენი
 მსახურებდა ნებისა მიმართ მკმარებელთა ❖ რათა ისწაონ ძეთა
 შენთა რომელიცა შეიუწარგენ უფალო, რამეთუ არა ნაყოფი ნაშობ-
 თა ზრდის კაცთა, არამედ სიტყუა შენი მოწმუნეთა შენთა დაი-
 კხ ცავს ❖ რამეთუ რომელი ცეცხლითა არა განსწრწილნი მსწრაფლ
 მცირისაგან მზისა შარვეანდისა განსურვებული აღორძინდებოდა ❖
 კც რათა საცნაურ იყოს ყოველთა, რამეთუ ჯერ არს წინა ძლოლად
 მზისა ძადლობასა ზედა შენისა, ჰ აღმოსავლეთისა მიმართ ნათლი-
 კთ სსა შენდა თაყუანის ცემად ❖ რამეთუ უმაღლოსა სასოება ვითარ-
 ცა ზამთრისა თრთული დადნების, ჰ მოედინების ვითარცა წყალი
 უკმარი .

თ ა ვ ი ი ზ .

ა რამეთუ დიდ არიან სასჯელნი შენნი უფალო, ჰ მნიად გამე-
 ბ სათქმელ: ამისთვის უწრთველნი სულნი შესცთეს ❖ რამეთუ ჰკონე-

¹ ბ მოსე ივ. დ მოსე ია. ფსალ. ოზ. იოანე კ. დ ეზდრ. ა.

ბდეს უსჯულონი ძალ ეოფად წარმართთასა წმიდასა, ¹⁾ კრულ-
 ნი ბანლისანი ღ კრძელითა ლამითა შეკრულნი, ღ კრძალულნი
 საფარველსა ქუჭშე, სალტოლველსა საუკუნესა მიუვანებულნი მდე-
 ბარებდენ ზ რამეთუ დაფარვად ჰკონებდეს საუნჯეთა შინა ცოდვი-
 ლთა, უნათლოსა დავიწეებისა საბურველითა განიბნივნეს, განლი-
 ნებულნი უკეთურად, ღ საშინელებითა შეპრწუნებულნი ზ რამეთუ
 არცა მწერობელნი მათი საფარველსა უშიშებისასა დაიცევდა, სო-
 ლო ოხრანი გამოძავალნი შეამრწუნებდეს მათ, ღ მოჩვენება შეჭმუ-
 ნვილნი მწუნარითა ჰირითა გამოეცხადებოდეს ზ ღ ცეცხლისა უკუჭ
 არცა ერთი ძალი შეუძლებდა განათლებად, არცა ვარსკჳლავთა
 ბრწეინვალენი აღნი შეუძლებდა განათლებად მუნ ღამესა საშინელ-
 სა ზ სოლო გამოუჩნდებოდა მათ გარნა მოსწრაფე ცეცხლი შიში-
 თა სავსე, სოლო საშინელებითა იმით საოცრებითა ჰკონებდენ
 უმწარეს ეოფად ხილულსა ზ სოლო მოკვობისა ეელოვნებისასა
სიონისათვის არა დადუმენ, და იერუსალიმისათვის არ დაუცადო, ვიდრემდისცა გამოვიდეს ვითარცა ნათელი სიძარტლე ჩემი, სოლო მაცხოვარება ჩემი ვითარცა ლამაზი აღენთოს და ისილონ ნათესავთა სიძარტლე შენი, და მეფეთა დიდება შენი, და გეწოდის შენ სასელი შენი ახალი, რომელი უფალმან სასელი სდვას მას და იყო გვრვან შეჭრიერების კელსა შინა უფლისასა, და მარავანდ მეფობისა კელსა შინა ღმთისა შენისასა და არღა მერმე გეწოდოს დატევებულ, და ქუჩუნასა შენსა არა ერქვას ოკერ, რამეთუ შენ გეწოდოს ნება ჩემი, და ქუჩუნასა შენსა მკვდროანი, და სათნო იუოს უფალმან შენ შორის და ქუჩუნა შენი დამკვდრებულ იქმნედ და ვითარცა ჭაბუკმან დამკვდრებულმან ქალწულსა თანა, ეგრეთ დაიმკვდრონ მეთა შენთა, და იუოს ვითარ სასედ იხარებს სიძე სძალსა ზედა, ეგრეთ იხარებდეს უფალი შენ ზედა და ზღუდეთა შენთა ზედა იერუსალიმ, დაუადგინენ მცველნი სრულსა დღესა და სრულსა ღამესა, რომელნი სრულიად არა დადუმენ მომკვსენებელნი უფლისანი და რამეთუ არა არს თქუჩუნდა მსგავს, უკეთუ განჭმართო და ჭყო იერუსალიმი სიქადულ ქუჩუნასა ზედა და ფუცა უფალმან დიდებისა მიმართ თვისისა, და ძაღისა მიმართ მკლავისა თვისისა, უკეთუ მერმე მივსცე იფქლი შენი, და ჭამადნი შენნი მტერთა შენთა, და უკეთუ მერმე სუმიდენ შენი უცხონი ღვინოსა შენსა რომელსა ზედა დაჭმულ და არამედ შემკრებელნი ჭამდენ მათ და აქებდენ უფალსა, და შემკრებელნი სუმიდენ მათ ეზოთა შინა ჩემთა წმიდათა და ¹⁾ განვედით ბჭეთა მიერ ჩემთა, და ვსა უფავთ ერსა ჩემსა, და ქვანი გზისაგან განასრიეთ, აღიღეთ სასწაული წარმართთა მიმართ და რამეთუ აჭა უფალმან ეო სასმენელ, ვიდრე დასასრულამდე ქუჩუნისა: ²⁾ არქუთ ასულსა სიონისასა აჭა მაცხოვარი მოვი-

¹⁾ ზემ. ნზ. — ²⁾ ზირაქ. თ. მათე კ.

და შენდა, მქონებელი სასიყიდელსა თვისსა, და საქმე მისი წინაშე ზი-
 იბ რსა მისსა და და უწოდოს მას ერი წმიდა გამოკსნილ უფლისა მიერ,
 ხოლო შენ გეწოდოს გამოძიებულ ქალაქ, და არ დატყვებულ.

თ ა ვ ი მ ბ.

• ვინ არს ესე მომაჯადო ედომით გამო, სიმეწაძულე სამოსელთა
 მისთა ბოსორით გამო, ესე ქუჩნიერ სამოსლისა თანა მისისა, მაი-
 ბ მსჯავრსა მაცხოვარებისასა და ¹⁾ რაღსათუს შენნი მეწაძულ შესამო-
 გ სეღნი, და საბლარდნელნი შენნი ვითარცა წნესისაგან საწნესლისა,
 ბ საესედ დარგუნვილისა და საწნესელი დავთრგუნე მარტომან და ნა-
 დ თესავთაგანი არა არს მამა-კაცი ჩემთანა და დავთრგუნენ იგინი გუ-
 ე ლის წურომისა მიერ, და დავვქვენ იგინი ვითარცა ქუჩუანა, და შთავი-
 ღ დი და სისხლი მათი ქუჩუანად მიმართ და შეისვარა სამოსელი ჩე-
 ე მი და ²⁾ რამეთუ დღე მისაგებელისა მოიწია მათ ზედა, და წელიწა-
 ვ დი გამოკსნისა წარმოდგა და და მე ვიხილე, და არა იყო შემწე, და
 კ განვიცადე და არა ვინ თანა იღუწიდა, და გამოიკსნნა იგინი მკლავ-
 კ მან ჩემმან, და გულის წურომა ჩემი ეწია და და დავთრგუნენ იგინი
 რისხუთა ჩემითა, და შთავიყვანე სისხლი მათი ქუჩუანად მიმართ და
 ზ წყალობა უფლისა მოვიკსენე, სათნოებანი უფლისანი ყოველთა
 შინა რომელ მომაგეს ჩუჭნ, უფალი მსაჯულ სასიერ სახლისა ის-
 ტ რაელისა მოაწევს ჩუჭნ ზედა წყალობისა ებრ მისისა, და სიმრავ-
 ტ ლისა ებრ სიმართლისა მისისა და და თქუა არა ერი ჩემი არსა შუ-
 თ ლებ, არა უარ იქმნენ, და ექმნა მათ მაცხოვარება და ყოვლისაგან
 ჭირისა მათისა, არ მოციქულმან არცა ანგელოზმან, არამედ თუთ
 უფალმან აცხოვნნა იგინი, სიყვარულისათუს მათისა და რიდებისა
 მათისა, თუთ მან იკსნნა იგინი, და აღიხუწნა იგინი, და აღამაღლნა
 ი იგინი ყოველთა დღეთა საუკუნოსათა და ხოლო იგინი ურჩ ექმნეს, და
 ი განაძუნეს სული წმიდა მისი, და გარდაექცა მათ უფალი მტერად და
 ი იგი ებრძოლა მათ და და მოიკსენა დღეთა საუკუნეთა, სადა არს მო-
 ი ა სე და ერი მისი: ³⁾ სადა არს რომელმან აღმოიყვანა ქუჩუანისაგან

¹⁾ მოხა ით. — ²⁾ ზემორ. ღდ. — ³⁾ გამოს. იდ.

მწეემსი ცხოვართა თვსთა, სადა არს რომელმან დადვა მათ შორის სული წმიდა ✱ რომელმან აღმოიყვანა მარჯუტნითა მოსე, მკლავ- იბ
 მან დიდებისა მისისამან, ესრეთ მოიყვანე ერი შენი, განძლიერდა წყალი ჰირის ჰირ მისსა, ქმნად თავისა თვსისა სასხელსა საუკუნე-
 სა ✱ განიყვანნა იგინი უგზოსა მიერ, ვითარცა ცხენი უდაბნოსა- იგ
 გან, და არა დაშურეს ✱ და ვითარცა საცხოვარი ველისაგან, ეოფე- იდ
 ღთა მოვიდა სული უფლისა მიერ და გზა უყო მათ, ესრეთ განიუჭა-
 ნე ერი შენი ეოფად იგი სასხელად დიდებისა ✱ ¹⁾ მოიქცე შეცით იე
 უფლისა გამო და იხილე სახლით გამო წმიდით შენით და დიდებით,
 სადა არს შური შენი, და ძალი შენი, სადა არს სიმრავლე წყალო-
 ბისა შენისა, და შემწენარებელობათა შენტა, რამეთუ თავს მისხენ
 ჩუტნ ✱ რამეთუ შენ ხან მამა ჩუტნი, რამეთუ აბრაჰამმან არა მიც- იგ
 ნა ჩუტნ, და არცა ისრაელ შემისწავლნა ჩუტნ, არამედ შენ უფალო
 მამათ ჩუტნო მიკსნენ ჩუტნ, დასაბამითგან სახელი შენი ჩუტნ ზედა
 არს ✱ რაჲსა შემაცთუნენ ჩუტნ უფალო გვისაგან შენისა, განაფი- იზ
 ცხენ გუღნი ჩუტნნი არ შეშინებად შენგან, მოიქცე მონათა შენტა
 თვს, და ნათესავისათვს სამკუდრებელისა შენისა ✱ რომელთა მცი- იწ
 რედ დავიმკუდროთ მთისა წმიდისა შენისა: წინა აღმდგომთა ჩუტნ-
 თა შეგვაიწროეს ჩუტნ, და დათრგუნეს სიწმიდე შენი ✱ ვიქმნენით ით
 ვითარცა დასაბამსა ოდეს არა გქმთავრობდ ჩუტნ, არცა იწოდა
 სახელი შენი ჩუტნ ზედა.

თ ა ვ ი ლ.

შეეთუ განაღო ცაჲ ძრწოლამან შეიპურნეს შენგან მთანი ✱ და ა,ბ
 დადნენ ვითარცა ცვლი დადნების ცეცხლისაგან, და შეწუნეს ცეცხ-
 ლმან წინა აღმდგომნი, და საჩინო იეოს სესხელი უფლისა წინა
 აღმდგომთა შორის: ჰირისაგან შენისა წარმართნი შემფოთნენ ✱
 ოდეს ჰყოფდე დიდებულთა, ძრწოლამან შეიპურნეს შენგან მთანი ✱ ¹⁾ გ
 საუკუნეთგან არა გუტნსმა არცა თვალთა ჩუტნთა იხილეს ღმერთი დ
 თვნიერ შენსა, და საქმენი შენნი რომელთა ჰყოფ მოძლოდეთა თვს
 წყალობისათა ✱ რამეთუ მიეკებოს მოქმედთა სიმართლისათა, და გ

¹⁾ ბ შუულ. კვ. ბარუქ. ბ.—²⁾ ა კორ. ბ.

კხანი შენნი მოკსენებულ იქმენ, აჰა შენ განგარისხენ ჩუტნ და ვცო-
 ჳდეთ, ამისთჳს შევსცეთით და ვიქმენით ვითარცა არა წმიდანი
 ჩუტნ უოველნი, და ვითარცა პონძი უწმინდური უოველი სიმართლე
 ჩუტნი, და დამოსცვენით ვითარცა ფურცელნი უსჯულოებათა ჩუტნ-
 თა თჳს, ესრეთ ქარმან წარმისტუნეს ჩუტნ, და არა არს მხდელი სა-
 სეელისა შენისა და მომკსენებელი შედგომისა შენისა, რამეთუ მიიქციე
 ზირი შენი ჩუტნგან, და მიძყენ ჩუტნ ცოდვათა ჩუტნთათჳს და აწ უფა-
 ლო მამა ჩუტნი სარ შენ, ხოლო ჩუტნ თიჳა, საქმე კველთა შენთა უო-
 ველნი და ¹⁾ ნუ ძრისხავ ჩუტნ უფალო ფრიად, და ნუ ქამსა შინა
 მოიკსენებ ცოდვათა ჩუტნთასა, და აწ მოიხილე უფალო რამეთუ
 ერი შენი ვართ ჩუტნ უოველნი და ქალაქი წმიდისა შენისა, იქმნა
 ოხერ, სიონი, ვითაცა უდაბნო იქმნა, იერუსალიმი და საწუვეარ სახ-
 ლი წმიდა ჩუტნი, და დიდება ჩუტნი, რომელი აკურთხეს მამათა ჩე-
 მთა, იქმნა ცეცხლით მოძწვარ, და უოველნი დიდებულებანი დაეც-
 ნეს და ამათ უოველთა ზედა თავს იდევე უფალო, და დაიდუმე და
 დამაძაბლენ ჩუტნ ფრიად.

თ ა ვ ი ლ.

²⁾ სჩინო ვექმენ ჩემთა არა მეძიებელთა, კვალოვე ჩემთა არ გა-
 მოძიებულთა, ვარქუ აქა ვარ ნათესავსა, რომელთა არა ხადეს
 სახელსა ჩემსა და განვიზურენ კელნი ჩემნი უოველსა დღესა ერისა
 მიმართ ურჩისა და მაცლილობელისა, რომელნი არა ვიდოდეს გსასა კე-
 თილსა, არამედ შემდგომად ცოდვათა მათთა და ერი ესე განმაძნებე-
 ლი ჩემი, წინაჲ ჩემსა მარადის ესენი უხორავენ მხილებათა შინა,
 და უკმევენ ალიზთა შინა და ეშმაკთა რომელნი არა არიან, და სა-
 ფლავთა შინა და ქვაბთა შინა დაიძინებენ სიხმართათჳს, რომელნი
 ჭამენ კორცსა ღორისასა და წუტნსა ნაკებთასა, შეგინებულ არიან
 უოველნი ჭურჭელნი მათნი და რომელნი იტყუან შორს ჩემგან ნუ
 შემომხებები მე რამეთუ წმიდა ვარ, ესე კვამლი გულის წერობისა
 ჩემისა, ცეცხლი ალატუდების მის შორის უოველთა დღეთა და აჰა
 დაწერილ არს წინაჲ ჩემსა არ დავიდუმო ვიდრემდისცა მივაგო, და

¹⁾ ფსალ. ოტ.—²⁾ რომ. ა.

კვალად ვაგე წიაღთა მათთა ❖ ცოდვანი მათნი, & მამათა მათთანი
 ერთბაშად იტყვს უფალი, რომელი უკმევდეს მათთა ზედა & ბორ-
 ცქეთა ზედა მუჭუჭდრეს მე, კვალად ვაგენე საქმენი მათნი წიაღსა მათ-
 თსა ❖ ესრეთ იტყვს უფალი, ვითარ სახედ იპოების კუფსალი
 ტევანსა შინა, & იტყვან ნუ განჭრუენი მას, რამეთუ კურთხევა
 უფლისა არს მის შორის, ეგრეთ ვყო მძონებელისათჳს ჩემისა,
 ამისთჳს არა წარუწყმიდნე ეოფელნი ❖ & კამოვიევიანო იაკობისაგან
 თესლი & იუდასაგან, & დაიმკვდროს მთა წმიდა ჩემი, & დაიმკვდ-
 რონ რჩეულთა ჩემთა & მონათა ჩემთა, & დაემენენ მუნ ❖ & იეფ-
 ნენ ძაღნარსა შინა ესონი სამწესოთანი, & ჰევი აქორისი განსა-
 სტუნებელად ძროწყულთა ერისა ჩემისათა რომელთა გამოძიიეს
 მე ❖ ხოლო თქუენ დაძტევებელნი ჩემნი, & დამვიწყებელნი მთისა
 წმიდისა ჩემისანი, & განმზადებელნი ეშმაკისათჳს ტაბლისანი, &
 აღმავსებელნი ბედისათჳს განზავებულსანი ❖ მე განგცნე თქუენ
 მასჯლისა მიძარტ, ეოფელნი კლვითა დაეცნეთ: ¹⁾ რამეთუ გიწოდე
 თქუენ & არ შეისმინეთ, ვიტყოდე & ურჩ იქმნენით, & ჰევათ ბო-
 როტი წინაშე ჩემისა, & რომელნი არ მინდეს გამოიჩინეთ ❖ ამის-
 თჳს ამათ იტყვს უფალი აჰა მძონებელნი ჩემნი ჰამდენ, ხოლო
 თქუენ გპიოდის, აჰა მძონებელნი ჩემნი სუმიდენ, ხოლო თქუენ
 გწყუროდის, აჰა მძონებელნი ჩემნი იშვებდენ, ხოლო თქუენ
 გრცხუენოდის ❖ აჰა მძონებელნი ჩემნი იხარებდენ მსიარულებით,
 ხოლო თქუენ ჰლადადებდეთ ტკივილისათჳს გულისა თქუენისა,
 & შემუსრვისაგან სულისა ჰვაებდეთ ❖ რამეთუ დაუტევეთ სასელი
 თქუენი სამაძღროდ რჩეულთა ჩემთა, ხოლო თქუენ მოგსრავს
 უფალი, ხოლო მძონებელთა ჩემთა ეწოდოს სასელი ახალი ❖ რო-
 მელი იკუროხოს ქუჭუენასა ზედა, აკურთხევედენ ღმერთსა ჰემძარი-
 ტსა, & ძეფუცავნი ქუჭუენასა ზედა ფუცავნ ღმერთსა ჰემძარიტსა,
 რამეთუ დაივიწყონ ჰირი მათი ჰირველი, & არა აღჯდეს გულსა
 ზედა მათსა ❖ ²⁾ რომელი იყოს ცაჲ ახალი & ქუჭუენა ახალი, &
 არღა მოიკსენონ ჰირველთა მათ არცა არა მოუკდეს გულსა მათსა

¹⁾ ივკ. ა. იერემ. 5. ჰეგ. ავ. — ²⁾ ჰეგ. ავ. გამოც. კა. ბ ჰეტ. გ.

იტ ზედა * არამედ შუშბა და მხიარულება ჰოვონ მას შინა რამეთუ აჭა
 ით მე ვჭყოფ იერუსალიმსა სიხარულად და ერსა ჩემსა შუშბად * და
 ვინარებდე იერუსალიმსა ზედა, და ვიშუშბდე ერსა ჩემსა ზედა, და
 არღა მერმე არა ისმეს მის შორის მერმე კმაჲ ტირილისა, არცა
 კ კმაჲ ეივილისა * არცა იქმნეს მუნ უყამო და მოხუცებული, რომე-
 ლმან არა ადავსოს ყამი თუხი რამეთუ იეოს ჭაბუკი ასთა წელთა,
 კა რომელი მოკუტდეს ცოდვილი ასთა წელთა და წყეულ იეოს * და
 აშენებდენ სახლთა, და იგინი დაემკვდრნენ, და ჭნერკვდენ ვენაჲთა და
 კბ იგინი ჭამდენ ნაყოფთა მათთა * და არა აღაშენენ და სხვანი დაე-
 მკვდრნენ, და არა ჭნერკვდენ და სხვანი ჭამდენ: რამეთუ დღეთა ებრ
 სისა ცხოვრებისათა იუჲნენ დღენი ერისა ჩემისანი, საქმეთა ნა-
 კგ შრომთა მათთასა დაამტყლებენ * რამეთუ რჩეულნი ჩემნი არ და-
 შურებინან ცუდად, არცა შვილ ისხმენ საწყეუარად, რამეთუ თესლი
 კდ იუჲნენ * ¹⁾ და იეოს ჰირველ ვიდრე კმობადმდე მათდა, მე ვისმინო
 კე მათი, ჯერეთ თქუმასადა მათსა ვრქვა რაჲ არს * მაშინ ²⁾ მკელნი
 და კრავნი მოვდენ ერთბაზად, და ლომი ვითარცა ხარი ბჲესა ჭამდეს,
 ხოლო გტყლი ქუტყანასა ვითარცა ჰურსა, და არა ავნებდენ, არცა
 განჭრეჲნიდენ მათსა წმიდასა ჩემსა, იტყუეს უფალი.

თ ა ვ ი მ.

ა ¹⁾ ესრეთ იტყუეს უფალი, ცაჲ საუღარ ჩემდა, ხოლო ქუტყანა კვარ-
 ბ ცხლბეკ ფერეთა ჩემთა რომელი სახლი ადგილი მიშენოთ მე, თქუა უფა-
 ლმან, და რომელი ადგილი განსტყნებისა ჩემისა * რამეთუ ესე
 ეოველი შექმნა კელმან ჩემმან, და ჩემნი არიან ეოველნი ესე იტყუეს
 უფალი, და ვის ზედა მივისილო არამედ ანუ მდაბალსა ზედა და მეუ-
 გ დროსა და მძრწოლარესა სიტყვათაგან ჩემთა * ხოლო უსჯულო და
 მკლველი ჩემდა სვარაკისა ვითარცა მცემელი კაციისა, და მემსხუტრ-
 ზლე სამწესოთ ვითარცა დამკლველი ძაღლისა, და მომღებელი სა-
 მინდოსა, ვითარცა სისხლი ღორებრი, მიმცემელი გუნდრუკსა მო-
 საჯსენებელად, ვითარცა მემობარი, და ამათ გამოირჩინეს გზანი მ-

¹⁾ ფსალ. ლა.—²⁾ ზემორ. აა.—³⁾ საქმე დ.

თნი, & სამაგელებანი მათნი, რომელნი შეიუვარნა სულმან მათმან & დ
 & მე გამოვარჩინე სამაგელებანი მათნი, & ცოდვანი მათნი, კვალად
 ვაკნე მათ ¹⁾ რამეთუ უწოდე მათ & არა მერჩდეს მე, ვეტუოდე & ე
 არა ისმინეს, & ქმნეს ბოროტი წინაშე ჩემსა, & რომელნი არა მნე-
 ბვიდეს აღიჩინეს & ისმინეთ სიტყვა უფლისა მძრწოლარეთა სი-
 ტყვსაგან მისისა არქუთ ძმად თქუწნდა მოძულეთა თქუწნთა & ე
 მოძულეებულთა, რათა სახელი უფლისა იდიდოს, & იხილვოს სი-
 ხარულსა შინა მათსა, & იგინი სირცხვლეულ იქმნენ & კმა ზახი-
 ლისა ქალაქისაგან, კმა ტაძრისაგან კმა უფლისა რომელი მიაგებს
 მისაგებელსა წინა აღმდგომთა & ჰირველ ვიდრე ღმობისა შობა, & ს
 & ჰირველ ვიდრე მოსლვად ტკივილისა ღმობათასა განერა & შვა
 წული & ვის ესმა ესე ვითარნი & ვინ იხილა ესრეთ, უკეთუ ილმო
 მიწამან ერთსა შინა დღესა, ანუ იშვა ნათესავი ერთ გზის, რამეთუ
 ილმო & შუნა სიონმან ერმანი თჯნნი & სოლო მივიეც სასოება
 ესე, & არ მომიჯსენე მე & თქუა, უფაღმან, არა აჭა მე მშობელი & დ
 ბერწი შევქმენა, თქუა ღმერთმან & იხარებდ იერუსალიმ & კრება
 ეავთ მას შინა ეოველთა მოუვარეთა მისთა, & დამკვდრებულთა მი-
 სთა, იხარეთ სიხარული ეოველთა, რავდენნი ჰკოდებდეთ მის ზე-
 და & რათა სწოვდეთ & განძდეთ მუძუდსაგან ნუგეშინისცემისა მი-
 სისა, რათა მწოვნელნი იმუჭბდეთ შემოსლვისაგან დიდებისა მი-
 სისა & ამათ იტყვს უფალი, აჭა მე მოვაქციო მათ ზედა ვითარცა
 მდინარე მძვდობისა, & ვითარცა ღვარი წარმრღუნელი დიდებისა
 წარმართთასა, ერმანი მათნი მკართა ზედა აღისუნენ, & მუკლთა ზე-
 და ნუგეშინისცემულ იქმნენ & ვითარ დედა ვინმე ნუგეშინის სცემნ, ე
 ეგრეთ მეცა ნუგეშინის ცცე თქუწნ, & იერუსალიმს შინა ნუგეშინის
 ცემულ იქმნეთ & & იხილეთ & განიხაროს გულმან თქუწნმან, & დ
 ძვალნი თქუწნნი ვითარცა მდელი აღმოსცენდეს & ეცნობოს კელი
 უფლისა მოშიძთა მისთა, & უთქმიდენ ურჩითა მათ & რამეთუ აჭა
 უფალი ვითარცა ცეცხლი მოიწიოს, & ვითარცა გრიგალი ეტლნი
 მისნი კვალად გებად შურის მიებისა გულის წურომით, & დვენად

¹⁾ იგავი ა. იერემ. 9. ზემ. 49.

ივ აღითა ცეცხლისათა ზ რამეთუ ცეცხლითა უფლისათა ისჯოს
 უოველი ქუჭუნა, ზ მახჯლისა მიერ მისისა უოველი ჯორცი, მრ-
 იზ ვალნი წელუღნი იუჟენ უფლისა მიერ ზ უბიწო ქმნილნი, ზ გა-
 ნწმედლილნი მტლილთა შორის, ზ წინა ბჰეთა შორის მჰამელნი კო-
 იწ რცსა ღორისასა, ზ სამაგელებანი ზ თაგუნი, ერთბამად აღისოც-
 იო მენიერ ვარ, ზ მივაგო მათ, აჰა მოვალ შეკრებად უოველთა ნათე-
 მათ თანა სასწაული, ზ განვაგლინე მათგან ცხოვნებულნი წარმართთა
 მიმართ, თარშიდ ზ ფუდდ, ზ ლუდდ, ზ მოსოსდ, ზ თოველდ, ზ
 ელლადად მიმართ, ზ ჭალაკთა მიმართ შორიელთა, რომერთა არა
 ესმა სახელი ჩემი, არცა იხილეს დიდება ჩემი წარმართთა შორის ზ
 კ ზ მოჰგუარნენ მძანი თქუწნი უოველთაგან წარმართთა ძღვნად
 უფლისა, ცხენებისა თანა, ზ ეტლებისა კარაულებისა ზ კერძო ვი-
 რთასა, საჩრდილობელთა თანა წმიდად ქალაქად იერუსალიმად,
 თქუა უფალმან, ვითარ იგი მოიღებდეს მენი ისრაილისანი მსხუჭ-
 რჯლებსა მათსა ჩემდამო მსიარულებისა თანა, ზ ფსალმუნისა სასიღ-
 კა მიმართ უფლისა ზ ზ მათგანცა მოვიუვანე ჩემდა ძღუდელნი ზ ლე-
 კბ ვიტელნი, თქვა უფალმან ზ ¹⁾ რამეთუ ვითარ სახედ ცაჲ ახალი
 ზ ქუჭუნა ახალი რომელთა მე ვიქმ, რათა ეგოს მარადის წინაშე
 ჩემსა, იტყვს უფალი, ეგრეთვე ეგოს თესლი თქუწნი ზ სახელი
 ბბ თქუწნი ზ ზ იუოს თთუჭ თთუსაგან, ზ მბათი მბათისაგან, მო-
 ვიდეს უოველი ჯორცი თაყვანის ცემად წინაშე ჩემსა იერუსალიმს
 კდ შინა, თქვა უფალმან ზ ზ განვიდენ ზ იხილონ მვალეები კაცთა,
 კარდამავალთა ჩემდამო, ²⁾ რამეთუ მატლი მათი არა დაესრულოს
 ზ ცეცხლი მათი არა დაშრტეს, ზ ივენენ სახილველ უოველისა ჯო-
 რცისა.

დასასრული წიგნისა ესაია წინასწარმეტყველისა, აქვს თავისა შორის
 თვისსა თავი მე.

¹⁾ გამოც. კა. — ²⁾ მარკ. თ.

წინასწამეტყველება იერემიასი

თ ა ვ ი ა.

სიტყვა ღმთისა რომელი იქმნა იერემიას ზედა ექელკისი-
სა მდდელთაგანსა, რომელი მკუდრ იყო ანათოთს შინა, შორის
ქუჭყანასა ბენიამენისსა ❖ რომელი იქმნა სიტყვა უფლისა მისდა
მიმართ, დღეთა შინა იოსიასთა მისა ამონისთა მეფისა იუდასთა,
წელსა მებათცამეტესა მეფობისა მისისასა ❖ ღ დღეთა შინა იოაკი-
მისთა, მისა იოსიასთა მეფისა იუდასთა, ღ მიაღსასრულთამდე მე-
თერთმეტისა წლისა სედეკიასისა მისა იოსიასა, მეფისა იუდასსა,
ვიდრე ტვეობამდე იერუსალიმისა, *მესუთესა შინა თთუჭსა ❖ ღ
იყო სიტყვა უფლისა ჩემდამო მეტყუელნი ❖ ზირველ ჩემგან აღზე-
ლადე მუცელსა შინა გიცი შენ, ღ ზირველ გამოსლვისა შენისა სა-
შოთ განგწმიდე შენ, წინასწარმეტყველად ნათესავისა მიმართ დაგ-
დეგ შენ ❖ ღ ვარქუ მოფო მეფეო უფალო, აჭა ვერ ზედ მიმწოდო
ვარ ზრახვად, რამეთუ უჭახუკეს ვარ მე ❖ ღ თქუა უფალმან ჩემდა-
მო, ნუ იტუვ ვითარმედ უჭახუკეს ვარ მე, რამეთუ უოველთა მიმართ
რომელთაცა განგავლინო შენ მიხვდე ღ უოველთა ებრ რაოდენნიცა
გამცნნე შენ იტეოდი ❖ ნუ შეშინდები ზირისაგან მათისა რამეთუ
შენთანა ვარ მე, განრინებად შენდა, იტუვს უფალი ❖ ღ განეო უფა-
ლმან კელი მისი, ღ შეასო ზირსა ჩემსა, ღ თქვა უფალმან ჩემდა-
მო, აჭა მე გცენ სიტყვანი ჩემნი ზირსა შენსა ❖ აჭა დაგადგინე
შენ დღეს ნათესავსა ზედა ღ მეფობას ¹⁾ აღმოფხურად ღ აღთხრად
ღ წარწემედად, ღ აღშენებად ღ დანერგვად ❖ ღ იქმნა სიტყვა უფ-
ლისა ჩემდამო მეტყველი, რასა ზედავ შენ იერემია, ღ ვარქუ არგა-
ნსა ნიგჭისისასა ვხედავ მე ❖ ღ თქუა უფალმან ჩემდამო, კეთილად
იხილე, მით რამეთუ მღვძარე ვარ მე სიტყვათა ზედა ჩემთა ქმნად
მათდა ❖ ღ იქმნა სიტყვა უფლისა მეორედ ჩემდამო მეტყველი, რა-
სა ზედავ შენ, ღ ვარქუ, სიავსა ქუჭმეთ მკზებარესა, ღ ზირი მისი

¹⁾ ქვემოთ .

იდ ზირისაგან ჩრდილოსა ❖ ¹⁾ და თქუა უფალმან ჩემდამო ზირისაგან
 ჩრდილოსა, აღევსენ ბოროტნი ყოველთა ზედა დაძვდრებულთა
 იე ქუჩუანისათა ❖ რამეთუ აჰა მე მოუწოდო ყოველთა მეფობათა
 ჩრდილოსაგან ქუჩუანისა, იტყვს უფალი, და მოვიდენ და დადვენ
 თითოეულმან საუღარი თვისი წინა კართა ზედა ბჭეთა იერუსალე-
 მისათასა და ყოველთა ზედა ზღუდეთა გარემოს მისსა, და ყოველ-
 იე თა ზედა ქალაქთა იუდასთა ❖ და ვისრასო მათღა მიმართ მსჯა-
 ვრისა თანა ყოვლისათჳს უკეთურებისა მათისა, ვითარ დაძიტე-
 ვეს მე და უკეს ღმერთთა უცხოთა, და თაყვანის სცეს ნაქმრებსა
 იხ ყელთა მათასა ❖ და შენ მოირტყენ წელნი შენნი და აღდეგ და
 თქუენ მათდამი ყოველთა რაოდენთა გამცნებ მე შენ, ნუ შეიძინებ
 ზირისაგან მათისა, ნუცა სწწნეულობ წინაშე მათსა რამეთუ შენთანა
 იწ ვარ მე, განრინებად შენდა, იტყვს უფალი ❖ ²⁾ აჰა დაგდეგ შენ დღე-
 ინდელსა შინა დღესა ვითარცა ქალაქი ძნელი და ვითარცა სუტტი
 რკინისა და ვითარცა ზღუდე რვალისა ძლიერი, ყოველთა მეფეთა იუ-
 დასთად, და მთავართა მისთა და მღდელთა მისთა და ერისა ქუჩუანი-
 თსად ❖ და გბრძოდინ შენ და ვერ უძლებდენ შენდამი, მით რამეთუ მე
 შენთანა ვარ, განრინებად შენდა, იტყვს უფალი.

თ ა ვ ი ბ.

ა,ბ და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამო მეტყუესელი ❖ ვიდოდე და აღმო-
 იკითხე უერთა მიმართ მეთა იერუსალიმისათასა მეტყუესელმან, ამათ
 იტყვს უფალი, მოვიკსენენ წყალობანი სიჭაბუკისა შენისანი და სი-
 ევარული სრულებისა შენისა, შეუდეგ რაჲ შენ წმიდა ისრაილისასა,
 გ იტყვს უფალი, უდაბნოსა ქუჩუანასა უთესველსა ❖ წმინდა უფლისა ის-
 რაელი, დასაბამი ნაშრომთა მისთა ყოველნი მჭამელნი მისნი ცოდვეს,
 დ ბოროტნი მოიწინენ მათ ზედა, იტყვს უფალი ❖ ისმინეთ სიტყვა უფ-
 ლისა სახლო იაკობისო, და ყოველნი ტომნი სახლისა ისრაელი-
 ე სნო ❖ ამათ იტყვს უფალი ³⁾ რაჲ ზოეს მამათა თქუენთა ჩემთანა
 შეცოდება, რამეთუ განდგეს ჩემგან, და ვიდოდეს შემდგომად ამაო-სა-
 ვთა, და ამაო იქმნენ ❖ და არა თქუეს სადა არს უფალი აღმომეწინე-

¹⁾ ჰევ. დ. — ²⁾ ჰევორე ვ. — ³⁾ მიქია ვ.

ბელი ჩუწნი ქუწყანისაგან ეგვპტისა, დ გვძოდა ჩუწნ უდაბნოსა
 ზედა, ქუწყანასა მას უქმსა დ უვალსა, ქუწყანასა შინა ურწუელსა
 დ უნაყოფოსა, დ აჩრდილსა სიკუდილისასა, ქუწყანასა რომელსა
 შინა არ განვლო მის შორის მამა-კაცმან, არცა დაემკვდრა მუნ მე
 კაცისა ზ დ შემუწანებელი ჩუწნი კარმელისა მიმართ, ჭამად ნაყო-
 ფოა მისთა დ კეთილთა მისთა, დ შესუწდით დ შეაგინეთ ქუწყანა
 ჩემი დ სამკვდრებელი ჩემი დასდევით სამაგელეზად ზ მღღელთა
 არა თქუწს, სადა არს უფალი, დ მეცნავთა სჯულისა ჩემისათა არა
 მიცნეს მე, დ მუეემსნი უთხოობენ ჩემდამო, დ წინასწარმეტყუწლ-
 ნი უწინასწარმეტყუწლებდეს ბაალსა, დ უკანა ურგებთასა ვიდო-
 დეს ზ ამისთჳს მერმეცა განვისჯებოდო თქუწნდამი, იტუვის უფალი,
 დ ძეთა მიმართ ძეთა თქუწნთასა განვისაჯოვე ზ რამეთუ განვლეთ
 ჭალაკთა მიმართ ქეტიმიმისთა დ იხილეთ, დ კიდა რადმი მიავლი-
 ნეთ დ გულის სმა ეავთ ფრიად, დ იხილეთ უკეთუ იქმნეს ესე ვი-
 თარნი ზ უკეთუ სცვალებენ წარმართნი ღმერთთა ძათთა, დ იკინი
 არა არიან ღმერთნი, სოლო ერმან ჩემმან შეიცვალა დიდება თჳსი,
 რომლისაგან არა რგებულ იქმნეს ზ განჭკრთა ამას ზედაცა დ გა-
 ნცვფრდა უფროს ფრიად, იტუჯს უფალი ზ რამეთუ ორნი ძურნიცა
 ქმნა ერმან ჩემმან, მე დამიტევეს წუარო წუელისა ცხოველისა დ
 უთსარნეს თავთა ძათთა ჯურღმულნი განკურეტილნი, რომელნი
 ვერ შემძლებელ არიან დაჭურობად წუელისა ზ ნუ მონა არსა ისრაე-
 ლი, ანუ სახლის ნაშობი არს იაკობი, რადსათჳს წარსატყუწნველ
 იქმნა ზ მის ზედა იზახდეს ლომნი დ მოსცეს კმა ძათი რომელთა
 დააწესეს ქუწყანა მისი უჩინო საქმელად, დ ქალაქნი მისნი დაი-
 ქცეს არა დამკვდრებისა მიერ ზ დ ძეთა მამფისათა დ ტაფანასათა
 გიცნეს შენ დ კემღერდეს შენ ზ არა ესენი გიუვნაა შენ დატევებუ-
 ლმან შენგან ჩემმან, იტუჯს უფალი ღმერთი შენი, ჟამსა მოუვანები-
 სა შენისასა გზასა ზედა ზ დ აწ რად არს შენი დ გზისა ეგვპტი-
 სა, სუმაღ წუალი გიონისა, დ რად შენი დ გზისა ასურასტანელ-
 თასა, სუმაღ წუალი მდინარეთა ზ კსწავლენ შენ განდგომილება-
 მან შენმან, დ უკეთურებამან შენმან გამსილენ შენ, დ ცან დ იხილე

ზ
 ტ
 თ
 ი
 ია
 იბ
 იგ
 იდ
 იე
 ივ
 იზ
 იტ

ვითარმედ მწარე არს შენდა დატყვება ჩემი, იტყუეს უფალი ღმერთი
 შენი, და არა სათნო ვიყო შენ ზედა, იტყუეს უფალი ღმერთი შენი და
 რამეთუ საუკუნით განსაძეგნეს შენ უფალი შენი, და განჭსეთქენ ანაურ-
 ნი შენნი და სთქუ, არა გმონო შენ, ¹⁾ არამედ წარვიდე ყოველსა
 ზედა ბორცუთა მალასა, და ქუჩებზე ყოველსა ხესა ჩრდილოვანსა,
 შენ დავითხოვი სიძვისა მიერ ჩემისა და ²⁾ სოლო მე დაგნერგე შენ
 ვენაჯი ნაყოფის გამოძლებელი ყოვლად ჭეშმარიტი, ვითარ გარდაი-
 ქვეც სიმწარედ ვენაჯი უცხო და უკეთუ განიბანო ბავრუკითა, და გა-
 ნიმრავლენ თავისა შენისა მდელონი, შევიწებულვე ხარ უსამართ-
 ლობებათა მიერ შენთა წინაშე ჩემსა, იტყუეს უფალი და ვითარ იტ-
 ყუეს არ შევიგინე, და უკანა ბაალისსა არა ვიდოდე, ისილენ გზანი
 შენნი სამრავალ კაცოს შინა, და ცან რაჲ ჭეაჲ და მწუსრი კმითა
 მისითა ვალაღებდა, გზანი მისნი განავრცნა წყალთა ზედა უდაბ-
 ნოსათა, გულის თქმათა შინა სულისა მისისათა სულ შემოსილო
 ბდა, მიეცა ვინ მოაქციოს იგი, ყოველნი შემეიბებლნი მისნი არა
 დაშტრენ, სიმდაბლესა შინა მისსა ჰოონ იგი და მოაქციე ფერვი შე-
 ნი გზისაგან ფიცხელისა, და კორკი შენი წყურილისაგან, სოლო
 მან თქუა ვმხნდები, ვმხნდები რამეთუ შეიფუარნა უცხონი, და შემდ-
 გომად მათსა ვიდოდა და ვითარცა სირცხული მხარავისა ოდეს შეი-
 ზურას, ეგრეთ სირცხულეულ იქმნენ შენი ისრაელისანი, რამეთუ
 მათდა მეფეთა მათთა, და მთავართა მათთა და მღვდელთა მათთა, და
 წინასწარმეტყველთა მათთა და მელსა ჭრქუჭ, ვითარმედ მამა ჩემი
 ხარ შენ, და ქვასა შენ მძევ, ³⁾ და მომაქცინეს მე ზურგნი, და არა
 ჰირნი მათნი, და მას ჟამსა ძურთა მათთასა თქუან, აღდეგ და გან-
 კვარინენ ჩუენ და და სდა არიან ღმერთნი შენნი რომელნი უქმნენ
 თავსა შენსა, უკეთუ აღდგენ და განგარინონ შენ ჟამსა შინა განბო-
 როტებისა შენისასა, ⁴⁾ რამეთუ რიცხვსაებრ ქალაქთა შენთასა,
 იუენეს ღმერთნი შენნი იუდა, და რიცხვსაებრ საგსაურთა იერუსა-
 ლიმიდათა უხორვიდეს ბაალსა და რაჲსათჳს იტყუთ ჩემდამო, თქუენ
 ყოველნი უთნო იქმენით ჩემდამო, იტყუეს უფალი და და თქუენ

¹⁾ ჭეშმარიტ გ. — ²⁾ ესაია ე. მათე კა. — ³⁾ ჭეშმარიტ ლა. — ⁴⁾ ჭეშმარიტ იუ.

ყოველი უსჯულოებით, მამად მოვსრენ შულნი თქუტნი, წურ-
 თა არ შეიწინარეთ: მასჯლმან მასჯამნა წინასწარმეტუტნი თქუტნი-
 ნი ვითარცა ლომმან მომსრეკლმან, ჰ არ შეიძინეთ ❖ ისძინეთ სი-
 ტუტუ უფლისა: ამათ იტუჯს უფალი, ნუ უდაბნო ვექემს ისრაელსა,
 ანუ ქუტუენა განკორდებულ, მით რამეთუ თქუა ერმან ჩემმან, ჰ
 უუფლო ვიუტნეთ, ჰ შენდა არლა მოვიდეთ მერმე ❖ ნუ დაივიწ-
 ეის სძალმან სამკაული თუსი, ჰ ქალწულმან მკერდის შესაკრავი
 თუსი, სოლო ერმან ჩემმან დამივიწუა მე დღეთა რომელთა არა არს
 რიცხვ ❖ რადა კეთილი მოიველოვნო გუათა შინა შენთა მიებად
 შეუტარებისა, არა ესრე არამედ შენცა უკეთურებდე შევინებად გუათა
 შენცა ❖ ჰ გელთა შინა შენთა იზოვა სისხლები სულთა უბრალო-
 თა, არა შეთხრასა შინა ჰჰოვენ იგინი, არამედ ნუ ყოველთა თანა
 მუსათა ❖ ჰ სთქუ უბრალო ვარ, არამედ მიიქეცინ გულის წერო-
 მა მისი ჩემგან, აჰა მე განვისაჯები შენდამი თქუმიხათუს შენგან,
 არა ვცოდე ❖ რამეთუ უკულებელს ჰჰავ ფრიად ჰ მრჩობლები
 გუათა შენთა, ჰ ეგჯტითცა სირცხლეულ იქმენ, სირცხლეულ
 იქმენ ასურეთით ❖ რამეთუ ამიერცა განვეხვიდე, ჰ გელნი შენნი
 თავსა ზედა შენსა, რამეთუ განავდო უფალმან სასოება შენი, ჰ არ
 წარგემართოს მას შინა.

თ ა ვ ი ა.

უკეთუ განავდინოს ქმარმან ცოლი თუსი, ჰ წარვიდეს მის-
 გან, ჰ იქმენს ქმრისა სხუსა, ნუ მოიქცევით მოქცესა მისდამი მერ-
 მე, არა შევინებით შევიგინოსა დედა-კაცი იგი, ჰ შენცა განჰმეძვენ
 მწუემსთა შორის ძრავალთა, ჰ მოაქციე ჩემდამო, იტუჯს უფალი ❖
 აღისუტნი თუბლნი შენნი მართლიად, ჰ ისილე სადა არ შეიმწიკუ-
 ლე, გუათა ზედა დასჯდე მათ თანა ვითარცა ევაგი, მოკურებული
 მარტო, ჰ შეავინეს ქუტუენა სიძვათა მიერ შენთა, ჰ უკეთურებათა
 მიერ შენთა ❖ ჰ გაქუნდეს მწუემსნი ძრავალნი საბრკედ თავისა თ-
 სისა, შესახედავი მეძუსა იქმნა შენდა უსირცხლეობად ყოველთა
 მიმართ ❖ არა ვითარცა სახელი მიწოდე მე, ჰ მამა წინამძღვარ
 ქალწულებისა შენისა ❖ ნუ დაადგურეს უკუნისამდე, ანუ დაცვულ

იქმნეს სამღვეველად, აჰა სთქუტნ ღ ჰქმნენ ძურნი ესე ღ შეუძლე ✨
 3 ღ თქუა უფალმან ჩემდამო დღეთა შინა იოსია მეფისათა: ¹⁾ ისილენ
 რომელნი მიუტნა მე სახლი ერობამან ისრაელისამან, წარვიდა ეო-
 6 ველსა ზედა მთასა მალალსა, ღ ქუტმე ეოველსა ხესა ვარჯოანსა,
 8 ღ ისიძვა მუნ ✨ ღ ვარქუ შემდგომად სიძუსა მისისა ამათ ეოველ-
 10 თასა, ჩემდა მოაქციე ღ არ მოაქცია, ღ ისილა უსაობა მისი უსა-
 12 ჳობამან იუდა ✨ ღ ვინილე რამეთუ ეოველთათჳს რომელთა დატევებულ
 14 იქნა, რომელთა შინა იმრუშებდა სახლობა ისრაელისა, ღ განვავლი-
 16 ნე იგი, ღ მივეც მას წიგნი განტევებისა ჳელთა ზედა მისთა, ღ
 18 არა შეძინდა უსავი იუდა დაჲ მისი, ღ წარვიდა ღ ისიძვა მანცა ✨
 20 ღ იქმნა არა რაჲდ სიძვა მისი, ღ შესვარა ქუტმეანა, ღ იმრუშა
 22 მელი ღ ქვა ✨ ღ ამათ ეოველთა ზედა არა მოიქცა ჩემდამო უსავი
 24 იუდა ღ დაჲ მისი, ეოვლით გამო გულისა მისისათ, არამედ ტუუი-
 26 იას ჳამო, თქუა უფალმან ✨ ღ თქუა უფალმან ჩემდამო, განიმარ-
 28 თლა სუელი თჳსი ცთომილმან ისრაელმან, უსავობისა მიერ იუდა-
 30 ის ✨ ვიდოდენ ღ წარვიკითხენ სიტუტანი ესე - ჩრდილოდ მიმართ ღ
 32 თქუ, მოიქეცით ჩემდამო სახლობა ისრაელისა, იტუჯს უფალი, ღ
 34 არ განვიტკიცო ჳირი ჩემი თქუტნ ზედა, რამეთუ მოწუალე ვარ
 36 მე, იტუჯს უფალი, ღ აგრე ძურის მჳსენებელო თქუტნ უკუნისამდე ✨
 38 ოდენ ცან უსამართლოება შენი, ვითარმედ უფლისა მიმართ ღუთი-
 40 სსა შენისა უთნო იქმენ, ღ გარდასთხიენ გჳანი შენნი უცხოთა მი-
 42 მართ, ქუტმე ეოვლისა ხისა ვარჯოანისა, სოლო ჳმისა ჩემისა არა
 44 ისმინე, იტუჯს უფალი ✨ მოიქეცით შენი განდგომილისანი, იტუჯს
 46 უფალი, მით რამეთუ მე დაგეუფლო თქუტნ ღ მიგინუნე თქუტნ
 48 ერთი ქალაქისაგან, ღ ორნი ტომისაგან, ღ შეგიუტანნე თქუტნ
 50 სიონად ✨ ღ მიგცნე თქუტნ მწუემსნი გულისაებრ ჩემისა, ღ გმწესი-
 52 დენ თქუტნ მმწესელნი ჳელოვნებით ✨ ღ იუოს უკეთუ გამრავლდეთ
 54 ღ აღორანდეთ ქუტმეანასა ზედა, იტუჯს უფალი, ღ მათ დღეთა შინა,
 56 არა თქუან მერმე კიდობანი აღთქუძისა წმიდისა ისრაილისა, არა
 58 აღვიდეს გულსა ზედა, არცა სახელ იდვას მის შორის, არცა ზედ
 60 განიხილვოს ღ არა იქმნას მერმე მათ დღეთა შინა ✨ ღ იუოს მას

ის

1) ჳე. ბ.

ჟამსა შინა უწოდდენ იერუსალიმსა საედარ უფლისა, ჰ შეკრბენ
 მისდამი ყოველნი წარმართნი, სასელითა უფლისათა იერუსალი-
 მად, ჰ არა ვიდოდინ მერმეცა შედგომად მოგონებათა მათთა გუ-
 ლისა უკეთურისათა ✱ მათ დღეთა შინა თანად მოვიდენ სახლი
 იუდასი, სახლსა თანა ისრაილისსა, ჰ მოვიდენ ერთბამად ჩრდი-
 ლოთ ვამო, ჰ ყოველთაგან სოფლებთა ქუჭყანისა მომართ რომე-
 ლი დაუძვდრეს მამათა მათთა ✱ ჰ მე ვთქუ იუავნ უფალო, ოდეს
 დაგაწესო შენ შეილად, ჰ მიგცე შენ ქუჭყანა რჩეულად, სამკვდ-
 რებელად სასელოვანი, ღუთისა ყოვლისა მჰყრობელისად წარმარ-
 თთასა, ჰ ვთქუ მამად მსადო მე ჰ ჩემგან არა განსდგე ✱ გარნა
 ვითარ იცრუის დედა-კაცმან თანა მეოფისამე თვისსა, ეგრეთ იც-
 რუნ ჩემდამო სახლმან ისრაილისამან, იტყვს უფალი ✱ კმა ბაგე-
 თაგან ისმა ტირილისა ჰ ვედრებისა მეთა ისრაილისათა, მით რა-
 მეთუ იმპლავრნეს გზათა მათთა შინა, დაივიწყეს ღუთისა წმიდისა
 მათისა ✱ მოიქცეთ მენო მომქეველნო ჰ გაჭნგუონნე შემუსრვი-
 ლებანი თქუჭყნნი: აჰა მისილენ ჩუჭნ შენნი ვართ, რამეთუ შენ
 უფალი ღმერთი ჩუჭნი სარ ✱ ნანდულ ტყუილი სადმე იუჭნეს
 ბორცუნი, ჰ მადლი მათთა გარნა უფლისა მიერ ღუთისა ჩუჭნისა,
 მაცხოვარება ისრაილისა ✱ ხოლო სირცსულმან განლინა რუდუ-
 ნებანი მამათა ჩუჭნთანი სიჭაბუკითგან მათით, ცხოვარნი მათნი ჰ
 სჭარაგნი მათნი, მენი მათნი ჰ ასულნი მათნი ✱ დავიძინეთ სირ-
 ცსულსა შინა ჩუჭნსა, ჰ ზედ დამფარნა ჩუჭნ უხატყოებამან ჩუჭნ-
 მან, მით რამეთუ წინამე ღუთისა ჩუჭნისა ვცოდეთ ჩუჭნ, ჰ მამა-
 თა ჩუჭნთა სიჭაბუკით ჩუჭნითგან, ვიდრე ამის დღისამდე ჰ არა
 ვისძინეთ კმისა უფლისა ღუთისა ჩუჭნისა.

იტ
 ით
 კ
 კა
 კბ
 კგ
 კდ
 კე

თ ა ვ ი დ.

უკეთუ მოიქცევით ისრაილ, იტყვს უფალი, ჩემდა მომართ
 მოიქცეს, ჰ უკეთუ მოიძნეს საძაგელნი მათნი ჰირისაგან მისისა,
 ჰ ჰირისაგან ჩემისა შეიძინოს ✱ ჰ ფუცოს ცხოველ არს უფალი
 ჰემმარტებისათანა, ჰ მსჯავრისა მიერ ჰ სიძარტლისა ჰ აკურთ-
 სევდენ მის შორის ნათესავნი, ჰ მისთანა აქებდენ ღმერთსა იერუ-

ა
 ბ

გ სალიმს შინა ✠ რამეთუ ამით იტყუეს კაცთა იუდასთა ღ დაძვდრე-
 ბულთა იერუსალიმს ¹⁾ იანეულებით თავთა თჯსთად ანეულნი, ღ ნუ
 დ სთესავთ ეკალთა ზედა ✠ წინ დაცვიითე ღუთისა თქუწნისად, ღ წინა
 დაგეცვთოს დაუცუწთილობა გულისა თქუწნისა კაცნო იუდასნო,
 ღ დაძვდრებულნო იერუსალიმს, ნუ გამოვიდეს ვითარცა ცეცხლი
 ე გულის წერომა ჩემდა აღეტყინეთ, ღ არა იუოს დამშრეტელ ჰირი-
 ე საგან უკეთურებისა სიმარჯვეთა თქუწნთასა ✠ იქადაგენ იუდას
 შორის, ღ სასმენელ იქმენინ იერუსალიმს შინა, არქუთ და ეცით
 საეჯრსა ქუწყანასა ზედა, ღ დაღაღავთ დიდად, არქუთ შეკერბით ღ
 ე შევიდეთ ქალაქთა მიმოზღუდვილთა ✠ აღმძვებლნი შეივლტოდეთ
 სიონად, ისწრაფეთ ნუ სდგათ, ²⁾ რამეთუ ძურთა მოვაწევ მე ჩრდი-
 ზ ლოთ გამო, ღ შემუსრვასა დიდსა ✠ აღმოვიდა ლომი საუუდლისა-
 გან თჯისა, ღ მომსრველმან ნათესავი აღიღო, ღ გამოვიდა ად-
 გილისაგან თჯისა დაღებად ქუწყანა შენი მოსაოჯრებელად, ღ
 ტ ქალაქნი მენნი დაირღუწნ, უძვდრობისა მიერ მათისა ✠ ამით ზე-
 და გარე მოირტეთ მამები, ღ იტყებდით ღ ვალაღებდით,
 მით რამეთუ არა მოიქცა გულის წერომა რისსჯსა უფლისა თქუწნ-
 თ გან ✠ ღ იუოს მას დღესა შინა, იტყუს უფალი, წარწემდეს გული
 მეფისა ღ გული მთავართა, ღ მღვდელნი განკრთენ, ღ წინასწარმე-
 ი ტუწლნი განჭკვრდენ ✠ ღ ვარქუ ✠ მეუფეო უფალო ნუსადა ცთუ-
 ნებით აცთუნე ერი ესე ღ იერუსალიმი მეტუწლმან მძვდობა იუოს
 ია თქუწნდა ღ შეასო მასჯლმან ვიდრე სულად მათდამდე ✠ მას ქამსა
 შინა ჭრქუნ ერსა ამას ღ იერუსალიმსა, სული შეცთომილობისა
 უდაბნოსა შინა გზად ასულისა ერისა ჩემისა არა გაწმედა მიმართ
 იბ არცა ღ სიწმიდელ ✠ სული, წმიდისა მიმართ სავსებისა მოვიდეს
 ჩემდა ამათგან, სოლო აწ მე ვთქუნე სასჯელნი ჩემნი მათდა მი-
 იკ მართ ✠ აჭა ესერა ღრუბელა აღმოჯდეს, ღ ვითარცა ნიავექარი, სა-
 ჭურველნი მათნი, უსუბუქესი არწივთასა ცხენნი მათნი, ვად ჩუწნ
 იდ რამეთუ დავკლასაკენით ✠ განბანე უკეთურებისაგან გული შენი
 იერუსალიმ, რათა სცხოვნდე, ვიდრემდის არიან შენ შორის გულის

¹⁾ ისაი ოზ.—²⁾ ზემოთე ა.

სიტყვანი ტკივილად შენდა ❖ მით რამეთუ ვაძ მიმთხრობელისა და-
 ნით მოიწია ჰ სასმენელ იქმნეს ტკივილი მთით ეფრემისით ❖
 მოიკსენენით ნათესავნო, აჰა მოვიდეს მიუთხართ იერუსალიმს მო-
 რის, გუნდნი მოვლენ ქუჭყანისაგან შორიელისა, ჰ მოსცეს ქალა-
 ქთა ზედა იუდასთა ვაძ მათი ❖ ვითარცა მცველნი აგარაკისანი იქ-
 მნეს მათ ზედა გარემოს, რამეთუ მე უგულუებელს მეავ იტყვს უფა-
 ლი ❖ ¹⁾ გზათა შენთა ჰ სიმარჯუჭთა შენთა გიუჭნეს ესენი შენ, ჰ
 ესე უკეთურება შენი, რამეთუ მწარე არს, რამეთუ შეესო ვიდრე გუ-
 ლად შენდამდე ❖ მუცელი ჩემი მუცელი ჩემი მელმის ჰ საგრძნო-
 ბელნი ჩემისა შეირევიან გულისნი, სული ჩემი განიჭრების, ჰ
 გული ჩემი არა დავსდუმე, რამეთუ ვმისა საუჯრისა ისმინა სულ-
 მან ჩემმან, ღაღადება ბრძოლათა და საარება ❖ შემუსრვათა შემუს-
 რვასა ზედა ხადეთ, რამეთუ საარებულ იქმნა ყოველი ქუჭყანა მვის,
 საარებულ იქმნა კარავი, ჰ იკსნეს ზღუდენი კარვისა ჩემისანი ❖
 ვიდრემდის ვხედვიდე მტოლვარება, მესმის ვაძ საუჯრთა ❖ მით
 რამეთუ წინამძღვართა ერისა ჩემისათა მე არა მიცოცეს, შენი უც-
 ნობონი არიან, ჰ არა გულის ხმის მყოფელნი ბრძენ არიან ბო-
 როტის ყოფად, ხოლო კეთილისა ქმნასა ვერ შეეძცნეს ❖ მივხე-
 დე ქუჭყანასა ზედა ჰ აჰა არა რაჲ, ჰ ცად მიმართ ჰ არა იუჭნეს
 ნათელნი მისნი ❖ ვიხილენ მთანი ჰ იუჭნეს მძწოლარე, ჰ ყოველ-
 ნი ბორცუნი შერეულ ❖ მივხედენ ჰ არა იყო კაცი, ჰ ყოველთა
 მფრინველთა ცისათა ეშინოდა ❖ ვიხილე ჰ აჰა კარძელი მოოჯრე-
 ბულ ჰ ყოველნი ქალაქნი მომწვარ ცეცხლითა ჰირისაგან უფლისა
 ჰ ჰირისაგან რისხვსა გულის წერომისა უჩინო იქმნეს ❖ ამათ
 იტყვს უფალი, ოკერ იყოს ყოველი ქუჭყანა ხოლო აღსასრული
 არა ყო ❖ ამას ზედა იგლოვდინ ქუჭყანა, ჰ დაბნელდინ ცაჲ ზე-
 გარდამო, რამეთუ ვიტყოდე ჰ არა შევინანო, მივიმართე ჰ არა გა-
 რე მივიქცე მისგან ❖ ვმისაგან ცხენობისა ჰ მორთსმულისა მმუ-
 ლდისა, განემორს ყოველი სოფლები შეიმაღნეს ქუაბებთაძი, ჰ სა-
 მალავთა შინა დაიმაღნეს, ჰ კლდეთა მიმართ აღვიდეს, ყოველი ქა-

იე
იუ
იზ
იჭ
ით
კ
კა,კბ
კბ
კდ
კე
კვ
კზ
კჭ
კთ

¹⁾ სიბრძ. ა.

წ ლაქი დაშთა არა მკვდრ არს მათ შინა კაცი ❖ ო შენ რაჲ ჰყო, უკეთუ შეიმოსო მოწეული, ო შეიმკოს სამკაული ოქროსა ო უკეთუ იცხო თვალთა შენთა საგრემილველი ამაოსა მიმართ არს მომკაულები შენი, განვიშორეს შენ ტრფიალთა შენთა, სულსა შენსა გმიებენ ❖ რამეთუ კმაჲ ვითარცა მღმობეელისა მესმა, სულთქმათა შენთა, ვითარცა ჰირველ მშობიარისა კმაჲ ასულისა სიონისა განიკსნას ო წარადგინეს კელნი მისნი, ვაჲ მე რამეთუ მოაკლდა სული ჩემი მოკუტილთა ზედა.

თ ა ვ ი ა.

ს რბიოდეთ გზათა შორის იერუსალიმისათა, ო იხილეთ ო ცნათ, ო იძიეთ უბანთა ზედა მისთა უკეთუ ჰხოოთ კაცი, ანუ არს მოქმედი მსჯავრისა, ო მეძიებელი სარწმუნოებისა, ო მღსინებელ ვიო ბ მათდა, იტყვს უფალი ❖ ცხოველ არს უფალი იტყვან ამისთვს არა გ ტუილსა ზედა ფუცვენ უფალი ❖ თვალნი შენნი სარწმუნოებად მიმართ, ჰკუჭმენ იგინი ო არა სტკიოდა, მოსრენ იგინი ო არა ინებეს მითვალვად წუერთაჲ, განიმეარნეს ჰირნი მათნი უფროს დ კლდისა ო არა ინებეს მოქცევა ❖ ო მე ვთქუ ნუ უკუჭ კლასაკნი არიან მით რამეთუ ვერ შეუძლეს, რამეთუ არა იცნეს გზა უფლისა, ე ო სასჯელი ღუთისა ❖ მივიდე მდიდართა მიმართ ო ვეზრასო მათ, რამეთუ მათ იცნეს გზა უფლისა ო სასჯელი ღუთისა, ო აჰა ერთბამად ვ შემუსრეს უღელი, განსეთქნეს საკრველნი ❖ ამისთვს დაესსა მათ ლომი მადნართ, ო მეკლმან ვიდრე სასლთამდე მოსწევიდნა იგინი, ო ვეფხმან იღვიბა ქალაქთა მათთა ზედა, ვოველნი გამოძავალნი მათგან მონადირებულ იქმნენ, რამეთუ განმრავლდეს უთნობანი ზ მათნი, მლიერად გარე მიქცევასა მათსა შინა ❖ რომელთა ამათ თვს მღსინებელ გეო შენ, მეთა შენთა დამიტევეს მე, ო ფუცვიდეს არა მეოფთა მიმართ ღმერთთა, ო განვამღენ იგინი ო იმრუშებდეს ო სალ ზლებსა შინა მეძავთასა ისადგურეს ❖ ¹⁾ ცხენებ დედალთ მბორკელ თ იქმნენ, თითოეული ცოლსა მოყუისისა თვისისასა შეჰკვოდა ❖ ნუ ამათ ზედა მოვიხილთა, იტყვს უფალი, ანუ ნათესავსა ზედა ესე ვი-

¹⁾ ეზგ. ბ.

თარსა შურ იგოს სულმან ჩემმან ✱ აღვედით კაცის თაფოანსა მი-
 სსა ზედა ზ დაარღვენით, სოლო აღსასრულსა ნუ ჰყოფთ, დაუტევე-
 ნით საფუძველნი მისნი, რამეთუ უფლისანი არიან ✱ რამეთუ შეუ-
 რაცხოფით შეურაცხება ეო ჩემდამო სახლმან ისრაელისამან, სა-
 ხლმან იუდასმან, თქუა უფალმან ✱ უტეუა უფალსა თუსსა, თქუა
 უფალმან, ზ თქუტს არა არიან ესე, არა მოვიდენ ჩემ ზედა ბორო-
 ტნი, ზ მახული ზ სიუმილი არა ვიხილოთ ✱ წინასწარმეტყუტლნი
 ჩუტნნი იუტნეს ქარად, ზ სიტყვა უფლისა არა იეო მათ შორის,
 ესრეთ იეოს მათდა ✱ ამისთუს ამას იტეუს უფალი ღმერთი, ეო-
 ვლისა მჰერობელი, ამის წილ რომელ სთქუთ სიტყვა ესე, აჰა მე
 მივსცენ სიტყვანი ჩემნი ზირსა შენსა ცეცხლად, ზ ერი ესე შეშებ,
 ზ შეჰამენით იგინი ✱ აჰა მე მოვაწიო თქუტს ზედა ნათესავი შო-
 რით სახლო ისრაელისაო, იტეუს უფალი: ნათესავი ძლიერი, ნათე-
 სავი დასაბამისა არს ზირველ ნათესავი საუკუნითგანი, ნათესავი
 რომლისა არ გესმოდის ენა მისი, ზ არცა გესმნეს რომელსა გე-
 ტეოდეს ✱ კაზარტნი მისნი ვითარცა სამარე აღებული, ეოველნი
 ძლიერ ✱ ზ შეშამდენ სამკალსა თქუტსსა, ზ ჰურთა თქუტსთა, ზ შე-
 შამდენ ძეთა თქუტსთა ზ ასულთა თქუტსთა, ზ შეშამდენ ზუარაკთა
 თქუტსთა, ზ ცხოვართა თქუტსთა, ზ შეშამდენ ვენაკთა თქუტსთა,
 ზ ლელოანსა თქუტსა, ზ ზეთის ზეოანსა თქუტსსა, ზ განლექნენ
 ქალაქნი მტკიცენი ჩუტნნი, რომელთა ესევედით მათდა მიმართ ზ
 მაკვლისა ✱ ზ იეოს მათ დღეთა შინა, იტეუს უფალი ღმერთი შე-
 ნი, არა გეუნე აღსაფხვრელ ✱ ¹⁾ ზ იეოს ოდეს სთქვათ, რაჟსათუს
 მიუტნა უფალმან ღმერთმან ჩუტს ეოველნი ესე, ზ ჰრქუა მათ, მის
 ძლიო რომელ დამიტევეთ მე, ზ ჰმონეთ ღმერთთა უცხოთა ქუტ-
 ვანასა შინა თქუტსსა, ეგრეთ ჰმსახუროთ უცხოთა ქუტუანასა შინა
 არა თქუტსსა ✱ მიუთხრენით ესე სახლისა მიმართ იაკობისსა, ზ
 სასმენელ იქმნენინ სახლისა მიმართ იუდასსა ზ არქუ ✱ ისმინენ
 ესენი ერმან სულელმან ზ უგულომან, თვალნი მათდა ზ არა ზედვენ,
 ყურნი მათდა ზ არა ესმისეუ ✱ ნუ ჩემგან არა შეიძინოთ, იტეუს

ი
ია
იბ
იგ
იდ
იე
ივ
იზ
იწ
ით
კა
კბ

¹⁾ ჰეპ. იე.

უფალი, ანუ ზირისა ჩემისაგან არ იწიწკოდით, რომელიმან დავაწესე
 ქვა საზღვრად ზღვსა, ბრძანებად საუკუნოდ, და არა შემთა აჭკდეს
 მას, და აღიძრას და ვერ შეუძლოს, და აღიტყველონ ღელვათა მისთა,
 და არა შემთა ჰხდენ მას და სოლო ერისა ამის იქმნა გული ურჩი
 და ურწმუნო, მიაქციეს და წარვიდეს და არა თქუტს გულთა შინა
 მათთა, შევიძინოთ უფლისაგან ღმთისა ჩუტნისა, მომცემელისა
 ჩუტნდა წუძისა მსთუასა და მცხუტდესა ჟამსა შინა დასრულებისასა
 ბრძანებასა მკისასა და დამიცვნა ჩუტნ და უსჯულოებათა თქუტნ-
 თა განდრიკენეს ესენი, და ცოდვათა თქუტნთა მოაკლენეს კეთილნი
 თქუტნგან და რამეთუ იხოვნეს ერსა შორის ჩემსა უღმრთონი, და
 მახენი ვითარცა საბრკენი, და საბრკენი ვითარცა სახე მონადირისა
 დაარწმუნეს განსაკრწნელად კაცთა და შეიპერობდეს ვითარცა
 მახე აღფოლხუტბული სახესე მფრინველებითა: ეგრეთ სასლნი მათ-
 ნი სახესე საკუთთა, ამისთჳს განდიდნეს და გამდიდრდეს და განასუ-
 ქნეს და განპოსნეს, და გარდაჭედეს სიტუვათა ჩემთა და მსჯავრსა: ¹⁾
 და არა მჯიდეს მსჯავრსა ობლისასა, და მსჯავრსა ქურივისასა არ
 სჯიდეს და ნუ ამათ ზედა არ მოვიხილოა, იტყუეს უფალი, ანუ ნა-
 თესავისაგან ესე ვითარისა არა შურ იგოს სულმან ჩემმან და გან-
 კრომა და შეძრწუნებანი იქმნეს ქუტყანასა ზედა და წინასწარმე-
 ტყუტლნი წინასწარმეტყუტლებენ უმართლოთა, და მღდელთა აღი-
 ტყუტლნეს კელნი მათნი, და ერმან ჩემმან შეიევაზო ესრეთ, და რამ
 ჰყავთ ამის შემდგომადთა შინა.

თ ა ვ ი ვ.

განძლიერდით მენი ბენიამისნი საშუალისაგან იერუსალიმი-
 სსა, და თეკუბათ გამოანიშნეთ საუჯრითა, და შემთა ბეთაქარისა აღი-
 ღეთ ნიშანი, რამეთუ ძურთა წარმოიჭურეს ჩრდილოთ, და შემუსრვა
 დიდი და იეოს მუტნიერისა მის და ფუფუნეულისა, და მიგედოს სი-
 ძაღლე მენი ასულო სიონისა და მისსა მიმართ მივიდენ მწეემსნი
 და სამწესონი მათნი, და აღდგენ მას ზედა კარავი გარემო მისა, და
 მწესიდეს თჳთოეული კელითა თჳსითა და განემსადენით მას ზედა

¹⁾ ესაია ა. ზაქარ. ზ.

ბრძოლად, აღდგეთ და აღვიდეთ მის ზედა ზუადლე, ვაჟ ჩუწნდა
 რამეთუ მიბრკა დღე, რამეთუ მოაკლდებიან აჩრდილნი მწუსრისა-
 ნი და აღდგეთ და აღვიდეთ დაბე, და განვსრწნეთ საფუძველნი მი-
 სნი და რამეთუ ამათ იტევს უფალი ღმერთი ძალთა, აღმოკაფენით
 სენი მისნი, და განმფენელი იერუსალიმსა ზედა ძალითა, და ქალაქი
 მტყუარნი სრული, მძლავრება მის შორის და ვითარ განაცვივის ჯურ-
 ღმუღმან წყალი მისი, ეგრე განაცვიოს უკეთურებამან მისმან, უმთ-
 ნოობა და საარება ისმეს მას შინა წინაშე ზირსა მისსა მარადის,
 ტკივილითა და გუჭმითა და იწუართოს იერუსალიმი, ნუ განკეძო-
 როს სული ჩემი შენგან, ნუ გეო შენ ქუჭყანად უვალად, რომელი
 არ დამკვდრებულ იქმნეს და რამეთუ ამათ იტევს უფალი ძალთა,
 მოჭკუფსლევდით ვითარცა ვენახსა ნებტსა ისრაილისსა, ზედ მიიქე-
 ცით ვითარცა მსთჴლებელი კუფხალთა ზედა მისთა და ვიეთ მიძარ-
 თოქუა და უწამებდე და სასმენელ იქმნეს, აჰა უმეტეუჭლე უურნი ძა-
 თი, და ვერ ძალუც სმენა, აჰა სიტუქა უფლისა იქმნა მათდა ეჭდ-
 რებად მიძართ, არა ინებონ სმენა მისი და და გულის წერობა ჩემი
 აღვაჴსე, და დავაჴენე, და არა მოვასრულენ იგინი, მიფინო ჩხუ-
 თა ზედა ვარემე, და შესაკრებელსა ზედა ჳაბუკათასა ერთბამად, რამე-
 თუ ქმარი და ცოლი შეპურობილ იქმნენ, მოსუცებული საჯისისა თა-
 ნა დღითა და და ვარდაცვალენ სასლნი მათნი სსვათა ველთამე და
 ცოლები მათი ეგრეთვე, რამეთუ განვირთსამ კელსა ჩემსა, დამკვდ-
 რებულთა ზედა ამის ქუჭყანისათა, იტევს უფალი და ¹⁾ რამეთუ მცი-
 რითგან მათით, და ვიდრე დიდადმდე ყოველთა აღასრულენს უსჯუ-
 ლონი, მღდელითგან და ვიდრე ცრუ წინასწარმეტეუჭლამდე ყოველთა
 ქმნეს ტეუილი და და ჳკურნებდეს შემუსრვილებასა ასულისა ერისა ჩემი-
 სასა, შეურაცს მეოფნი და მეტეუჭლნი მძდობა, მძდობა, და სადა არს
 მძდობა და სირცხლეულ იქმნეს რამეთუ მოაკლდეს, და არცა ვი-
 თარ სირცხლეულთა შეიკრიძეს, და უნატოვობა მათი ვერ აგრმნეს,
 ამისთჴს დაეცნენ დაცემულებასა შინა მათსა, და ჳამსა შინა მოსე-
 დესა მათისასა მოუძღურდენ, თქუა უფალმან და ამათ იტევს უფა-

ე
 ვ
 ხ
 ც
 თ
 ი
 ია
 იბ
 იგ
 იდ
 იე
 იფ

¹⁾ ესაია ნკ. ჳკმ. ც.

ლი დადგეით გზათა ზედა და იხილეთ, და იკითხენით ალაგნი უფ-
ლისანი საუკუნენი, და იხილეთ რომელი არს გზა კეთილი, და ვი-
დოდეთ მას ზედა: ¹⁾ და ჰქოთ უბიწო ეოფა სულთა თქუტნთა, და
იზ თქუტს არა ვიდოდით და დავადგინენ თქუტს ზედა ებგურნი, ის-
იზ მინეთ კმა ნესტუსა, და თქუტს არა ვისმინოთ და ამისთუს ესმა წარ-
ით მართთა, და რომელნი მწესიდეს სამწესოთა მათ შორის, და რაოდე-
მ ვეაჲ მათ შორის და ისმინე ქუტყანათა, აჲჲ მოვაწევ მე ერსა ამას
ზედა მკითა, ნაუოფსა მიქცევისა მათისასა, რამეთუ სიტყუასა ჩემსა
და არა ერჩდეს, და მჯუღი ჩემი განიმორეს და ²⁾ რაჲსათუს გუნდრუ-
კა საბაოთ მომართვამთ მე, და კინამოდოსა ქუტყანით შორით, ეო-
ვლად დასაწუტლნი თქუტნნი არა არიან მითუაღუღ და მსხუტრუტლნი
თქუტნნი არ მეტკბენეს მე და ამისთუს ამათ იტყუს უფალი, აჲჲ მე
მივსცემ ერსა ამას ზედა უძღურებასა, და მოუძღურდენ მის შორის
მამანი და მენი ერთბამად, მეზობელი და მომე მისი წარწემდენ და
კბ ამათ იტყუს უფალი, აჲჲ ერი მოვალს ჩრდილოთ, და ნათესავი დი-
დრი, და მეფენი მრავალნი აღდგენ დასასრულისაგან ქუტყანისა და
ბბ მძუდი და მასრავი ეპურას მძუნვარე არს და არ შეიწყოლოს, კმა მისი
ვითარცა ზღუა მღელვარე, ცხენებისა მიერ და საჭურველისა წვა-
ლობა ჰეოფს ვითარცა ცეცხლი ბრძოლად მენდამი ასულო სიო-
ბდ ნისაო და გუტსმა სასმენელი ეგე, და იგსნეს კელნი ჩუტნნი, ჭირ-
ბმ მან მომიცუნა ჩუტს სალმობათა ვითარ მშობიარისათა და ნუ გან-
ხვალთ ავარაკებად, და გზათა ზედა ნუ სვალთ, რამეთუ მასული
ბბ მტერთა მკვდრ არს გარემოს და ასულო ერისა ჩემისაო, გარე
მოირტე მამა, გარდაისს ნაცარი გლოვისაებრ სიურალისა, ეაჲ თა-
ვისა შენისა ტეება საწეალობელი, რამეთუ მეესა შინა მოიწიოს
კზ საარება თქუტს ზედა და გამოსაცდელად მივეც შენ ერთა შორის შე-
უენებულთა, და ცნობად გამოცდასა შინა ჩემდა გზისა მათისა და
კლ ეოველნივე უსმნი მავალნი დრკუდ, ვითარცა რვალი და რკინა ეო-
კო ველნი განხწწნილ არიან და მოაკლდა საბერველი ცეცხლისაგან,
მოაკლდა ბრუნე, ცუდი სადმე ვეცხლის მტედლობს, უკეთურებანი

¹⁾ მათე ია. — ²⁾ ესაია ი.

მათნი არა დადნეს ❖ ვეცხლ გამოუცდელ უწოდეთ მათ, რათა გამოსცადოს ივინი უფალმან (ისმინეთ სიტყუა უფლისა ეოველმან იუდეამან).

თ ა ვ ი ზ.

სიტყუა რომელი იყო იერემიას მიმართ უფლისა მიერ და ჰრქუა ❖ დადევ ბჭეთა სახლისა უფლისათა, და აღმოიკითხე სიტყუა ესე და არქუ ისმინეთ სიტყუა უფლისა ეოველმან იუდეამან რომელნი შეხვალთ ბჭეთა ამათ თაყუანისცემად უფლისა ❖ ამათ იტყვს უფალი ძალთა ღმერთი ისრაელისა: ¹⁾ განჰმაროენით გზანი თქუენნი და სიმაღუენნი თქუენნი, და დაგამკვდრნე თქუენ შორის ადგილსა ამას ❖ ნუ ეწავთ თავთა თვსთა სიტყუათა ზედა მტეუართა ვითარმედ რამთურთით არას მარგებენ ჩუენ მეტეუენნი ტამარი უფლისა, ტამარი უფლისა, ტამარი უფლისა არს ❖ რამეთუ უკეთუ განმმართებელთა განმართნეთ გზანი თქუენნი, და სიმაღლენი თქუენნი, და მეოფელთა ჰყოთ მსჯავრი შორის კაცისა და შორის მოუენისა მისისა ❖ და მწირსა და ობოლსა, და ქერივსა არა ჰმძლავრობდეთ, და სისხლსა უბრალოსა არა დასთხევდეთ ადგილსა ამას შინა და შედგომად ღმერთთა უცხოთასა არა ზვიდოდით, განბოროტებად თქუენდა ❖ და დაგამკვდრნე თქუენ ადგილსა შინა თქუენსა, ქუენანასა ზედა რომელი მივეც მამათა თქუენთა, საუკუნითგან და ვიდრე საუკუნომდე ❖ ხოლო უკეთუ თქუენ ესჯდეთ სიტყუათა მიმართ ცუდთა, ვინაჲ არას ირგებთ ❖ და ჰმკლველობდეთ და იმრუშებდეთ, და იზარვიდეთ, და ჰფუცვდეთ უსამართლოსა ზედა, და უკმევდეთ ბაალსა, და ზვიდოდით შემდგომად ღმერთთა უცხოთა, რათა არა უწეით (ბოროტ ეოფა თქუენდა) ❖ და მოხუენდით და დასდევით წინაჲ იემსა, სახლსა შინა სადა წოდებულ არს სახელი ჩემი მას ზედა, და სთქუთ განვემორენით ქმნად ეოველთა ამათ სამაკელებათა ❖ ²⁾ ნუ ქუაბ ავახავთა სახლი ჩემი რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი ჩემი მას ზედა მუნ წინაჲ თქუენსა, და აჰა ვიხილე, იტყვს უფალი ❖ რამეთუ ზვიდოდით ადგილსაჲ ჩემისა სილომს შინა რომელსა დაი-

¹⁾ ჰქემ. კვ.—²⁾ ესაია ნე. მათე კა. მარ. ია. ლუკა ით.

კარგა სახელმან ჩემდნ, მის ზედა მუნ უწინარეს, ღ იხილეთ რანი
 იუ უეჭუნ მას ჰირისგან უკეთურებისა, ერისა ჩემისა ისრაელისა ზ ღ
 აწ ამის წილ რომელ ჰქმნენით ყოველნი ესე საქმენი, ღ ვიტყოდე
 თქუნიდაძი, განთიად ვიტყოდი ღ არა ისმინეთ ჩემი, თქუა უფალ-
 იდ მან, ზ ღ გიწოდეთ თქუნი ღ არა მომიკეთ ზ ¹⁾ მეცა უკუტ უყო
 სახლსა ამას, რომელსა წოდებულ არს სასელი ჩემი მას ზედა რო-
 მლისაძი თქუნი ესავთ მის ზედა, ღ ადგილისა რომელი მიგეც
 იე თქუნი ღ მამათა თქუნითა ვითარ იგი უეავ სილოძსა ზ ღ განგვა-
 რნე თქუნი ჰირისგან ჩემისა, ვითარცა განვვარნე მძანი თქუნინი
 ივ ყოველი თესლი ეფრემისი ზ ²⁾ ღ შენ ნუ ილოცავ მწედ ერისა ამის,
 ღ ნუ იოხ შეწვალებად მათდა, ღ ნუ ილოცავ, ღ ნუ მოსვალ ჩემდა
 იხ ამათოჯს, რამეთუ არა ვისმინო შენი ზ ანუ არა ჰსედავ რასა ეგენი
 იტ ჰყოფენ ქალაქთა შორის იუდასთა, ღ გზათა შორის იერუსალემისა-
 თა ზ მენი მათნი შეჰკრებენ შემათა, ღ მამანი მათნი აღატყინებენ
 ცეცხლსა, ღ ცოლნი მათნი ზელენ ცმელსა, ქმნად ხავონანი ძალთა
 ცისათა და უგნეს საგებნი ღმერთთა უცხოთა რათა განძარისხონ მე ზ
 თ ნუ მე განძარისხებენა იგინი, თქუა უფალმან, არა თავთა თჯსთა რა-
 კ თა ჰრცხუნიწნეს ჰირთა მათთა ზ ამისთჯს ამათ იტყუს უფალი აწჰ
 რისხვა ღ გულის წეროძა ჩემი განეფინოს ადგილსა ამას ზედა, ღ
 კაცთა ზედა ღ საცხოვართა, ღ ყოველსა ზედა ხესა ველისასა, ღ
 ყოველთა ზედა ნაშროძთა ქუტყანისათა, ღ აღეგზნას ღ არა დაძრ-
 კა ტეს ზ ამით იტყუს უფალი ძალთა ღმერთი ისრაელისა, ყოვლად
 დასაწუტლნი თქუნინი, შეკრიბენით მსხუტრძლთა თქუნითათანა, ღ
 კბ ჰამეთ ვორცი ზ რამეთუ არა ვთქუ მამათა მიძართ თქუნითა, ღ არა
 ვამცენ მათ დღესა რომელსა შინა აღმოვიუტანენ იგინი ქუტყანი-
 საგან ეგვიპტისა, ყოვლად დასაწუტლთათჯს ღ მსხუტრძლთა ზ
 კგ არამედ ესე სიტყუა ვამცენ მათ, მეტყუტლმან დღესა რომელსა შინა
 აღმოვიუტანენ, ისმინეთ გმისა ჩემისა, ღ ვიყო მე თქუნიდა ღმერ-
 თად, ღ თქუნი იუენეთ ჩემდა ერად, ღ ვიდოდეთ ყოველთა ზედა
 გზათა ჩემთა, რომელნიცა გაძცენ თქუნი, რათა კეთილ იყოს

¹⁾ ივავი ხ. ესაია. მ. — ²⁾ ხ. მეფე დ. — ³⁾ ჰეგ. იდ.

თქუენდა ❖ ღ არა ისმინეს ჩემი, არცა მოუჭეს უური მათი, არამედ
 ვიდოდეს მოკონებათა შინა გულისა მათისათა ბორცოცისათა; ღ
 იქმნეს უკუპართანი, ღ არა წინა მართანი ❖ დღითგან რომლით
 გამოვიდეს მამანი მათნი ქუჭუანით ეგვტით, ღ ვიდრე დღისამდე
 ამის ღ გამოვაჟღინენ თქუენდამო ყოველნი მონანი ჩემნი წინას-
 წარმეტუჭლნი დღისა ღ ცისკარსა ღ მივაჟღინე ❖ ღ არა ისმი-
 ნეს ჩემი, ღ არა მოუჭეს უური მათი, ¹⁾ ღ განიფხეს ქედი მათი
 უფროს მამათა მათისა ❖ ღ ჭრქუა მათ სიტყუა ესე ღ არა ისმი-
 ნონ შენი, ხადრდი მათ ღ არა რაჲ მივაგონ შენ ❖ ღ ჭრქუა მათ
 ესე ნათესავი, რომელმან არა ისმინა კმისა უფლისა ღუთისა მისი-
 სსა, არცა შეიწინარა წურთილებაჲ, მოაკლდა სარწმუნოება ღ მოღე-
 ბულ არს ჭეშმარიტება ჰირისაგან მათისა ❖ აღზარსე თავი შენი ღ
 განაგდე, ღ აღიდე ბაგეთა ზედა გალობა, რამეთუ შეურაცხ გყო-
 უფალმან, ღ განიშორა ნათესავი მოქმედი ამათი ❖ რამეთუ ქმნეს
 მეთა იუდასთა ბორცოტი წინაჲჲ ჩემსა, იტყვს უფალი, ღ აწ ესმნეს
 სამაგელნი მათნი შორის სახლისა რომელსა წოდებულ არს სახე-
 ლი ჩემი მის ზედა, შეგინებად მისსა ❖ ღ აღაშენეს ბომონი ტაფე-
 თისი რომელ არს კევსა შინა მისა ენრომისსა, დაწვად მეთა მათთა,
 ღ ასულთა მათთა ცეცხლისა მიერ რომელი არა ვამცენ მათ, არცა
 მოვიდა გულსა შინა ჩემსა ❖ ამისთჳს აჴა დღენი მოვლენ, იტყვს
 უფალი, ღ არღა თქუან მერმე ბომონი ტაფეთისი, ღ ხევი მისა
 ენრომესი, არამედ კევი მოწუჭდითა, ღ დაჭოლენ ტაფეთს შინა
 არ ყოფისათჳს ადგილისა ❖ ღ იუენენ მკუდარნი ამის ერისანი,
 საჭმელ მფრინველთა ცისათა ღ მხეცთა ქუჭუანისათა, ღ არა იუოს
 წარმდეგენელი ❖ ²⁾ ღ მოვაკლო ქალაქთაგან იუდასთა, ღ საგსაურ-
 თაგან იერუსალემისათა კმა კეთილ მშუჭბიარისა, ღ კმა მოსარუ-
 ლისა, კმა სიძისა, ღ კმა სძლისა, რამეთუ მოსაოკრებელად იუოს
 ყოველი ქუჭუანა.

კდ
 კმ
 კპ
 კზ
 კტ
 კლ
 კლბ
 კლგ
 კლდ

1) ჰეპორე ოგ. — 2) ეზეკია კმ.

თ ა ვ ი ა.

ა **გ**ას ჟამსა შინა, იტყუეს უფალი, გამოისჯნენ ძვალნი მეფეთა
 იუდასთან, **ბ** ძე ძვალნი მთავართა მათთან, **გ** ძე ძვალნი წინასწარმეტ-
 ყუჭლთა მათთან, **დ** დამკვდრებულთანი იერუსალიმს საფლავთაგან
 მათთა **ე** **ვ** **გ**ანაჟმენ ივინა წინაჟე მისისა, **დ** წინაჟე მთოვარისა,
ე **ვ** წინაჟე ყოველთა ვარსკულავთა, **გ** წინაჟე ყოველისა ძვედრობისა
 ცისასა, რომელნი შეიყვარნეს **დ** რომელთა ჭმსახურეს, **ე** რომელ-
 თასა ვიდოდეს შემდგომად მათსა, **გ** რომელთა ერჩდეს, **დ** რომელ-
 თა თაჟვანისცეს მათ, არა ვინ ეტყუებდეს **ე** არცა ტიროდენ, არა შეი-
 კრიბნენ არცა დაეფლნენ, **გ** იუჟინ სამაგალითოდ ჰირისაგან ქუჭყა-
 ნისა **ე** რამეთუ აღიწიეს სიკუჭდილი ვიდრე ცხოვრება **დ** ყოველ-
 თა ნეშტთა დაშთომილთა ნათესავისა მისგან უკეთურისა, ყოველსა
 შინა ადგილსა დაშთომილი, რომელსაცა განჯვადნე ივინი მუნ, რა-
 მეთუ ამათ იტყუეს უფალი ძალთა **ე** **დ** ჭრქუა მათ ვითარმედ ამას იტყუეს
 უფალი, ნუ დაცემული არ აღდგების, ანუ მიქცეული არ მოიქცევის **ე**
ე რასათუჲს მიიქცია ერმან ამან **დ** ისრაელმან მიქცევითა ლიბრითა,
გ **დ** დაჟრობილ იქმნეს აღრჩევასა მათსა შინა, **დ** არა ინებეს მოქცე-
 ვად **ე** ყურად იღეთ **დ** ისმინეთ, არა ესრეთ იტყუდიან, არა არს
 კაცი შემნანებელი უკეთურებისაგან მისისა მეტყუჭლი რაჲ ვეჲ არა
 მოაკლდა მსრბოლი სასრბოსაგან თჯისა, ვითარცა ცხენი ოფ-
ბ ლიერი ჯვივილსა შინა მისსა **ე** **დ** ასიღამან ცათა შინა სცნა ჟამი თჯი,
 გურიტმან **დ** მჭურინავმან **დ** მერცხალმან, ველისა სირთა დაიცვნეს
 ჟამნი შემოსლვისა მათისანი, ხოლო ერმან ჩემმან არა ცნა სასჯე-
ც ლნი უფლისანი **ე** ვითარ იტყუთ ვითარმედ ბრმენნი ვართ ჩუჭნ,
დ სჯული უფლისა ჩუჭნ თანა არს, ამაოსა მიმართ იყო წილი
თ მტყუარი მწიგნობართა **ე** ერცხვნა ბრმენთა, **დ** დაინაბნეს **დ** მო-
 მედგოდეს, რამეთუ სიტყვა უფლისა შეურაცხუვეს, სიბრმე რაჲ არ
ი მათ შორის **ე** ¹⁾ ამისთუჲს მივსცნე ცოლნი მათნი სხვათა, **დ** ავარა-
 კნი მათნი მემკვდრეთა უცხოთა, რამეთუ მცირითგან მათით ვიდრე
 დიდადმდე მათთა ყოველივე ჭანვრობენ ანგრებსა, წინასწარმეტყუჭ-

¹⁾ ესაჲ ნვ. ზემორე ვ.

ლთავან ვიდრე მღვდელადმე მათთა, ყოველივე იქმენ სიცრუეჭსა ❖
 ღ ულხენდეს შემუსრვილებასა ას ულისა ერისა ჩემისსა უხატოდ, ღ ია
 იტყოდეს მძულობა, მძულობა, ღ სადა არა არს მძულობა ❖ რცხუჭ- იბ
 ნა რამეთუ საბაგელ იქმნეს, ღ სირცხული არავე შეირცხუნეს, ღ
 კდემულება არა ცნეს, ამისთვის დაეცნენ დაცემულთა თანა: ჟამსა მო-
 ხედვისა მათისასა მოუძღურდენ, თქუა უფალმან ❖ ღ შეჭკვებდენ იე
 ნამრომთა მათთა, იტყუეს უფალი, არა არს ურემენი ვენახთა შინა, ღ
 არს ლელუ ღელთანთა შორის, ღ ფურცელნი ღ მოსცუვეს, რომელ იდ
 მივეცით მათ, გარე წარგდა ❖ რასათუ ვსსეთთ ჩუჭნ შეკრებულად
 ღ შევიდეთ ქალაქებსა მადართა, ღ შევცვკეთ მუნ, რამეთუ ღმერთმან
 განმეარნა ჩუჭნ, ღ მასჩუ ჩუჭნ წყალი ნაღვლისა, რამეთუ ვცოდეთ
 წინაშე მისსა ❖ ¹⁾ შევეკრებით მძულობისათუ, ღ არა არიან კეთილ- იე
 ნი ჟამსა კურნებისასა, ღ აჭა სწრაფა ❖ დანით გუჭსმა ჟმა სიმა- ივ
 ხჯლისა ცხენთა მისთასა, ჟმისაგან ჟჯვილისა ცხენონსობისა ცხენ-
 თა მისთასა, შეიძრა ყოველი ქუჭყანა, ღ მოვიდეს ღ შეჭამოს
 ქუჭყანა, ღ საფსება მისი, ქალაქი ღ შინა დამკვდრებულნი მის შო-
 რის ❖ მით რამეთუ აჭა გამოვაჯღენ თქუჭნდამი გუჭლთა მაკუდი- იზ
 ნებელთა, რომელთა არა არს სასრვა, ღ გებენდენ თქუჭნ, იტყუეს
 უფალი ❖ უკურნებელად საღმობიერებითა გულისა თქუჭნისა უღო- იწ
 ნო ქმნულისათა ❖ აჭა ჟმა ღაღადებისა ასულისა ერისა ჩემისა
 ქუჭყანისაგან შორიელისა, ნუ უფალი არა არს სიონსა შინა, ანუ
 მეფე არა არს მუნ, მით რამეთუ განმარისხეს მე, ქანდაკებულთა მათ
 თუხს მიერ, ღ ამათა მიერ უცხოთა ❖ წარგდა მკაჲ, ღ წარვიდა კ
 ლეწვა, ღ ჩუჭნ ვერ განვერენით ❖ შემუსრვათა სედა ასულისა ერის- კა
 სა ჩემისათა დაბნელდა შეცბუნებულობა, მძლე მექმნეს მე ვითარცა
 საღმობანი მძობიარისანი ❖ ნუ რიტინი არა არს გალაადს, ანუ კბ
 მკურნალი არა არს მუნ, რადსათუხს არა აღვიდა კურნებად ასული
 ერისა ჩემისა.

თ ა ვ ი თ.

ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი, ღ თვალთა ჩემთა წყარო. ბ

¹⁾ ჰეპორე იდ.

ცრემლთა, ღ ვსტიროდი ერსა ამას ჩემსა დღე ღ ღამე, მოწყულულთა
 ბ ასულისა ერისა ჩემისათა ზ ვინ მომცეს მე უდაბნოს შინა სადგუ-
 რი უკანასკნელი, ღ დაუტევო ერი ჩემი, ღ წარვიდე მისგან, რამეთუ
 გ ყოველნი იმრუშებენ კრებული მეურაცს მეოფელთა ზ ღ მორთხმულ
 ეჭს ენა მათი, ვითარცა მძვლდი: ტუილი ღ არ სარწმუნოება გა-
 დ ნმლიერდა ქუტყანასა, რამეთუ ბოროტთაგან ბოროტთა მო-
 დ მართ გამოვიდეს, ღ მე არა მიცნეს, იტევის უფალი ზ კაცად
 კაცადი მოეჭისსაგან თვისისა ერიდენით, ღ მათა თქუტნთა ნუ ესავთ,
 რამეთუ ყოველი მმა წიხლითა წიხლვიდეს, ღ ყოველი მეგობარი
 ე საკულად ვიდოდის ზ კაცად კაცადი ძუნად მოეჭისსა თვისისა მო-
 კიცხარობს, ჭეშმარიტება არა თქუას, ისწავა ენამან მათმან თქმა
 ვ ტუილისა, მიჭხუტყდეს ღ არა მოაკლეს მიქცევად ზ ვანში ვანშსა
 ზ ზედა, საკვა საკვასა ზედა, არა ინებეს ცნობა ჩემი, იტეჯს უფალი ზ ამი-
 ზ სთჯს ამათ იტეჯს უფალი ძალთა, აჭა მე გავავურჯნე ივინი, ღ გამო-
 ვცადნე ივინი, რამეთუ ვუო ზირისაგან უკეთურებისა ასულისა ერის
 ზ სს ჩემისა, (ისარ მწყელველ) ზ ¹⁾ ენა მათი მსაკვარებ სიტყვანი ზი-
 რისა მათისანი, მოეჯსსა თვისსა ჭზრასავს მძვიდობითა, ღ გულსა
 თ თვისსა შორის აქუეს მტერობა ზ ნუა მათ ზედა არ მივისილოა, იტ-
 ეჯს უფალი, ანუ ერსა ზედა ესე ვითარსა არ შური აგოსა სულმან
 ი ჩემმან ზ მათათ ზედა აღიღეთ ტუება, ღ ალაგთა ზედა უდაბნოსა-
 თა გოდება, რამეთუ მოაკლდეს არ ყოფისაგან კაცთა მრავალთასა:
 არა ისძინეს ვმა მეოფობისა, მფრინველთაგან ცისათა, ღ ვიდრე
 ია საცხოვართამდე, განჭკრთეს თქრომით ზ ღ მივსცე იერუსალიმი
 გარდასახლებად, ღ სამკჯდრებელად ვემაშთა, ღ ქალაქნი იუდასნი
 იბ უჩინო საქმნელად დავსხნე, არ დამკვიდრებისაგან ზ ვინ არს კაცი
 გულის ხმის მეოფელი ღ გულის ხმა უუო ესე, ღ რომელმან სი-
 ტუვა ზირისა უფლისა ამას თანა მიგიტხრას თქუტნ, რომლისა თჯს
 წარწემა ქუტყანა, დაიტევა ვითარცა უდაბნო არ საგსაურობისა-
 ივ გან მისისა ზ ღ თქუა უფალმან ჩემდამო დატევებისათჯს მათგან
 სჯულისა ჩემისა, რომელი მივეც წინაშე ზირსა მათსა, ღ არა ის-

¹⁾ ფსალ. კზ.

მინეს ხმისა ჩემისა ❖ არამედ ვიდოდეს შემდგომად სათნოთა გუ- იდ
 ლისა მათისა უკეთურისათა, და შემდგომად კერპთა, რომელნი ასწა-
 ვნეს მათ მამათა მათთა ❖ ამისთვის ამით იტყვს უფალი ძალთა იე
 ღმერთი ისრაელისა: ¹⁾ აჰა მე ვაჰამნე მათ ჭირნი, და ვასვა მათ წყა-
 ლი ნაღვლისა ❖ და განვაბნინე ივინი წარმართთა შორის, რომე- იუ
 ლთაში არა უწოდეს მათ და მამათა მათთა: და მოვაფლინო მათ ზე-
 და მახვილი, ვიდრემდის აღვკოცნე ივინი მის მიერ ❖ ამით იტყვს იხ
 უფალი ძალთა, მოუწოდეთ შემსხმელთა გოდებისათა, და მოვიდეთ,
 და ბრძენთა დედათა მიაფლინენით და იტყოდინან ❖ და ისწრაფეთ და იწ
 მოიღეთ თქუენ ზედა გოდება, და დამოადინედ თვალთა თქუენთა
 ცრემლნი, და წამთა თქუენთა სდროდეთ წყალი ❖ რამეთუ ვაა საწ-
 ვალობლობისა ისმა სიონს შინა, ვითარ დავკლასაკენით გუტრცხუტრ-
 ნა ფრიად, რამეთუ დაუტყვეთ ქუტყანა განვთხიენით კარვები ჩუტ-
 ნნი ❖ ისმინეთ დედანო სიტყვა ღმერთისა, და შეიწუნარენ უერთა მ
 თქუენთა სიტყვანი ჰირისა მისისანი, და ასწავეთ ასულთა თქუენ-
 თა გუტრინვა, და დედა-კაცმან მოუვასსა თუსსა გოდება ❖ რამეთუ კა
 აღმოვიდა სიკუდილი საჩუქელთა თქუენთა, და შევიდა ქუტყანად
 მიმართ თქუენად, მოსწოლვად ჩხვლთა გარეგნით, და ჰაბუკთა
 უბანთაგან ❖ ესრეთ იტყვს უფალი, და იუენენ მეტადარნი კაცთანი კბ
 მაგალითებად ჰირისა ზედა ველისა ქუტყანისა თქუენისასა, და ვი-
 თარცა თივა უკუანა მთიბელისა, და არა იყოს შემკრებელ ❖ ამით კბ
 იტყვს უფალი: ²⁾ ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნისა მიერ თუსისა,
 და ნუ იქადინ ძლიერი ძლიერებისა მიერ თუსისა, და ნუ იქადინ
 მდიდარი სიმდიდრესა ზედა თუსსა ❖ არამედ ამას ზედა იქა- კდ
 დოდენ მოქადული, გულის ხმის ეოფასა, და ცნობასა ჩემსა, რა-
 მეთუ მე ვარ უფალი მოქმედი წყალობისა, და მსჯავრისა, და სიძარ-
 თლისა ქუტყანასა ზედა, რამეთუ ამით შინა არს ნება ჩემი, იტყვს
 უფალი ❖ აჰა დღენი მოვლენან, იტყვს უფალი, და მიხედვა ვეო ეო- კმ
 ველთა ზედა მეტკუტითლთა და უტკუტითლობისა მათისათა ❖ ეკვზ- კმ
 ტესა ზედა, და იღუემასა ზედა, და ედომსა ზედა, და მეთა ზედა ამმო-

¹⁾ ქვემ. კბ.—²⁾ ა კორ. ა. ბ კორ. ბ.

ნისთა, ღ მეთა ზედა მოაბისთა, ღ ყოველთა ზედა კარე მოკუჭტცი-
ლსა, ზირით კერძო მისით: დამკვდრებულთა უდაბნოს შინა, რამე-
თუ ყოველნი წარმართნი უმეტეტუწთილო არიან ჯორცითა, ღ ყოვე-
ლი სახლი ისრაელისა უმეტეტუწთილებ გულებითა მათითა.

თ ა მ ი ი.

ბ **||** სმინეთ სიტყვა რომელი თქუა უფალმან თქუწნ ზედა სახლო
ბ ისრაელისაო ❖ ამათ იტუჯს უფალი, გსათა ებრ წარმართთასა, ნუ
გ ისწავებთ, ღ სასწაულთაგან ცისათა ნუგეშინისეე, რამეთუ ეშიშვიან
დ ივინი ზირისაგან მათისა ❖ რამეთუ სასჯელნი წარმართთანი
ღ ამაოება ძელთა არს მოკუჭტთილი ძაღნარით, ქმნილი ხუროსა ❖ ¹⁾
ღ გამონადნობი ვეცხლითა ღ ოქროთა შეგეულნი არიან: კუჭტთ-
სებითა ღ სამსკუჭლებითა განამაგრნეს ივინი ღ არა შეიძრნენ, ვეც-
ხლი წახნაკებული არს, არა ვიდოდინ, ვეცხლი დასხმული არს თა-
ე რძით მოვიდა ოქრო ოფაზისა ❖ (ღ ოქრო მსკედელთა გელი, საქ-
მე გელოვანთა, ყოველნი) იაკინთსა ღ ზორფირსა შეჭმოსენ მათ,
აღსუბით აღისუნან ივინი, რამეთუ ვერ ვლენედ, ნუ გეშინისეე მათ-
გან რამეთუ ბოროტი ვერ ქმნან, ღ კეთილი არა არს მათ შო-
ვ რის ❖ ²⁾ ვინ არს ვითარ შენ უფალო დიდ ხარ შენ ღ დიდარს სა-
ზ ხელი შენი ძალითა ❖ ³⁾ ვის არა ეშინოდის შენდა მეუფეო წარმა-
რთთაო შენნი არიან, რამეთუ ყოველთა შორის ბრძენთა წარმართ-
თასა, ღ ყოველთა შორის მეფეთა მათთა ვინ არს ვითარ შენ უფა-
ლო ❖ რამეთუ ერთგვის აღგზნენ ღ მოუძღურდენ გულნი ამაო-
ტ თანი ძელი არს ❖ ვეცხლ გამოჭედილი თარძით მოღებული, ღ ოქ-
რო ოფაზით ქმნილი ხუროსა ღ გელთა ოქრო მსკედელისათა იაკინთე
ი ღ მოწეული სამოსლად მთა ქმნილი ბრძენთა ❖ ხოლო უფალი ღმერთი
წაჭნი ჭეშმარიტ არს ღმერთი ცხოველი, ღ მეუფე საუკუნო, გულის
თა წერომითა მისითა შეიძრას ქუჭტყანა, ღ არა ეონ წარმართთა რისხვა მი-
სი ❖ ესრეთ არქუთ მათ, ღმერთთა რომელთა ცაჲ ღ ქუჭტყანა არ შექმნეს
იბ წარწემდედ ქუჭტყანისაგან, ღ ქუჭტყე კერძოსაგან ცისა ამის ❖ ⁴⁾ უფალო-
მან შექმნა ცაჲ ღ ქუჭტყანა ძალისა მიერ თვისისა ღ აღჭმართა მკვდროანი

¹⁾ სიბრძ. ივ.—²⁾ მიქია ზ.—³⁾ გამოც. იე.—⁴⁾ დახად. ბ. ქვეშ. ნა.

სიბრძნისა მიერ მისისა, **დ** ცნობისა მიერ თვისსა გარდაართსა
 ცაჲ **ჟ** **დ** კმისა მის მოცემისა მისისათა სიმრავლე წელისა ცისა ივ
 შორის, **დ** აღმოიყვანნა ღრუბელნი დასასრულით ქუჭყანისა: ¹⁾ ელ-
 ვანი წუძად ქმნა, **დ** გამოიყვანნა ქარნი **დ** ნათელი საუნჯეთაგან იდ
 მათთა **ჟ** განსულელნა ყოველნი კაცნი მეცნიერებისაგან, სირსუ-
 ლეულ იქმნა ყოველი ოქროს მჭედელი წახნაგებულთა თვისთა იე
 ზედა, რამეთუ ცული გამოადნვეს, არა არს სული მათ თანა **ჟ** ამო-
 ნი არიან საქმენი ნამდერნა, **ქ** ამსა შინა მოხილვისა მათისასა წა-
 რწუდენ **ჟ** არა არს ესე ნაწილი იაკობისი: რამეთუ შემოქმედი ყო- ივ
 ველთა თვთ არს ნაწილ მისსა, **დ** ისრაელი ქუჭროს მკვიდრობისა
 მისისა, უფალ ძალთა არს სახელი მისი **ჟ** შეკრიბა გარემით გვა- იზ
 მები, დაძვდრებულო რჩეულთა შორის **ჟ** რამეთუ **ქ** ამათ იტყუ- იტ
 უფალი, აჰა მე უსაფრკეებ დაძვდრებულთა ქუჭყანისა ამისთა ჭი-
 რისა მიერ, **დ** ვაჭირვო მათ, რათა იპოოს **ჟ** ვაება შემუსრვასა ით
 მენსა ზედა, საღმობიერ არს წელული შენი, მეცა ვთქუ, ნანდვილ-
 ვე ესე არს წელულება ჩემი **ჟ** მეწია მე კარავი ჩემი, საარებულ იქ- კ
 მნა, წარწუდა, **დ** ყოველნი ესონი ჩემნი განირღუჭს, მენი ჩემნი **დ**
 ცხოვარნი ჩემნი არა არიან: არა არს მერმე ადგილი კარვისა ჩემი-
 სა, ადგილი ესოთა ჩემთა **ჟ** რამეთუ მწვემსთა იუმიცნობოეს **დ** უფა- კა
 ლი არ გამოიძიეს, ამისთჳს არა გულის სძა ყო ყოველმან სამწე-
 სომან **დ** განიბნინეს **ჟ** ხოლო სასმენელისა აჰა მოვალს, **დ** ძრვა კბ
 დიდი ქუჭყანისაგან ჩრდილოსა, დასხმად ქალაქთა იუდასთა უჩინო
 საქმედად, **დ** საბუდრად სირთა **ჟ** უწვი უფალო ვითარმედ არა კა- კპ
 ცისა არს **კ** ზა მისი, არცა მამა-კაცი ვიდოდის, **დ** წარჭმართოს
 სლვა თვისი **ჟ** ²⁾ გვასწავლენ ჩუჭნ უფალო, კარნა განკითხვისა, **დ** კდ
 ნუგულის წერომისა მიერ, რათა არა შემცირებულ მეუნე ჩუჭნ **ჟ** ³⁾ კე
 გარდასს გულის წერომა შენი წარმართთა ზედა არ მეცნიერთა
 შენტა, **დ** მეუობათა ზედა რომელთა სახელსა შენსა არა სადეს, რა-
 მეთუ შეჭამეს იაკობი, **დ** მოასრულეს ისრაელი, **დ** სამოვარი მისი
 მოაოკრეს.

¹⁾ ფსალმუნი ივ. ჰევ. ნა. — ²⁾ ფსალ. ვ. — ³⁾ ფსალ. ოტ

თ ა ვ ი ი ა.

სიტყვა რომელი იყო იერემიას მიმართ უფლისა მიერ, **ბ**
ბ თქუა **ჴ** ისმინე სიტყვა ანდერძისა ამის, **ბ** სიტყვა კაცთა მიმართ
გ იუდასთა, **ბ** დამკვდრებულთა იერუსალიმის **ჴ** **ბ** იტყოდი მათდამი,
დ ამათ იტყვს უფალი ღმერთი ისრაელისა, **ბ** წყეულ იყავნ კაცი რო-
დ მელმან არა ისმინეს სიტყვანი ამის ანდერძისანი **ჴ** რომელი ვამ-
 ცენ მამათა თქუწნთა, დღესა შინა რომელსა აღმოვიყვანენ იგინი
 ქუწუანისაგან ეგვტისა, სავუმილისაგან რკინისა, მეტყუწლმან, ის-
 მინეთ ვმისა ჩემისა, **ბ** უწუწნით ეოველნი რომელნიცა ვამცენე
 თქუწნ, **ბ** იუწნეთ ჩემდა ერად, **ბ** მე ვიყო თქუწნდა ღმერთად **ჴ**
ე რათა დავამტკიცო ფიცა რომელსა ვეფუცე მამათა თქუწნთა, მიცე-
 მად მათდა ქუწუანა მადინებელი სმესა **ბ** თაფლსა, ვითარცა დღესა
ვ ამას, **ბ** მოგება უწუწნ **ბ** თქუწნს, იყავნ უფალი **ჴ** **ბ** თქუა უფალმან
 ჩემდამო, წარვიკითხენ სიტყვანი ესე ქალაქთა შორის იუდასთა, **ბ**
 ვარეშე იერუსალიმისა მეტყუწლმან, ისმინეთ სიტყვანი ამის ანდერ-
ს ძმისანი **ბ** უწუწნით იგინი **ჴ** რამეთუ წამებით უწამე მამათა თქუწ-
 ნთა დღესა მას რომელსა გამოვიყვანენ იგინი ქუწუანით ეგვტით
ბ ვიდრე აქა დღედმდე აღიმსთობდ, უწამებდ, **ბ** ეტყოდე, ისმინეთ ვმისა ჩე-
ტ მისა **ბ** არა ისმინეს **ჴ** **ბ** ვარეწარ უწნეს სასმენელნი მათნი, **ბ** ვი-
 დოდა კაცადნი ნებასა გულისა თვისისა ბოროტსა **ბ** მოვიწუწნ
 მათ ზედა სიტყვანი ესე ამის ანდერძისანი რომელ ვამცენ მათ ეო-
თ ფად **ბ** არა ისმინეს **ჴ** **ბ** თქუა უფალმან ჩემდამო: იპოვა საკრვე-
ი ლიმი **ჴ** მიიქცეს უსამართლოებათა მიმართ მამათა მათთა ჰირველ-
 თასა, რომელთა არა ინებეს სმენად სიტყვათა ჩემთა, **ბ** აჭა ესენი-
 ცა ვლენან უკანა ღმერთთა უცხოთასა მსახურებად მათდა **ბ** განაქა-
ი რვეს სახლმან ისრაელისამან **ბ** სახლმან იუდასმან ანდერძი ჩემი,
ი რომელი მამათა მათთა მიმართ **ჴ** ამისთვს ამათ იტყვს უფალი,
 აჭა მე მოვანწინე მათ ზედა ძვრნი რომელთაგან ვერ შექმლებულ
ი იუწენ გამოსლვად მათგან, **ბ** ღაღადებდენ ჩემდამო **ბ** არა ვისმინო
ი მათი **ჴ** **ბ** ვიდოდინ ქალაქნი იუდასნი, **ბ** მკვდრნი იერუსალიმი-

სანი ღ ღაღადებდენ ღმერთთა მიძარტ მათთა, როძელთა იგინი უკუძევენ მათ, სოლო მათ ვერ იგსენ იგინი ჟამსა შინა განბოროტებისა მათისასა ❖ ¹⁾ რამეთუ რიცხუსა ებრ ქალაქთა შენტასა იუჟნენ ღმერთნი შენნი იუდა, ღ რიცხუსა ებრ გამოსავალთა იერუსალიმისათა, დაწესნეს ბომონნი სირცხვილისა საკმეველი, კუძევედ ბააღისასა ❖ ²⁾ ღ შენ ნუ ილოცავ ერისა ამისთჳს, ღ ნუ მევედრები მათთჳს ვედრებისა მიერ ღ ლოცვისა, რამეთუ არა შესმენილ იქმნენ ჟამსა შინა როძელისა მსადლოდინ მე, ჟამსა შინა განბოროტებისა მათისასა ❖ რად შეევარებულმან სახლსა შინა ჩემსა ქმნა საძაგელი: ნუ აღთქმანი ღ კორცი წმიდა მოგისზობენ შენგან ბოროტთა შენთა: ანუ ამათ განარინონ ❖ ჴეთის სილი შუწნიერი ჩრდილ კეთილი სილვით გიწოდა უფალმან სახელი შენი: გამსა ჴედა მეტკუწთილობისა მისისა აღატედა ცეცხლი მის ჴედა: დიდი ჴირი შენ ჴედა: გინებულ იქმნეს რტონი მისნი ❖ ღ უფალმან ძალთამან დამნერკველმან შენმან თქუნა შენ ჴედა მვირნი უკეთურებისა წილ სახლისა ისრაელისა, ღ სახლისა იუდასსა: რამეთუ ქმნეს თავთა მათთად განრისხება ჩემი უკმევედეს რა იგინი ბააღსა ❖ უფალო გულის სძა მიუავ მე ღ ვცნა, მაშინ ვისილენ სიძარჯუწნი მათნი ❖ მე ვითარცა კრავმან უძანკომან მიუვანებულმან დაკლვად არა ვცან, ჩემ ჴედა ისიტუწეს გუფის სიტევა ბოროტი მეტუწლთა, მოვედით ღ შეურიოთ ძელი ჳურსა თანა მისთა, ღ აღგოცოთ იგი ქუწუანით ცოცხალთათ: ღ სახელი მისი არა მოსსენებულ იქმნეს ძერძე ❖ ³⁾ უფალო საბაოთ მსჯელო ძართალო, გამომცდელო თირკმელთა ღ გულისაო, მისილავსძცა შენ მიერი ძურის გება მათ ჴედა, რამეთუ შენდა მიძარტ განვაცხადე სამართალი ჩემი ❖ ამისთჳს ამათ იტუჯს უფალი კათცა ჴედა ანნათოელთა, მეძიებელთა სულისა ჩემისათა, მეტუწლთა არ წინასწარმეტუწლედე სახელითა უფლისათა, თუ არა მოკუდე კელთა მიერ ჩუწნთა ❖ ამისთჳს ამათ იტუჯს უფალი საბაოთ, აჴა მე ჴედ მივისილო მათ ჴედა, ჴაბუენი მათნი მასვილისა მიერ მოკუდენ: ღ ძენი მათნი აღესრულენ სი-

იგ
იღ
იე
ივ
იზ
იწ
ით
ბ
კა
კბ

¹⁾ ჴემ. ბ.—²⁾ ჴემ. ივ. ჴემ. იღ.—³⁾ ჴემ. ივ.

კმ ემილისა მიერ * ღ დანაშთომი არა იყოს მათი: რამეთუ მოვაწინე მვირნი მკვდრთა ზედა ანათოთისთანა, წელიწადსა მოსედვისა მათისასა.

თ ა ვ ი | ი ბ.

ბ ვართალ ხარ შენ უფალო, რამეთუ მივიგო შენდამი, გარნა სასჯელნი ვთქუნნე შენდამი, ¹⁾ რად რამეთუ გზა უთნოთა წარემართების, იეფის ეოველთა უგულებელს მეოფელთა უგულებელს ეოფათასა * დაჭნერგენ ივინი, ღ განიძირეს, მკლიერ იქმნეს ღ ევეს ნაყოფი: მასლობელ ხარ შენ ზირისა მათისა, ღ შორს თირკმელთაგან მათთა * ღ შენ უფალო მიცი მე, გამოსცადე გული ჩემი წინაშე შენსა ღ შეკრიბენ ივინი ვითარცა ცსოვარნი კლვადნი: უბიწოდ ჰევენ ივინი დღისათჳს დაკლვისა მათისა * ვიდრემდის იგლოვდეს ქუჭყანა, ღ ეოველი თივა ველისა განკმეს: უკეთურებისაგან დამკვდრებულთა მას ზედა უჩინო იქმნეს საცსოვარნი ღ მფრინველნი, ე რამეთუ თქუჭს არა იხილნეს უფალმან გჳსანი ჩუჭნნი * შენნი ფერგნნი რბიან, ღ დაკსსნიან შენ: ვითარ განემზადები ჰუნეთა ზედა ღ ქუჭყანასა ზედა მძვდობისასა შენ ესავ ვითარ ეოფ ოხრასა ზედა იორდანისასა * რამეთუ მძანიცა შენნი, ღ სასლი მამისა შენისა, ღ ივინიცა გეცროუნეს შენ, ღ მათცა ვა ეუჭს უკუნისაგან შენისა: ზედა შეკრბეს ნუ ირწმუნებ მათდამი, რამეთუ იტეოდინ შენდამი მძვდობითა * დაუტევე სასლი ჩემი, ღ დავაგდე სამკვდრებელი ჩემი, მე ვეც შეევარებული სული ჩემი კელთა მტერთა მისთასა * იქმნა სამკვდრებელი ჩემი ჩემდა ვითარცა ლომი მანარსა შინა თ მოსცა ჩემ ზედა ვა მისი, ამისთჳს მოვიძულენ ივი * ნუ ქვაბი აფთრისა სამკვდრებელი ჩემი ჩემდა: ანუ ქვაბნი გარემოს მისსა მას ზედა ვიდოდეთ: შეკრიბენით ეოველნი მკეცნი ველისანი ღ მოვიდენ ჭამად მისსა * მწუემსთა მრავალთა განრუჭნეს ვენავი ჩემი, შეაბილწებდეს ნაწილსა ჩემსა, მისცეს ნაწილი გულის სათქმელი ჩემი ია უდაბნოდ მიუალად * დაიდვა უჩინო საქნელად წარწემედისა: ჩემ მიერ უჩინო ეოფითა უჩინო იქმნა ეოველი ქუჭყანა, რამეთუ არა

¹⁾ იობ. კა. ამაკო 5.

არს მამა-კაცი დამდებელი გულსა შინა ❖ ეოველთა ზედა ალაგთა იბ
 უდაბნოსა შორის მოვიდეს საარებულნი, რამეთუ მასჯღმან უფლი-
 სამან შეჭამოს კიდიტგან ქუჭყანისათ, ზ ვიდრე კიდედგე ქუჭყანი-
 სა არა არს მძუდობა ეოვლისა გორცისა ❖ სთესყენით იფქლნი, ზ იგ
 ეკაღნი მოიბკენით: ნაწილნი მათნი არ სარგებელ ეევენენ მათ: სი-
 რცსჯლეულ იქმენით სიქადულისაგან თქუჭნისა, ყუჭდრებისაგან
 წინაშე უფლისა ❖ რამეთუ ამათ იტუჯს უფალი, ეოველთათჯს მე იდ
 სობელთა ბოროტთა, შეძებელთა სამკუჯდრებელისა ჩემისათა, რო-
 ძელი განვიკერძე ერი ჩემი ისრაელი, აჯა მე აღვიხზუნე იგინი ქუჭ-
 ყანისაგან მათისა, ზ სასლი იუდასი გამოვიყვანო შორის მათსა ❖
 ზ იუოს შემდგომად გამოეყანებისა მათისა ჩემგან მოვაქციო ზ შე იუ
 ვიწუალნე იგინი, ზ დავამკუჯდრნე იგინი კაცადი სამკუჯდრებელსა
 ზედა თჯსსა, ზ კაცადი ქუჭყანასა ზედა თჯსსა ❖ ზ იუოს უკეთუ იუ
 მსწავლელთა ისწავონ გზა ერისა ჩემისა ფუცვად სასლისა მიმართ
 ჩემისა, ცხოველ არს უფალი, ვითარცა ასწავეს ერსა ჩემსა ფუცვად
 ბააღლისა მიმართ, ზ აღეშენენ საშუალ ერისა ჩემისა ❖ სოლო იბ
 არა თუ მოიქცენ, ზ მოვსაზო ნათესავი იგი მოსაზობით ზ წარწემე-
 დით, თქვა უფალმან.

თ ა ვ ი ი ბ.

ესრეთ იტეოდა უფალი ჩემდამო, ვიდრედ ზ მოიგე თავისა ა
 შენისა გარე მოსარტემელი სელისა ზ გარე მოიდევ გარემო წელ-
 თა შენტა, ზ წუალსა შინა არა განვიდეს ❖ ზ მოვიგე მოსარტემე- ბ
 ლი სიტყვისაებრ უფლისა ზ მოვიდევ წელთა გარემო ჩემთა ❖ ზ გ
 იუო სიტყვა უფლისა ჩემდამო მეტეუჭლი ❖ მოიდე მოსარტემელი დ
 რომელი მოგიგიეს რომელ არს გარემოსი წელთა შენტა: ზ აღდეგ
 ზ ვიდრედ ეფურატად მიმართ, ზ დამალე ეკე მუნ სიგურელესა ში-
 ნა კლდისასა ❖ ზ წარუედ ზ დავმალე იგი ეფურატასა ზედა ვითარ- ე
 ცა მამცნო მე უფალმან ❖ ზ იუო ეოვლად დღეთა მრავალთა ზ თქუ- ვ
 უფალმან ჩემდამო, აღდეგ ვიდრედ ეფურატად მიმართ, ზ აღიდე მუ-
 ნით მოსარტემელი, რომელი გამცენ შენ დამალვად მუნ ❖ ზ წარ- ზ
 ვედ ეფურატად მიმართ მდინარედ ზ ვთსარე, ზ მოვიდე მოსარტემე-

ლი ჯდგილისაგან რომელსა დაგჭყალ იგი მუნ: ჳ აჰა განსწრწნილი
 ც იყო რომელი არა იკმაროს არა რად ჳ ჳ იქმნა სიტყვა უფლისა
 თ ჩემდამო მეტყუებელი ჳ ამას იტყვს უფალი: ესრეთ განვგრწნა გი-
 ი ნება იუდასაი ჳ გინება იერუსალიმისა ჳ ქალაქისა ამის ჳ ერისა
 ჩემისა გინება, არ მნებებელთა სმენად სიტყვათა ჩემთა, ჳ მავალ-
 თა ნებასა გულისა მათისათა უკანა ღმერთთა უცხოთასა, მსახურე-
 ბად მათდა ჳ თაუვანისცემად მათდა: ჳ იუჲნენ ვითარცა მოსარტუ-
 ია მელი ესე, რომელი არა იკმაროს არა რად ჳ რამეთუ ვითარ იგი
 მოსარტუმელი წელთა ზედა კაცისათა ეგრეთ შემოვიანსლე თავისა
 მიმართ ჩემისა სახლი ისრაელისა ჳ ყოველი სახლი იუდასაი, თქუა
 უფალმან, ყოფად ჩემდა ვრად სახელოვნად, სიქადულად ჳ დიდებად
 იბ ჳ არ შეისმინეს ჩემი ჳ ჳ სთქუა ერისა მიმართ სიტყვა ესე, ამას
 იტყვს უფალი ღმერთი ისრაელისა, ყოველი თხიერი აღივსოს
 ღვინითა ჳ იოს უკეთუ თქვან შენდამი, არ მცნობთა ვერ ვცანით,
 ივ ვითარმედ ყოველი თხიერი აღივსოს ღვინითა ჳ ჳ სთქუა მათდამი:
 ამათ იტყვს უფალი, აჰა მე აღვაგსებ ყოველთა დამკვიდრებულთა
 ამის ქუჭყანისათა: ჳ მეფეთა მათთა მსხდომარეთა, მეთა დაუთის-
 თა, საუდართა ზედა მისთა: ჳ მღღელთა, ჳ წინასწარმეტყუებლთა
 ჳ იუდას: ჳ ყოველთა დამკვიდრებულთა იერუსალიმს მთრვალობი-
 იდ თა ჳ ჳ განვაბნევ მათ, ჳ მამა-კაცსა ჳ მძასა მისსა ჳ მამათა მათ-
 თა, ჳ მეთა მათთა, მის შორის არა ვისურვო, იტყვს უფალი: ჳ
 იე არა ვარიდო ჳ არა შევიწეალნე განსწრწნისაგან მათისა ჳ ისმინეთ
 ჳ ესრად იღეთ ჳ ნუ აღჰმაღლდებით რამეთუ უფალი იტყოდ ჳ
 ივ მიეცით უფალსა ღმერთსა ჩუჭნსა დიდება ჰირველ შერიჲჭებისა, ჳ
 ჳ ჰირველ წარგუჭებებისა ფერგთა თქუჭნთა მათთა ზედა ბნელთა,
 ჳ მოელოდნით ნათელსა, ჳ მუნ აჩრდილი სიკუჭდილისა ჳ დაისხ-
 იბ ნენ სიბნელედ ჳ არა თუ ისმინოთ დაფარულად ტიროდეს სული
 თქუჭნი ჳირისა გინებისათა, ¹⁾ ჳ ცრემლოდეთ ცრემლით, ჳ გარდა-
 მოადინეთ თვალთაგან თქუჭნთა ცრემლნი, რამეთუ შეიმუსრა სამწ-
 იტ ესო უფლისა ჳ არქუთ მეფესა ჳ მძლავრებელთა: დამდაბლდით, ჳ

¹⁾ გოდება ა.

დასხედით, რამეთუ დაიკვნა თავისა თქუტნისა გვრგვნი დიდებისა
 თუტნისა ❖ ქალაქნი ბღუართით კერძონი შეიკმნეს, დ არა იყო გან- ით
 მღები, გარდაისახლა იუდა, აღასრულა გარდასახლება სრული ❖
 აღიხვენ თვალნი შენნი იერუსალიმ დ იხილენ მოძავალნი ჩრდი- ბ
 ლოთ, სადა არს სამწყსო რომელი მიგეცა შენ ცხოვარნი დიდები-
 სა შენისანი ❖ რაჲ სთქუა ოდეს აღვლვიდენ შენ, დ შენ ას- კა
 წავენ მათ შენ ზედა სასწავლელნი დასაბამად სალმობათა მოციცვან
 შენ ვითარცა დედა-კაცი მშობი ❖ დ უკეთუ სთქუა გულსა შინა კბ
 შენსა რასათუხ დამემთხუნეს მე ესენი, სიმრავლისათუხ უძართლობი-
 სა შენისა აღგესაფურველენეს უკანა კერძონი შენნი, განსაქიქებუ-
 ლად ქუსლთა შენთა ❖ უკეთუ ცვალოს ეთიოპემან ტყავი თუხი დ ბბ
 ვეფხუმან სიჭრელენი მისნი, დ თქუტნცა შეუძლოთ კეთილსა მოს-
 წავლეთა ბოროტთასა ❖ დ განვსრწინენ იგინი ვითარცა ქარქუტტი კდ
 მიღებული ქარისაგან უღაბნოდ ❖ ესე არს ნაწილი შენი, დ ხუტ- კე
 დრი ურჩებისა თქუტნისა ჩემდა, იტუჯს უფალი, ვითარცა დამივიწეე
 მე, დ ესევდი ცრუთა მიძართ ❖ დ მეცა აღვსაბურველენე უკანა კერ- კმ
 ძონი შენნი წინაშე ჰირსა შენსა, დ იხილოს გინებულება შენი ❖ დ კს
 მრუშება შენი, დ გჯვილი შენი, დ უცხო ქმნილება სიძვისა შენისა
 ბორცუთა ზედა, დ ველთა შორის ვიხილენ საძაგელნი შენნი, ვაჲ
 შენდა იერუსალიმ, რამეთუ არა განსწმდი უკანა ჩემსა, ვიდრემდის
 იყო შენ.

თ ა ვ ი იღ.

სიტყუა უფლისა რომელი იყო იერემიას მიძართ უწკროები-
 სათუხ ❖ იგლოვა იუდეამან, დ ბჭენი მისნი დაცალიერდენ დ და- ბ
 ბნელდეს ქუტუანასა ზედა, დ ღაღადება იერუსალიმისა აღვიდა ❖
 დ დიდ დიდთა მისთა წარავლინენეს ჭაბუკნი მათნი მერწეულად, მი- ბ
 ვიდეს ჯურღმულთა ზედა, დ ვერ ჰოვეს წყალი, დ მიაქცინეს ჭურ-
 ჭელნი მათნი ცარიელად, ჰრცხუტნა დ კდემულ იქმნეს დ დაიფარ-
 ნეს თავნი მათნი ❖ დ საქმენი ქუტუანისანი მოაკლდეს, რამეთუ არა დ
 იყო წკმა, სირცხულეულ იქმნეს მუშაკნი, დაიფარნეს თავი მათი ❖
 ირემნი ველთა ზედა იმუტბვოდეს, დ დაუტევებდეს, რამეთუ არა ე

მ იუო მწვანე ❖ ვიწნი ველურნი დაღვეს ბორცვთა ზედა, მოიზიდეს
 ქარნი ვითარცა ვეშაშან მოაკლდა თვალთა მათთა, რამეთუ არა იუო
 ზ თივა ❖ უკეთუ ცოდვანი ჩუწნნი წინა დამიდვეს ჩუწნ, უფალო
 მეუწნ ჩუწნ სასელისა შენისათჳს, რამეთუ მრავალ არიან ცოდვანი
 ც ჩუწნნი წინაშე შენსა, შენ შეგცოდეთ ❖ თმენაო ისრაელისაო უფა-
 ლო, ჰ გვიხსნი ჟამსა შინა ბორცვსა რაჟსათჳს იქენ ვითარცა
 რაჟ, მსხემი ქუჭყანასა ზედა, ჰ ვითარცა მის ქუჭყანისა მიმქცევი
 თ საჯანედ ❖ ნუ იუოფი ვითარცა კაცი მძინარი, ანუ ვითარცა მძა-
 კაცი შემძლებელი განრინებად, ჰ შენ ჩუწნ შორის სარ უფალო, ჰ
 სასელი შენი ზედ წოდებულ არს ჩუწნ ზედა, ნუ დამივიწეებ ჩუწნ ❖
 ი ესრეთ ეტეჳს უფალი ერსა ამას, შეიუვარეს ძრვა ფერკთა მათთა,
 ჰ არა ჰრიდეს ჰ ღმერთმან არ სათნო იუო მათ შორის, აღმოიკ-
 სენოს უსჯულოებათა მათთა, ჰ ზედ მიიხილოს ცოდვათა მათ-
 ია ❖ ¹⁾ ჰ თქუა უფალმან ჩემდამო, ნუ ილოცავ ერისა ამისთჳს
 იბ საკეთილოდ ❖ რამეთუ უკეთუ იმარხვიდენ, არა ვისძინო ვედრები-
 სა მათისა, ჰ უკეთუ შემოსწირვიდენ ეოვლად დასაწუწლთა ჰ
 მსხუჭრწლთა, არა სათნო ვიუო მათ შორის, რამეთუ მასჯლისა
 ივ მიერ ჰ სიემილისა ჰ სიკუდილისა მე მოვასრულენე იგინი ❖ ჰ ვთქუ
 მეოფო უფალო მეუფეო, აჰა წინასწარმეტყუწლნი მათნი წინას-
 წარმეტყუწლებენ ჰ იტეჳან: ²⁾ არა იხილოთ მასჯლი, ჰ სიემილი
 არა იუოს თქუწნ შორის, რამეთუ ჰქმძარიტება ჰ მსჯდობა მივსცე
 იდ ქუჭყანასა ზედა, ჰ ადგილსა ამას შინა ❖ ჰ თქუა უფალმან ჩემდა-
 მო, ცილსა წინასწარმეტყუწლებენ წინასწარმეტყუწლნი სასელსა
 ზედა ჩემსა, არა მივაგლინენ იგინი, ჰ არა ვამცენ მათ, ჰ არა ვი-
 ტეოდე მათდა მიძართ, რამეთუ სილვათა ცრუთა, ჰ მისნობათა, ჰ
 სასრვათა, ჰ აღრჩევათა გულისა მათისათა გიწინასწარმეტყუწლე-
 იე ბენ თქუწნ იგინი ❖ ამისთჳს ამათ იტეჳის უფალი წინასწარმეტ-
 ყუწლთათჳს მწინასწარმეტყუწლებთა სასელითა ჩემითა ჰ მე
 არ მოვაგლინენ იგინი, რომელნი იტეჳან მასჯლი ჰ სიემილი არა
 იუოს ქუჭყანასა ამას ზედა, სიკუდილისა მიერ ვითარცა ვიტეჳი

1) ზემ. ზ.—2) ჰქემორ. ივ.

მოკუდენ, & სიემილისა მიერ მოესრულენ წინასწარმეტყუელნი *
 & ერი რომელთა ეგენი უწინასწარმეტყუელეებენ მათ, & იუზენ იუ
 დაცვებულ საგსაურთა ზედა იერუსალიმისათა, ჰირისაგან მახზ-
 ლისა, & სიემილისა, & არა იუოს დამფლველი მათი, & ცოლნი იბ
 მათნი, & ძენი მათნი, & ასულნი მათნი, & კარდავასსნე მათ ზედა
 ძუზნი მათნი * & სთქუა მათდა მიმართ სიტუა ესე: ¹⁾ & მოადი იბ
 ნენით თვალთაგან თქუწნთა ცრემლნი დღე & ღამე & ნუ მოაკლდე-
 ბინ, რამეთუ შემუსრვითა დიდითა შეიმუსრა ქალწული ასული ერი-
 სა ჩემისა, & წელულებითა საღმობიერთა ფრიად * განთუ ვიდე იბ
 ველად, & აჰა წელულებანი მახვილისანი, & შეთუ ვიდე ქალაქად,
 & აჰა ტკივილი სიემილისა, რამეთუ მღრელი & წინასწარმეტყუ-
 ლი წარვიდეს ქუწყანად რომელი არა იცოდეს * ნუ შეურაცხყო- ით
 ფელმან შეურაცხ ჰყავ იუდა, & სიონით განემორა სული შენი, რად-
 სათუჯს დამცენ ჩუწნ, & არა არს ჩუწნდა კურნება: ²⁾ დავითმინეთ
 მშვიდობისათუჯს, & არა არიან კეთილნი ჟამად კურნებისად, & აჰა
 შფოთი * ვაკრძნენით უფალო ცოდვანი ჩუწნნი, უსამართლოებანი ბ
 მამათა ჩუწნთანი, ვითარმედ ვცოდეთ წინაშე შენსა * დააცხრვე კა
 სახელისა შენისათუჯს, ნუ წარწემედ საუდარსა დიდებისა შენისასა:
 მოიკსენე ნუ განაქარვებ აღთქმასა შენსა ჩუწნთანა * ნუ არსა კერ- კბ
 ზითა შორის წარმართთასა მწვიმებელი, & უკეთუ ცამან მოსცეს სი-
 მამღრე თუჯსი, არა შენ სარა თავადი უფალი ღმერთი ჩუწნი & და-
 გითმობთ შენ, რამეთუ შენ ჰქმნენ ყოველნი ესე.

თ ა ვ ი ი მ.

და თქუა უფალმან ჩემდამო, უკეთუ დადგეს მოსე & სამუილ ა
 წინაშე ჩემსა, არა არს სული ჩემი მათდა მიმართ; განავლინე ერი ბ
 ესე ჰირისა ჩემისაგან, განვიდენ * & იუოს, უკეთუ თქუან შენდამი,
 სადა განვიდეთ, & სთქუა მათდამი, ამათ იტუჯს უფალი რაოდენნი ³⁾
 სიკუდილადმი, სიკუდილადმი, & რაოდენ მახზლადმი, & რაოდენ-
 ნი სიემილადმი, სიემილადმი, & რაოდენნი ტყულობადმი, ტყულო-
 ბადმი * & შურ ვაგო მათ ზეა ოთხ გვარად, იტუჯს უფალი, მახზ- კ

¹⁾ გოდ. ივ. & ბ. — ²⁾ ზემორ. ტ. — ³⁾ ზაქ. აა.

ლი სიკუდიდ მიძარტ: ღ ძალენი, განბძარვად მიძარტ: ღ მკეცნი
ქუჭყანისანი, ღ მფრინველნი ცისანი ჭამისა მიძარტ, ღ განსრწ-
დ ნისა ზ ღ განვსცნე ეგენი ჭირთა მიძარტ ეოველთა მეფობათა
ე ქუჭყანისათა ზ ¹⁾ მანასისთუხს მისა ეხეკიასა, მეფისა იუდასთა,
ვ ეოველთათვის რომელნი ქმნეს იერუსალიმს შინა ზ ვინ რიდოს
შენ ზ შედა იერუსალიმ, ღ ვინ შეიძინოს შენ ზედა, ანუ ვინ მოაქ-
ზ ციოს მშვიდობისა მოძარტ შენისა ზ შენ გარე მიმექეც მე, იტყუ-
ტ შენ ღ არღარა ულხინო მათ ზ ღ განვსთესნე იკინი განთესვი-
თ წუძღეს ერი ჩემი მკვიდრობისათუხს მათისა, ღ არა მოიქცეს ზ გან-
ძრავლდეს ქუჭრინი მათნი უფროს ქვიშისა ზღვისა: მოვაწიე დედა-
ი სსა ზ შედა ჭაბუკთასა საარება შუადღე, მივადგე მის ზედა მის ძრწო-
ი ლა ღ სწრაფა ზ უშვილო იქმნა მშობელი შვილთა, შებოროტნა
სული მისი ²⁾ ღ ჰკდა მზე მის ზედა ჯერეთ განმძოვლებასა დღი-
ისასა, სირცხვილეულ იქმნა ღ ევედრა: ნემტი მათნი მახლსა მი-
ი სცნე წინაშე მტერთა მათთა, თქუა უფალმან ზ ვაჟ ჩემდა დედაო
ვითარცა ვინ მშევე მე: მამა კაცი დასჯილი ღ განმკითხუჭლი ეო-
იბ ძალი ჩემი მოაკლდა მწევეართა ჩემთა შორის ზ იყავნ უფალო
წარძარტება მათდა, არა თუმიცა წარმოვდეგ შენდა ჟამსა შინა ძურთა
მათთასა: ღ ჟამსა შინა ჭირისა მათისასა საკეთილოდ მტერთა მი-
იძარტ ზ უკეთუ იცნობოს რკინა, ღ ზღუდედ რვალისად, ძალი შენი,
ღ საუნჯენი შენნი იავრად მივსცნე ნაცვლად ეოველთათუხს ცოდვათა
იღ შენთა, ეოველთა შორის საზღუართა შენთა ზ ღ დაგამონო შენ გა-
რემო მტერთა შენთა, ქუჭყანასა ზედა რომელ არა იცი: რამეთუ
ციცხლი აღატყდა გულის წერომისა ჩემისაგან თქუჭნ ზედა ღ აე-
ი გზანს ზ უფალო მომიჯსენე მე ღ მომხედე მე, ღ უბრალო მუავ მე
იღ ძღევეართა ჩემთაგან, ნუ სულგრძელეებისა შენისადმი დამძარსავ მე:
იღ ცან ვითარ მოვიდე შენ ძლით ეჭუჭღრება ზ უგულეებელს მოოფელ-

¹⁾ დ. მეფ. კა. — ²⁾ ა. მეფ. ბ. ა. მოსე ტ.

თავან სიტუჟათა შენთასა: მოასრულეს იგინი დ იუან სიტუჟა შენი ჩემდა ნუ გეძინის საცემელ, დ სინარულ გულისა ჩემისა, რამეთუ ზედ წოდებულ არს სასელი შენი ჩემ ზედა, უფალო ეოვლისა მწერობელო ზ ¹⁾ არა დაჯედ შესაგრებელსა შორის მათ თანა იმ-
 ლერიედ რაჲ, არამედ ვიძიპვოდე ზირისაგან კელისა შენისა, მარ-
 ტოვებით ვჯდე, რამეთუ სიმწართა აღვივსე ზ ²⁾ რაჲსათჳს შემა-
 წუხებელნი ჩემნი მძლევენ, წელულება ჩემი მტკიცე არს, ვინა განა-
 ვიკურნო ქმნილ იქმნა ჩემდა ვითარცა წელი ცრუ, არ მქონებელი
 რწმენისა ზ ამისთჳს ამათ იტუჳს უფალი, უკეთუ მოაქციო დ კჳ-
 ლად ვაგო შენ, წინაშე ზირსა ჩემსა დასდგე დ გამოთუ იუვანო ზა-
 ტიოსანი უღირსისაგან ვითარცა ზირი ჩემი იუო: დ მოაქციონ მათ
 შენდა, დ შენ არა მიაქციო მათღამი ზ დ მიგცე შენ ერსა ამას,
 ვითარცა ზღუდე რვალისა მაგარი: დ გბრძოდიან შენ, დ ვერ უძ-
 ლებდენ შენღამი, მით რამეთუ მე შენთანა ვარ ცხოვნებად შენდა,
 თქუა უფალმან ზ დ განრინებად შენდა კელისაგან ბოროტისა, დ
 გიკვნა მე შენ კელისაგან სიუმილთასა, იტუჳს უფალი ღმერთი ის-
 რაელისა.

ის
 იტ
 ით
 ბ
 ბ

თ ა ვ ი ი ზ.

და იუო სიტუჟა უფლისა ჩემდამო მეტუჳწელი ზ დ შენ ნუ
 ისვამ ცოლსა, დ არა იმჳწეს შენდა მე, არცა ასული აღვილსა. ამას
 შინა ზ რამეთუ ამათ იტუჳს უფალი მეთათჳს დ ასულთა, ქმნილთა
 აღვილსა ამას შინა დ დედათა მათთათჳს მღმობელთა მათთა, დ მა-
 მათა მათთათჳს მშობელთა მათთა ქუწუანასა ამას შინა ზ სიკუდი-
 ლისა მიერ ვითარცა ვიტუვი, მოკუდენ, არა იტუებენ დ არა დაი-
 ფლენენ, სამაკალითოდ ზირსა ზედა ეოვლისა ქუწუანისსა იუჳნენ,
 დ მასვილისა მიერ დაეცენენ, დ სიუმილისა მიერ მოესრულენენ დ
 იუჳნენ მძორნი მათნი საჳმელ მფრინეელთა ცისათა, დ მკეცთა.
 ქუწუანისათა ზ ამათ იტუჳს უფალი, ნუ შესვალ გლოვასა მათსა,
 დ ნუ მისვალ ტუებად, დ ნუ ეგლოჳ მათ, რამეთუ განმიშორებიეს
 მშვიდობა ჩემი ერისა ამისგან, იტუჳს უფალი, დ წეალობა ჩემი დ

ბ, ბ
 ბ
 ღ

¹⁾ ფსალ. ა. დ კე. — ²⁾ ჰეპორ. ლ.

ვ მუწუნარებანი ჩემნი ✱ ღ მოკუდუნ დიდნი ღ მცირენი ქუჭყანასა ამას
 შინა, არა დაეფულნენ არცა ეტყებდენ მათ, არცა რადმთურით ქმნან
 ზ არა რად ღ არა აღიზარს ღ არცა იტირნენ ✱ ღ არცა განტუდეს
 ზური გლოვასა შინა მათასა ნუ გეშინის საცემელად მკუდარსა
 ლ ზედა, არა ასუან მას სასუმელი ნუგეშინის საცემელად მამასა მის-
 თ სა ზედა, ღ დედასა მისსა ზედა ✱ სასიღ განცხრომისა მათისა არა
 თ მესვიდე ოდესცა თან დაჯდომად მათთანა ჭამად ღ სუმაღ ✱ მით
 რამეთუ ამათ იტყვს უფალი ძალთა ღმერთი ისრაელისა: აჭა მე
 დავარღუჭე ადგილისა ამისგან, წინაჲ თვალთა თქუჭნთა, დღეთა
 შინა თქუჭნთა გამასა სისარულისასა, ღ გამასა შუჭნიისასა: ღ გამასა
 ი სიძისასა ღ გამასა სძლისასა ✱ ღ იეოს ოდეს მიუთხრნე ერსა ამას
 ყოველნი ესე სიტყვანი ღ თქუან შენდამო, ¹⁾ რასათუხ თქუნა უფალ-
 მან ჩუჭნ ზედა ყოველნი ესე მვირნი, რად არს სიცრუეჭნი ჩუჭნი,
 ღ რად ცოდვა ჩუჭნი რომელი ვცოდეთ წინაჲ უფლისა ღმთისა
 ია ჩუჭნისა ✱ ღ ჭრქუა მათ, მის წილ რომელ დამიტყვეს მამათა თქუჭ-
 ნთა, იტყვს უფალი, ღ ვიდოდეს უკანა ღმერთთა უცხოთასა, ღ ჭმსა-
 იბ სურეს მათ, ღ თაუჭანის სცეს მათ: ღ მე დამიტყვეს, ღ სჯული ჩე-
 მი არა დაიმარხეს ✱ ²⁾ ღ თქუჭნცა იუკეთურეთვე უფროს მამათა
 თქუჭნთასა, ღ აჭა თქუჭნ სუაღთ კაცადნი უკანა სათნოთა გული-
 ივ სა თქუჭნისათა არ სმენად ჩემდა ✱ ³⁾ ღ განგთინე თქუჭნ ქუჭყა-
 ნისა ამისგან, ქუჭყანად მიმართ რომელი არა იცით თქუჭნ ღ მა-
 მათა თქუჭნთა, ღ ჭმსახუროთ მუნ ღმერთთა უცხოთა დღე ღ ღამე,
 იღ რომელთა არა მოგცენ თქუჭნ წუაღობაჲ ✱ ამისთუხ აჭა დღენი
 მოვლენ, იტყვს უფალი, ღ არა თქუან მერმე ცხოველ არს უფალი,
 რომელმან აღმოიყვანნა მენი ისრაელისანი ქუჭყანით ეგვიპტით ✱
 იე არამედ ცხოველ არს უფალი რომელმან აღმოიყუანნა მენი ისრაე-
 ლისანი ქუჭყანისაგან ჩრდილოსა, ღ ყოველთაგან სოფლებთა, სადა
 ივ განივადნეს მუნ, ღ კუაღად ვაგნე იგინი ქუჭყანასა მათსა, რომელი
 ივ მივეც მამათა მათთა ✱ აჭა მივაკლენ მრავალთა მონადირეთა ღ მოინა-
 დირნენ იგინი, ღ ამათსა შემდგომად მივაკლენ მრავალთა მთსეკლართა,

1) ზეკორ. ე. — 2) ზეკორ. ზ. — 3) ჭეკორ. თ.

იტყვს უფალი, ღმერთსეველს ივინი ზედა კერძო ეოვლისა მთისა ღ
 ზედა კერძო ეოვლისა ბორცვისა, ღ გურგლებისაგან კლდეთასა ❖ რა- ის
 მეთუთჳალნი ჩემნი ეოველთა ზედა გსათა მათთა, ღ არ დაიფარნენ
 უსამართლოებანი მათნი წინაჲ თვალთა ჩემთა ❖ ღ ნაცვალ ვაგო ის
 მწიობლეულად სიცრუჳტა მათთა ღ ცოდვათა მათთა, მათ წილ რო-
 მელ შეაგინეს ქჳტყანსა ჩემი, მორებისა მიერ სამაგელებათა მათთასა:
 ღ უსჯულოებათა მათთა მიერ, რომლითა შესცოდეს სამკვიდრებელ-
 სსა ჩემსა ❖ უფალო ძალო ჩემო ღ შემწეო ჩემო, ღ მისალტოლვე- ით
 ლო ჩემო დღეთა შინა მვირთა ჩემთასა, შენდამი წარმართნი მოვი-
 დენ დასასრულით ქჳტყანისათ, ღ თქვან, ვითარმედ ნაცილად მოი-
 გნეს მამათა ჩჳტნთა კერძნი, ღ არა არს სარკებელი მათთანა ❖
 უგეთუ ეჳნეს კაცმან თავისა თვისისად ღმერთნი, ღ ივინი არა კ
 არიან ღმერთ ❖ აჳა მე განუცხადო მათ ჟამსა ამას შინა კელი ჩე- კა
 მი, ღ ვაცნობო მათ ძალი ჩემი, ღ ცნან ვითარმედ სასელი
 ჩემი უფალ.

თ ა ვ ი ი ზ .

ღმთ იტყვს უფალი, ცოდვა იუდასი შთაწერილ არს ნაწერსა ა
 შინა, რკინასა შინა ფრსილითა ადამანტინისათა, შთაწებული
 მკერდსა ზედა ფიცრისა გულისა მათისასა, ღ რქათა შორის საკუ- ბ
 რთსეველთა მათთასა ❖ ესრეთ ოდესცა მოიგსენნენ მეთა მათთა სა-
 კურთსეველთა მათთა, ღ სერტუთა მათთა გესა შორის ვარჯობანსა,
 ღ ბორცუთა ზედა განსაცხრომელთა ❖ ღ მათთა ველსა შორის ძა- ბ
 ლი შენი, ღ ფასნი შენნი იაფრად მივსცნე, ღ ძალაღნი შენნი ცო-
 დვათა შენთათჳს, ეოველთა შორის სასღჳართა შენთა ❖ ღ დაშთე დ
 მარტო, ღ დაჳმდაბლდე სამკვდრებელისაგან შენისა, რომელი მიკეც
 შენ: ღ დაგამონო შენ მტერთა შენთა ქჳტყანასა შინა რომელი არა
 უწეოდა, რამეთუ ცეცხლი აღვსებულ არს გულის წერომისაგან
 ჩემისა, ვიდრე საუკუნომდე ეგსებოდის ❖ ესრეთ იტყვს უფალი: ¹⁾ ე
 წეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქჳს კაცისა მიძართ, ღ გა-
 ნიმტკიცოს კორცი მკლავისა თჳსისა, ღ უფლისაგან განდგეს გუ-

¹⁾ ესაია ლ.

ჯ ლი მისი ❖ ¹⁾ ზ იუოს ვითარ ველური გრიკი უდაბნოს შინა, რომელი არა ისილავს ოდეს მოვიდენ კეთილნი: ზ დაემენოს აღდაჰსა, ქრწყანასა უდაბნოსა, ქრწყანასა შინა მარლილანსა, რომელი არ

ზ დაიძვდრების ❖ ზ კურთსეულ არს კაცი რომელი ესვიდა უფლისა მიძართ, ზ იუოს ეოველი სასო მისსა ❖ ²⁾ ზ იუოს ვითარცა სენოეიერი წეალსა ზედა, ზ ნოტიასა ზედა განიჭუნეს ძირნი მისნი: ზ არა შეშინდეს ოდეს მოვიდეს სიცსე, ზ იუოს მის შორის მორჩები სერტოფნები: წელიწადსა უწვძროებისასა არა შეშინდეს, ზ არა

თ მოაკლოს ეოფად ნაყოფი ❖ ღრმა არს გული უფროს ეოველთასა,

ი ზ კაც არს, ზ ვინ ცნას იგი ❖ ³⁾ მე უფალი გამწულილველი გულთა, გამომცდელი თირკმელთა, მიცემად კაცადისა გსათა ებრ მისთა, ზ ნაყოფთა ებრ სიძარჯუტთა მისთასა ❖ ⁴⁾ კმა ეო კაკაბმან

ია შეიკრიბნა რომელნი არა შენა მეოფელმან სიძიდრესა მისსა არა განკრთხვით, განზოგებასა დღეთა მისთასა დაუტეონ იგი, ზ უკანასკნელთა შინა მისთა იუოს უცნობელ ❖ საუღარ დიდების ამაღლე

იბ ბულ სიწმიდე ჩუწნი ❖ დასაბამითგან ადგილ სიწმიდისა ჩუწნისა თმენა ისრაელისა: უფალო ეოველნი დამტევებელნი შენნი სირცსულეულ იქმნედ: განმდგომნი ქრწყანასა ზედა დაიწერნედ, რამეთუ

იდ დაუტევეს წეარო ცხოვრებისა უფალი ❖ განმკურნე მე უფალო, ზ განვიკურნო, ზ მაცხოვრე მე, ზ ვცხოვრდე, რამეთუ სიქადული ჩემი

იე შენ ხარ ❖ აჰა ესენი იტყუან ჩემდამო, სადა არს სიტყვა უფლისა,

ივ მოვედინ ❖ ხოლო მე არა დავშუტრ შედგომილი უკანა შენსა, ზ დღესა კაცისსა გულმან არ მითქვა, შენ უწეი გამომავალნი ბაკეთა

იზ ჩემთაგან, წინაშე ზირსა შენსა არიან ❖ ნუ მექმნები მე უცხო ძრი

იტ დებელი ჩემი დღესა შინა ბოროტსა ❖ სირცსულეულ იქმენინ მღევარნი ჩემნი, ზ ნუ მერცხვნებინ მე, შემრწუნდედ ივინი ზ ნუცა შევძრწუნდები მე, მიაწიე მათ ზედა დღე ბოროტი, მრჩობლითა შემუსრვითა შემუსრენ ივინი ❖ ესრეთ თქუა უფალმან ჩემდამო, ვიდოდე ზ დადეკ ბჭეთა ზედა მეთა ერისა შენისათასა, რომლისა მიერ შეველენ მათ მიერ მეფენი იუდასნი, ზ რომელთა მიერ გამოვლენ

¹⁾ ესაია ლა.—²⁾ ფსალ. ა.—³⁾ მოხილ. ბ. ფსალ. 9.—⁴⁾ 5 მეფ. ივ.

შინა შინთა, ღ კვალად შექმნა იგი ჭურჭლად ღ სხვად ვითარცა
 1 სთნდა წინაშე შინსა ქმნად ❖ ღ იქმნა სიტყვა უფლისა ჩემდამო
 2 მეტყუტლი, არქუ მათ ❖ ¹⁾ უკეთუ ვითარცა შეკეცეს ამას ვერ ძალ-
 3 მიც ქმნად თქუტნდა სასლო ისრაელისაო, აჰა ვითარცა თივა გელსა
 4 შინა შეკეცისასა, ეგრეთ თქუტნ სართ გელთა შინა ჩემთა, სასლო
 5 ისრაელისაო ❖ აღსასრული ვთქუა ნათესავსა ზედა, ანუ მეფობასა,
 6 ²⁾ მოსპოლვა მათდა ღ წარწყმედად ❖ ღ მოაქციოს ნათესავმან უკე-
 7 თურებათაგან მათთა, ღ შევინანო ბოროტათაჲს რომელთა ვსიტ-
 8 უტუტვად ეოფად მათდა ❖ დასასრული ვთქუა ნათესავსა ზედა, ღ მე-
 9 ფობასა ზედა, აღმენებად ❖ ღ დანერგუად, ღ ბოროტი ქმნენ წინაშე
 10 ჩემსა, არ სმენად გმისა ჩემისა, ღ შევინანო კეთილთა თჲს რომელ
 11 ნი ვთქუტნ ქმნად მათდა ❖ ღ აწ თქუ მამა-კაცთა მიმართ იუდასთა,
 12 ღ დამკვიდრებულთა მიმართ იერუსალიმს, ესრეთ იტუჲს უფა-
 13 ლი: ³⁾ აჰა მე აღვზელ თქუტნ ზედა ბოროტთა, ღ ვსიტუჲვ თქუტნ ზე-
 14 და გულის სიტყვასა: ⁴⁾ მოიქეცინ კაცადი გვისაგან თჲსისა ბო-
 15 როტისა, ღ უკეთეს ჰევენით სიძარჯუტნი თქუტნი ღ გჲანი თქუტ-
 16 ნი ❖ ღ თქუტს ვმგნდეთ, რამეთუ უკანა განდრეკილებათა ჩუტნთასა
 17 ვიდოდით, ღ კაცადმან სათნონი გულისა ჩუტნისა ბოროტისანი
 18 ვქმნეთ ❖ ამისთჲს ამათ იტუჲს უფალი, იკითსეთ წარმართთა მო-
 19 რის, ვის ესმენს ესე ვითარნი განსაკრთომელნი ფრიად, რომელნი
 20 ქმნა ასულმან ქალწულმან იერუელისამან ❖ ნუ მოაკლდეს კლდი-
 21 სავან მუძუნი ანუ თოფლი ლიბანისაგან, ანუ მიაქციის წყალი მია-
 22 მულებელისა ქარისა მობერვამან ❖ რამეთუ დამივიწუა მე ერმან
 23 ჩემმან, ცუდისადმი აკმედეს, ღ მოუძღუოდენ გჲათა მათთა ზედა,
 24 საბელთა საუკუნეთა ზედ სღვისა თჲს აღავტა არ მქონებელთა
 25 გჲისათა სავალად ❖ ⁵⁾ დაწესებად ქუტყანა მათი უჩინო საქმედად,
 26 ღ სასტვინველად საუკუნოდ, ეოველნი წარმავლელნი მის მიერ გან-
 27 ცუფრდენ, ღ შესარნენ თავნი მათნი ❖ ვითარცა ქარმან შემწუტლ-
 28 მან განვაბნინე ივინი წინაშე ჰირსა მტერთა მათთასა, ქედი ღ არა

¹⁾ ესაია მე. რომ. გ.—²⁾ ზემ. ა.—³⁾ ჰემ. ჰე. ღ ლე.—⁴⁾ იონა გ.—
⁵⁾ ჰემ. ით, მთ, ღ ნ.

ჰირი უსუტნო მათ დღესა შინა წარწეძედისა მათისასა ❖ დ თქუტს
 მოვედით ვსიტყოთ იერემიას სედა გულის სიტყვა, რამეთუ არა
 წარწეძედს შუალი მდღელისაგან, დ განსრასვა გულის ხმიერისა-
 გან, დ სიტყვა წინასწარმეტყულისაგან, მოვედით დ ვეტუტმოთ ენით
 დ არა ვისძინეთ ეოველნი სიტყვანი მისნი ❖ ისძინე, ჩემი უფა-
 ლო, დ ისძინე ვამა სამართლისა ჩემისა ❖ უკეთუ მიეკებინ
 ბოროტნი კეთილთა წილ, რამეთუ შეთქუნეს სიტყვანი ძვინად სუ-
 ლისა ჩემისა, დ ტანჯვა მათი დამირწუტს მე, მოივსენე დგომა ჩე-
 მი წინაშე ჰირსა შენსა, თქმად მათ ძლით კეთილთა, გარე მიქცევად
 გულის წერომა შენა მათგან ❖ ამისთვს მისცენ შენი მათნი სიუ-
 მილსა, დ შეაწუდინ იგინი კელთა მასვილისათა, იქმენინ ცოდნი
 მათნი უშვილო დ ქერიეებ, დ ქარნი მათნი იქმენინ მოწუტდილ
 სიუდილითა, დ ჭახუნნი მათნი დაცემულ მასვილითა ბრძოლასა
 შინა ❖ იქმენინ ღაღადება სასლებსა შინა მათსა, მოავლინენ მათ
 სედა ავასაკნი მუის, რამეთუ კელ ეტს სიტყვა შეჰვრობად ჩემდა,
 დ მასენი დაარწუტნეს ჩემ სედა ❖ დ შენ უფალო სცან ეოველი გა-
 ნსრასვა ჩემ სედა სასიკუდინედ, ნუ აუბრალოებ უმართლობათა
 მათთა დ ცოდვათა მათთა ჰირისა შენისაგან ნუ აჭკოც, იყავნ უძ-
 ლულება მათი წინაშე შენსა, ჟამსა შინა გულის წერომისა შენისასა
 ეავ მათ შორის.

იტ
 ით
 კ
 კა
 კბ
 ა
 ბ
 გ
 დ

თ ა ვ ი ით.

ეშინ თქუა უფალმან ჩემდამო ვიდოდე, დ მოიკე კარბა, გამო-
 სელილი მექცისა, დ მოიევანენ მოსუცებულთაგან ერისათა, დ მო-
 სუცებულთაგან მდღელთასა ❖ დ განსვიდე სამრავალკაცოდ მეებისა
 შვილთა მათთასა, რომელი არს წინა კართა სედა ბჭისა ხარსიდი-
 სისა, დ წარკითხენ შენ ეოველნი სიტყვანი, რომელნიცა ვთქუნე
 შენდამი ❖ დ ჭრქუა მათ, ისძინეთ სიტყვა უფლისა მეფეთა იუდას-
 თა, დ კაცათა იუდისთა დ დამკვიდრებულთა იერუსალიმს, დ შემავალ-
 თა ამათ ბჭეოა შინა, ამათ იტუჯს უფალი ღმერთი ისრაელისა აჭა
 მე მოვაწევ ერსა ამას სედა ძვირთა, ვიდრედა ეოველსა მსმენელსა
 მათსა აღუევიდენ ეურნი მანსი ❖ მათ წილ რომელ დამიტევეს მე,

ღ განაუცხოეს ადგილი ესე, ღ უკმევდეს ამის შორის ღმერთთა
 უცხოთა, რომელნი არა იცოდნეს მათ ღ მამათა მათთა, ღ მეფეთა
 იუდასთა, აღავსეს ადგილი ესე სისხლებითა უბრალოებითა ზ. ღ
 უშენეს მაღალნი ბაალსა, დაწვად პენი მათნი ცეცხლითა, უოვლად
 დასაწუჭლად ბაალისსა, რომელნი არა ვამცნენ მათ, არცა მომე-
 კონა გულსა შინა ჩემსა ზ ამითუღ აჰა დღენი მოვლენან იტევს
 უფალი, ღ არა ეწოდოს მერმე ადგილსა ამას დაცემულება, ღ სამ-
 რავალკაცო მისა ენნომისსა, არამედ სამრავალკაცო სრვისა ზ
 ზ მოვსრა განზრახვა იუდასი, ღ განზრახვა იერუსალიმისა ადგილ-
 სს ამას შინა, ღ დავსხნე იგომი მახვლისა მიერ წინაშე მტერთა
 მათთასა, ღ ხელებსა შინა მაძიებელთა სულებისა მათისათასა, ღ
 მივსცნე მკვდარნი მათნი საჰმელად მფრინველთა ცისათა ღ მხეცთა
 ღ ქუჭენისათა ზ ¹⁾ ღ დავდვა ქალაქი ესე უჩინო საქმელად, ღ სას-
 ტუნვლად, უოველი თანა წარმღველი მის სედა დაწუხნეს, ღ დაის-
 ტვნოს უოვლისა ამის წელულებისათუ ზ ღ ჰამდენ გორცებსა
 მეთა მათთასა, ღ გორცებსა ასულთა მათთასა, ღ თითოეული გორ-
 ცთა მოუვისსა თვისისათა ჰამდეს გარე მოცუვლებასა შინა, ღ გარე
 მოდგომილებასა შინა, რომელითა გარე მოადგენ მათ მტერნი მათ-
 ნი, ღ მაძიებელნი სულთა მათთანი ზ ღ შემუსრო კარბა წინაშე
 თვალებსა კაცთა გამოსრულთასა შენთანი ზ ღ სთქუა მათდა მიძარტ
 ამათ იტევს უფალი მალთა, ესრეთ შემუსრო ერი ესე ღ ქალაქი
 ესე, ვითარცა შეიმუსრვის ჭურჭელი კეცისა რომელი არ შესამლე-
 ბელ იუოს განკურნებად მერმე, ღ ტაფეთს თანა დაჭფლვიდენ რამე-
 თუ არა იუოს ადგილი დაფლვად ზ ესრეთ უო, იტევს უფალი,
 ადგილსა ამას ღ დამკვდრებულთა მას შინა მიცემად ქალაქი ესე
 ღ ქუჭენად დაკუჭტებულად ზ ღ იუშენ სახლებნი იერუსალიმისანი,
 ღ სახლი მეფეთა იუდასთანი, ვითარცა ადგილი დაკუჭტებული, არა
 წმინდებათათუ ღ რომელნი ქმნეს სახლთა შინა, რომელთა შინა
 უკუშევდეს ერდოებსა სედა მათსა უოველსა მკედრობასა ცისასა, ღ
 უკებდეს საგებელთა ღმერთთა უცხოთა ზ ღ მოვიდა იერემია დაცე-

¹⁾ ზემორ. იტ. ჰემორ. მე ღ ნ.

მულებიანგან ტაფეთისა, ვინა მიავლინა იგი უფალმან წელულებად მუნ, ჳ დადგა ესოსა შინა სახლისა უფლისსა ჳ თქუა ყოვლისა მიძართ ერისა ❖ ამას იტყვის უფალი ძალთა ღმერთი ისრაილისა, აჰა მე მოვჰყადენ ქალაქსა ამას ზედა ჳ ყოველთა ზედა ქალაქთა მისთა, ჳ დაჰბათა მისთა, ყოველნი ძვირნი რომელთა ვიტყუოდე მის ზედა, რამეთუ განიფიცხეს ქედი მათი არ სმენად სიტყუათა ჩემთა.

თ ა ვ ი ა.

და ესმა ზასქორს ძესა ემძირისა ძღველსა, ჳ იგი იყო დადგინებულ სახლსა უფლისსა, იერემიას წინასწარმეტყუტლება სიტყუათა ამით ❖ დაუხეთქნა ზასქორმან იერემიას წინასწარმეტყუტლესა, ჳ შთააგდო იგი ძღვძემს რომელი იყო ბჰესა თანა ბენიამინისსა სახლისა განკიდებულისა ქორედისა რომელი იყო სახლსა შინა უფლისსა ❖ ჳ იყო სვალისაგან ჳ გამოიყვანა ზასქორმან იერემია ძღვიძით, ჳ ჰქრქუა მას იერემია, არა ზასქორ გიწოდა უფალმან სახელი შენი არამედ გარდასახლებულ ❖ მით რამეთუ ამით იტყვს უფალი, აჰა მე მივცემ შენ გარდასახლებად ყოველთა თანა მოყუარეთა შენთა, ჳ დაეცნენ მასჯლითა მტერთა მათითათა, ჳ თჳალთა შენთა ისილონ, ჳ შენდა ყოველი იუდა მივსცე კელთა მეფესა ბაბილოვნისათა ჳ გარდასახლენ იგინი ბაბილოვნად ჳ დაჰრან იგინი მასჯლითა ❖ ჳ მივსცნე ყოველი ძალი ქალაქისა ამის, ჳ ყოველნი ნაშრომნი მისნი, ჳ ყოველი ჰატივი მისი, ჳ ყოველნი საუნჯეინი მეფისა იუდასნი მივსცნე კელთა მტერთა მათითანა, ჳ წარისჴნენ იგინი ბაბილოვნად ❖ ჳ შენ ზასქორო ჳ ყოველნი დამკვდრებულნი სახლსა შინა შენსა წარსჯდეთ ტყუტობად, ჳ ბაბილონად მიხჯდეთ, ჳ მუნ მოჰჰედე, ჳ მუნ დაეფლა შენ ჳ ყოველნი მეკობარნი შენნი რომელთა უწინასწარმეტყუტლებდ მათ ცრუსა ❖ შემაცთუნე მე უფალო ჳ შევსცეთ, შემძჳარ ჳ მძღე ვიქმენ საცინელად ყოველი დღე წარვლე განკიცხულმან ❖ რამეთუ განმწარებულითა სიტყუთა ჩემითა ვიცინოდნი, უდებლობასა ჳ საარებლობასა მოვსადო, რამეთუ იქმნა სიტყუა უფლისა ჩემდა საუტდრელად ჳ საგინებელ ყოველსა დღესა ❖ ჳ თქუ არა სახელ ვსდვა სახელ-

ზედა, უკეთუ ეოს ვითარ უფალმან ჩუწნთანა ეოველთა ებრ საკვირვე-
 ლებათა მისთა და წარვიდეს ჩუწნგან და დათქუა მათდა მიმართ იერემია
 ესრეთ თქუთ სედეკიას მიმართ და ამათ იტყუს უფალი ღმერთი ისრაე-
 ლისა, აჰა მე გარდავაქცინე საჭურველნი საბრძოლველნი თქუწნნი რო-
 მელი არს კელთა თქუწნთა რომელთა მიერ ებრძუთ თქუწნ მათ მიერ
 მეფესა ბაბილონისასა, და ქალდეველთა შემკველთა თქუწნთა გარეთ
 სლუდისა, და შემოვიუქანე ივინი საშუალ ქალაქისა ამის და დაგებრ-
 ძლო თქუწნ მე, კელითა განმარტებულითა და მკლავითა ძლიერითა,
 გულის წურომისა თანა და რისხვისა დიდისა და მოვსრნე ეოველნი
 დამკვიდრებულნი ქალაქსა ამას შინა, კაცნი და საცხოვარნი სიკუდი-
 ლისა მიერ დიდითა და მოკუდენ და შემდგომად ამათსა, ესრეთ იტყუს
 უფალი, მივსცე სედეკიას მეფე იუდასი, და ერმანი მისნი, და ერი დაძო-
 მილი ქალაქსა ამას შინა სიკუდილისაგან და მახვილისა და სიემილისა,
 კელსა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისასა და კელთა შინა მტერ-
 თა მათთ, და კელთა შინა მეძიებელთა სულთა მათთასა, და დაჭრენ ივი-
 ნი ჰირითა მახვილისათა, არა ვერიდო მათ ზედა, და არ შევიწყალნ ივი-
 ნი და არცა უღსინო მათ და ერისა ამის მიმართ სთქუა, ამათ იტყუს
 უფალი, აჰა მე მიგეც წინაშე ჰირსა თქუწნსა გჴა ხარებისა და გჴა სი-
 კუდილისა და ¹⁾ მჯდომარე ქალაქსა ამას შინა მოკუდეს მახვილისა მიერ
 და სიემილისა მიერ, და გამოძავალი განშორებისათჳს ქალდეველთა
 მიმართ შემაწუდველთა თქუწნთა ცხონდეს, და იეოს სული მისი
 სიავროდ და ცხონდეს და მით რამეთუ განვიტკიცე ჰირი ჩემი ქალა-
 ქსა ამას ზედა საბოროტოდ, და არ საკეთილოდ, თქუა უფალმან,
 კელთა მეფისა ბაბილონისათა მიეცეს, და მოწუას ეგე ცეცხლი-
 თა და სასლმან მეფისა იუდასმან ისმინეთ სიტუვა უფლისა და სას-
 ლო დავითისო ამათ იტყუს უფალი, ²⁾ შვიდით განთიად სასჯელსა
 და წარმართებდით, და განარინებდით მისუტყილსა კელისაგან მიმ-
 სუტყელთა მისთასა, რათა არა აღეკუნას ვითარცა ცეცხლი რისხვა
 ჩემი, და დასწვიდეს და არა იეოს დამშრეტელ, ჰირისაგან სიცრუისა
 სიმარჯუტათ თქუწნთასა და აჰა მე შენდამი დამკვიდრებულისა ღე-

გ
 დ
 ე
 ვ
 ზ
 ტ
 თ
 ი
 ას,აბ
 იკ

¹⁾ჰემ. ლტ.—²⁾ ჰემ. კბ.

ლესა სორისსა, ველობსა, ეტეუს უფალი მეტეუჭლთა, ვინ შემამი-
 იდ ნეს ჩუჭნ, ანუ ვინ შევიდეს სამკვიდრებელსა ჩუჭნსა და ზედ მო-
 ვიხილო თქუჭნ ზედა, ბოროტთა ებრ სიმაღჯუჭთა თქუჭნთა, თქუჭ-
 უფალმან, და აღვაგზნე ცეცხლი მალნარსა მისსა შორის და შეჭამ-
 ნეს უოველნი გარემოსნი მისნი.

თ ა ვ ი აბ.

ამათ იტეუს უფალი ვიდოდე და მთახედე სახიდ მეფისა იუდას-
 სა, და სთქუენე მუნ სიტყვანი ესე და ჰქრქუა ისმინე სიტყვა უფლი-
 სა მეფემან იუდასმან მჯდომარემან საედარსა ზედა დავითისასა შენ,
 და ერმათა შენთა, და ერმან შენმან, და რომელნი შემოვლენ ბჭეთა და
 ამათ იტეუს უფალი, ¹⁾ ჰყოფდით სასჯელსა და სიმაღრთლესა და განარჩი-
 ნებდით მიმძლავრებულსა კელისაგან მიმძლავრებულისა მისისა, და მწი-
 რსა და ობოლსა და ქურვისა ნუ ჰმძლავრობთ, და ნუ უმთხოვთ, და სის-
 დლსა უბრალოსა ნუ დასთხვეთ ადგილსა ამას შინა და მით რამეთუ უკე-
 თუ მოოფელთა ჰყოთ სიტყვა ესე, და შევიდოდინ ბჭეთა ამის სახლისათა
 მეფენი და მთავარნი, მსხდომნი საედარსა ზედა დავითისსა, და ზედ აღმა-
 ვალნი ეტლებსა ზედა და ცხენებსა იგი და ერმანი მისნი და ერი მისი და
 ხოლო არა თუ ჰუენეთ სიტყვანი ესე, თავისა ჩემისადმი ვუყუცე, იტეუს
 უფალი ვითარმედ მოსაოჯრებელად იუოს სახლი ესე და რამეთუ ამათ
 იტეუს უფალი, ძვინად სახლისა მეფისა იუდასისა, გალაად შენ ხარ
 ჩემდა დასაბამ ლიბანისა, უკეთუ არა დაგდვა შენ უდაბნოდ ქალაქე-
 ბად არ დასკვიდრებულეებად და და მოვწივნე და წმიდა ვუენე შენ ზე-
 და მომსრველნი, მამა-კაცი და ცული მისი, და მოჰქუჭნენ რჩეულნი
 ნამჭნი შენნი და შეეარნენ ცეცხლსა და და განვიდენ წარმართნი მრ-
 ვალნი ქალაქისა ამის მიერ, და თქუას კაცადმან მოუჭისსა მიმართ
 თვისისა: ²⁾ რაჟსათუს უეო უფალმან ესრეთ ქალაქსა ამას დიდსა და
 და ჰქრქუან მათ წილ რომელ დაუტევეს ანდერძი უფლისა ღუთისა
 მათისა და თაუვანისცეს ღმერთთა უცხოთა და ჰმსახურეს მათ და ნუ
 სტირთ მომკუჭდარსა ნუცა ეგლოვთ მას, და იტირეთ ტირილით გან-
 მავალი, რამეთუ არღა მოიქცეს მერმე, არცა იხილოს ქუჭუნა მა-

1) ზემ. აბ.—2) ბ შუულ. კთ. დ მეფ. თ.

მულისა მისისა ❖ მით რამეთუ ამათ იტყუეს უფალი სელიმის ზედა ია
 მისა იოსიასსა, მეფისა იუდასსა, რომელი მეფობდა იოსიას წილ
 მამისა მისისა, რომელი გავიდა ადგილისა ამისგან, არა უკმოქცეს
 მუნ არა მერმე ❖ რამეთუ ადგილსა მას რომელსა გარდასასხლეს
 იგი მუნ მოკუდეს ღ ქუჭანსა ესე არა იხილოს მერმე ❖ ❖ მაშენ-
 ბელსა სახლისა თვისისა, არა სიძარტლისა მიერ, ღ ქორებსა
 თვისსა არ განკითხვისა მიერ, მის მიერ მოყუასი მისი მოქმედებს
 ცუდად ღ სასუიდელსა მისსა არ მისცემს მას ❖ მეტყუელნი უშენე
 თავსა შენსა სახლი ზომითი, ქორები სასიზოები განკებულებისა
 სტუტნად, ღ მოწივთულები ნამვითა, განგლესილები წარნაქითა ❖
 ნუ ჰმეფობ რამეთუ შენ განსმვინდი, აქაზისებრ მამისა შენისა, არა ჰამონ
 ღ სწან, ღ ქმნა მსჯავრისა ღ სიძარტლისა კეთილისა არა ცნეს ❖ არა
 საჯეს სასჯელი მდაბალთა არცა სასჯელი დაგრდომილისა, არა ესე
 არსა შენგან ვერ ცნობა ჩემი შენი, იტყუეს უფალი ❖ რამეთუ შენ-
 და აჰა არა არიან თვალნი არცა გული შენი კეთილ, არამედ ანგა-
 რებასა ზედა შენსა, ღ სისხლსა ზედა უბრალოსა, დათხევად მისსა,
 ღ ცილის წამებისა ზედა ღ უსამართლოებასა, ღ მკლველობასა,
 ქმნად მათდა ❖ ამისთუ ამათ იტყუეს უფალი იოაკიმის ზედა მისა
 იოსიასსა მეფისა იუდასსა, ვაჟ ვაცსა ამას ზედა არა ეტყებდენ მას,
 ვაჟ მე უფალო, ღ ვაჟ მე მძაჲ ვაჟ მე დაო, არცა სტიროდინ მას
 ❖ საყვარელო ❖ დაფლვითა ვირისათა დაეფლას, განთრევით ვითარ-
 ცა სკორე განითხიოს მიერ კერძო ბჭესა იერუსალიმისასა ❖ აღვედ
 ლიბანსა ზედა ღ ლაღადეჲ, ღ ბასანადმი მიეც კმა შენი, ღ კმა
 ეჲჲ წიაღკერძოდ მიძარტ სღვისა, რამეთუ შეიმუსრნეს ყოველნი
 ტრფიალნი შენნი ❖ ვიტყოდე შენდამი დაცემულებასა შინა შენსა,
 ღ სთქუ არა ვისმინო შენი, ესე არს გჲა შენი სიჭაბუკით შენთა-
 გან რამეთუ არა ისმინე კმისა ჩემისა ❖ ყოველთა მწყემსთა შენთა
 ჰმესის ქარი, ღ ტრფიალნი შენნი ტუტობად მიძარტ წარვიდენ რა-
 მეთუ მამინ შეარცხვინო, ღ უზატვიო იქმნე ყოველთაგან მოყუარეთა
 შენთა ❖ დამკვიდრებულმან შორის ლიბანსა, დაბუდებულმან ნამუთა
 ზედა, სულთ ითქუნე, მოსლვასა შენდა სალმობათა ვითარცა შობა-

ია
 იბ
 ივ
 იდ
 იე
 ივ
 იზ
 იწ
 ით
 ბ
 კა
 კბ
 კგ

გდ დისათა ❖ ცსოველ ვარ მე, იტყუხ უფალი, უკეთუ ქმნით იქმნეს
 იექონია მე იოაკიმისი მეფე იუდასი, აღმონაბეჭდავ კელისა ჩემისა
 გე მარჯუჭნისა, ვითარმედ მუნიტვან გამოგუსჭრა შენ ❖ ზ მიცეცე შენ
 კელებსა მეძიებელთა სულისა შენისათა, ზ კელებსა რომელთა შენ
 იმიძვი ზირისაგან მათისა, კელსა შინა ნაბუქოდონოსორ მეფისა
 გვ ბაბილონისა, ზ კელსა შინა ქალდეველთასა ❖ ზ განგაგდო შენ ზ
 დედა შენი მშობელი შენი ქუჭყანად სსჭად, ქუჭყანადმი რომელსა
 კზ არა იმჭყნით მუნ ზ მუნ მოჰკუდეთ ❖ სოლო ქუჭყანად რომელსა
 კჭ ივინი ილოცვენ სულითა მათითა არა მოიქცენ ❖ შეურაცს იქმნა
 იექონია ვითარ ჭურჭელი რომლისა არა არიან საყმარება მისი,
 რამეთუ განიგდო იგი ზ თესლი მისი, ზ განიყადა ქუჭყანად რო-
 კთ მელი არა უწეოდა ❖ ქუჭყანაო, ქუჭყანაო, ქუჭყანაო ისმინე სიტ-
 ლ ევა უფლისა ❖ ამათ იტყუხ უფალი, დაწერე მამა-კაცი ესე, განაქიქე
 კაცი, რამეთუ არა აღორძინდეს თესლისა მისისაგან კაცი მჯდომა-
 რე საუდარსა ზედა დავითისსა, მთავარი მერმეცა იუდას შორის.

თ ა ვ ი კ ზ.

ა ❖ მწეემსო წარმწემედელნო ზ განმახნეველნო ცსოვართა
 ბ სამოვარისა ჩემისათა, იტყუხ უფალი ❖ ამისთუხ ამათ იტყუხ უფა-
 ლი ღმერთი ისრაელისა, მწეემსთა ზედა მწეესეელთა ერისა ჩემისა-
 თა თქუჭნ განახნიენით ცსოვარნი ჩემნი, ზ განგარეენით ივინი,
 ზ არ მოიხილენით ივინი, აჰა მე შურ ვიგო თქუჭნ ზედა, ბორო-
 გ ტთა ებრ სიმარჯუჭნთა თქუჭნთა, თქუჭა უფალმან ❖ ზ მე შევიწყნა-
 რნე ნემტნი ერისა ჩემისანი ეოვლისაგან ქუჭყანისა სადა განვარინე
 ივინი მუნ, ზ დავადგინე ივინი სამოვარსა მათსა ზედა, ზ აღორ-
 დ მდენ ზ განმრავლდენ ❖ ზ აღუდგინე მათ მწეემსნი რომელნი ჰმწესი-
 დენ მათ, ზ ზრდა ემინოდის მერმე, არცა ეწიწვოდინ არცა ორკმა-
 მ ობდენლა, იტყუხ უფალი ❖ ო) ესერა დღენი მოვლენ, იტყუხ უფა-
 ლი, ზ აღუდგინო დავითს აღმოსავალი მართალი, ზ მეფობდეს მე-
 ფე მართალი, ზ გუფის ხმა ეოს ზ ქმნას განკითხვა ზ სიმართლე

ო) ეზეკ. ივ ზ კდ. — ო) ჰეკ. ლვ. ესაია დ, მ ზ მე. ეზეკია ლდ. ლ-
 ნიელ თ. იოველ ა.

ქუჭყანასა ზედა ❖ დღეთა შინა მისთა ცხონდეს იუდა და ისრაელი დაემკვდროს სასოებით, და ესე სახელე მისსა, რომელი უწოდოს მას, უფალი სიმაართლე ჩუჭნი (იოსედეკ თვით წინასწარმეტყველთა შორის) ❖ ამისთჳს აჰა დღენი მოვლენ, იტუჳს უფალი, და არა თქუნიან მერმე. ცხოველ არს უფალი აღმომეყვანებელი მეთა ისრაელისათა ეგჳპტით ❖ ¹⁾ და ცხოველ არს უფალი აღმომეყვანებელი, და მომეყვანებელი თჳსლსა სასლისა ისრაელისასა ქუჭყანისაგან ჩრდილოსა და ეოველთაგან სოფლებთა სადაცა განვაზნიენ იგინი მუნ, და დემკვდრენ ქუჭყანასა ზედა მათსა ❖ წინასწარმეტყუჭლთათჳს შეიმუსრა გული ჩემი ჩემ შორის, შეირუენეს ეოველნი ძვალნი ჩემნი, ვიქმენ ვითარცა მამა-კაცი შემუსრვილი, და ვითარცა კაცი შეზერობილი დუნისა მიერ ჰირისაგან უფლისა და ჰირისაგან დიდებისა მისისა ❖ რამეთუ მრუშებათა მიერ აღივსოა ქუჭყანა, რამეთუ ჰირისაგან ამათისა იგლოვა ქუჭყანამან, განკმეს სამოვარნი უდაბნოსანი და იქმნა სრბა მათი ბოროტ, და ძალი მათი არა ესრე ❖ რამეთუ მდღელი და წინასწარმეტყველნი შეიმწიკულებეს, და სახლსა შინა ჩემსა ვისილენ უკეთურებანი მათნი, თქუა უფალმან ❖ ამისთჳს იქმენინ გჳს მათი მათდა საბრკე აღმურსა შინა, და შებრკოლდენ დაეცნეს მას შინა, მით რამეთუ მოგვადნე მათ ზედა ძურნი, წელიწადსა შინა ზედ მისედვისა მათისსა, თქუა უფალმან ❖ და წინასწარმეტყველთა შორის სამარისათა ვისილენ უსჯულოებანი, წინასწარმეტყველებდეს სახელსა ზედა ჩემსა ბაალისთჳს და შეაცთუნეს ერი ჩემი ისრაელი ❖ და წინასწარმეტყველთაცა შორის იერუსალიმისათა ვისილენ განსაკრთომელნი, შემრუშე ქმნილთა და მავალთა სიცრუჭლთა შინა, და შემწეთა ჯელთა ბოროტასა არ მოქცევვისათჳს კაცადისა გჳსისაგან მისისა ბოროტისა, იქმნეს ჩემდა ეოველნი ვითარცა სოდომა, და მკვდრნი მისნი ვითარცა გომორრა ❖ ამისთჳს იტუჳს უფალი რომელთა წინასწარმეტყუჭლთა ზედა, ²⁾ აჰა მე ვაჰამებ მათ სალმობასა, და ვასვამ მათ წყალსა მწარესა რამეთუ წინასწარმეტყველთაგან იერუსალიმისათა გამოვდა შემწიკულება ეოველისა

3
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
53
54
55
56
57
58
59
60
61
62
63
64
65
66
67
68
69
70
71
72
73
74
75
76
77
78
79
80
81
82
83
84
85
86
87
88
89
90
91
92
93
94
95
96
97
98
99
100

¹⁾ ზემ. ე. ბ უფულ. კვ. — ²⁾ ზემ. თ.

ივ ქუჭყანისად ❖ ესრეთ იტყუას უფალი ყოვლისა მჰყრობელი, ¹⁾ ნუ
 ისმენთ სიტყვათა წინასწარმეტყველთასა, რომელნი გიწინასწარმე-
 ტყველებენ თქუენ, რამეთუ გაამაოებენ თქუენ ივინი: სილვასა გუ-
 ისა მათისასა იტყუან, დ არა ჰირისაგან უფლისა ❖ ეტყუან ურ-
 ისა სიტყუასა უფლისათა, ²⁾ მძდობა იეოს თქუენდა, დ ყოველ-
 თა მავალთა ნებათა ებრ მათთა, ყოვლისა მავალისა საცთურით-
 თა გულისა მისისათა, ჰრქუას არა მოვიდენ შენ ზედა ძვრ-
 ის ❖ რამეთუ ვინ დადგა სახილავსა შორის უფლისსა, დ ისი-
 ლა დ ესმენს სიტყუანი მისნი, ვინ უურად ილო სიტყუა მისი დ ის-
 მინა ❖ ³⁾ აჰა ძრვა უფლისა მიერ, დ რისხვა გამოვალს თანად
 კ შესარყეველად, კვალად ქცეული უთნოთა ზედა მოიწია ❖ არდა მე-
 რმე მიიქცეს გულის წყრომა უფლისა, ვიდრემდის ეოს ივი, დ ვი-
 დრემდის დადგინოს ივი კელ ყოფანი გულისა მისისანი უგანა-
 კა სენელთა დღეთასა გულის სმა უწენენ ივინი ❖ არ მივაგლინებდ წი-
 წინასწარმეტყველთა დ ივინი რბიოდეს, არ ვიტყოდე მათდა მიძართ
 კბ დ ივინი წინასწარმეტყველებდეს ❖ დ თუძცა დგეს განზრასვასა
 ჩემსა შორის, დ ისმინენს სიტყუანი ჩემნი, ასწავებდესძცა ერსა ჩე-
 მსა, დ მოაქცევდეს მათ გზისაგან მათისა ბოროტისა, დ ბოროტ-
 კტ თაგან სიმარჯუტთა მათთა ❖ დმერთი მასლობელი მე ვარ, იტყუას
 კდ უფალი, დ არა დმერთი შორიელი ❖ ნუ დამბალოს კაცი სამალავ-
 სა შინა, დ მე არა ვიხილო ივი, იტყუას უფალი, ნუ არა ცასა დ
 კე ქუჭყანასა მე ადვავსებ, იტყუას უფალი ❖ მესმენს რომელთა იტყუან
 წინასწარმეტყუტენნი, რათა წინასწარმეტყველებენ სახელითა ჩემი-
 კვ თა ცრუთა მეტყველნი, ვიხილე ძილი შინა ❖ ვიდრემდის ეოს
 გულისა შინა წინასწარმეტყველთასა, რომელნი წინასწარმეტყველებენ
 ცრუთა, დ წინასწარმეტყველებენ ნებათა გულისა მათისათა, რომელ-
 კზ ნი ივინებენ ❖ დავიწუებასა ერისა ჩემისაგან სახელისა ჩემისასა,
 ძილსა შინათა მათთა მიერ რომელთა მიუთსრობდა კაცადი მოყუ-
 კტ ჩემი ბაალის ძლით ❖ წინასწარმეტყველი რომლისა თანა ამს

¹⁾ ჰემ. კდ დ კთ.—²⁾ ზემ. ე, დ იდ.—³⁾ ჰემ. მ.

მ ძამათა თქუწნთა ჰირისაგან ჩემისა ❖ ¹⁾ ზ მივცე თქუწნ სუდა უწუდრება საუკუნო ზ უხატოება საუკუნო რომელი არ დავიწყებულ იქმნეს.

თ ა ვ ი კ ლ.

ბ და მიჩუწნნა უფალმან ორნი კიბტენი ლელჯსანი მდებარენი წინაჲ ჰირსა ტაძრისა უფლისასა, შემდგომად გარდასასწლებისა, ნაბუქოდონოსორისაგან მეფისა ბაბილონისა, იექონიასსა ძისა იოაკიმ მეფისა იუდასსა, ზ მთავართა იუდასთა, ზ კელოვანთა შემწირავთა ზ მდიდართა იერუსალიმით, ზ მთაუვანებისა მათისა ბაბილონად ❖ კიბტე ერთი ლელჯ ტკბილი ფრიად ვითარცა ლელჟნი მსთჟანი, ზ კიბტე სსჟა ლელჯ ჯერკჟალი ფრიად უჟამი ჯერკჟლევისაგან მისისა ❖ ზ თქუა უფალმან ჩემდამო, რასა ჰხედავ შენ იერემია, ზ ვთქუ ლელჟთა ზ ტკბილთა ლელჟთა ტკბილთა ფრიად ზ ჯერკჟალთა ლელჟთა ჯერკჟალთა ფრიად, რომელნი არა იჟამენ ჯერკჟლობისაგან მათისა ❖ ზ იქმნა სიტყვა უფლისა ჩემდამო მეტუწლი ❖ ამათ იტევს უფალი ღმერთი ისრაილისა, ვითარცა ლელჟნი ესე ტკბილნი, ეგრეთ დავემონო გარდასასწლებულთა იუდასთა, რომელნი განვაგლინე ადგილისა ამისგან ქუწყნად ქალდეველთად კეთილთათჳს ❖ ზ კვალად ვაგნე იგინი ქუწყნადვე ამად, ზ განვიმტკიცნე მათ სუდა თვალნი ჩემნი კეთილთათჳს, ზ აღვაშენე იგინი, ზ არ დავარდუნე, ზ დაწერგნე იგინი ზ არ მოფუხჳრნე ❖ ზ მივსცე მათ გული მცნობელი მათგან ჩემი ვითარმედ მე ვარ უფალი: ²⁾ ზ იუწენ ჩემდა ერად, ზ მე ვიყო მათდა ღმერთად, რამეთუ მოიქცენ ჩემდა ფლობითა გულისა მათისათა ❖ ³⁾ ზ ვითარცა ლელჟნი ჯერკჟალნი რომელნი არ იჟამებინა ჯერკჟლობისაგან მათისა, ამათ იტევს უფალი, ეგრეთ განვსცე სედეკია მეფე იუდასი, ზ დიდ დიდნი მისნი ზ ნემტი იერუსალიმისა, დაშთომილნი ქუწყანასა ამას შინა, ზ დაძვდრებულნი ეგჳტეს შინა ❖ ზ განვსცნე იგინი განსაბნეველად უოველთა მეფობათა ქუწყანისათა, ზ საიგავოდ, ზ სამუღელად, ზ სწუეგარად უოველსა შინა ადგილსა რომელსა განვაგრეგნე

1) ზებ. გ.—2) ზებ. გა.—3) ჰებ. გო.

გენი მუნ ❖ დ მივაფლინო მათდა მასული დ სიემილი, დ სიკუ-
დილი ვიდრე მოაკლდენ ქუჭყანისსაგან, რომელი მივეც მათ დ მამა-
თა მათთა.

თ ა ვ ი კი.

სიტყვა ქმნილი იერემიას მიმართ უოველსა ერსა ზედა წელსა
მეოთხესა იოაკიმისსა ძისა იოსიასსა მეფისა იუდაჲსა (ესე წელიწა-
დი ჰირველი ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისა ❖ სიტყვა)
რომელ თქუა იერემია წინასწარმეტყველმან უოველისა მიმართ ერ-
სა იუდაჲსსა, დ დამკვიდრებულთა მიმართ იერუსალიმისათა მეტ-
ყველმან ❖ მეათცამეტით წლითგან იოსია ძისა ამონისსა, მეფისა
იუდაისსა, დ ვიდრე დღისადმე ამის ოცსა დ სამსა წელსა იქნა
სიტყვა უფლისა ჩემდამო დ ვეტყოდე თქუწნდამი აღმსთობი დ მე-
ტყველი, დ არა ისმინეთ ❖ დ მიმავლინენ თქუწნდამი მონანი ჩე-
მნი წინასწარმეტყველნი, ცისკარს მივაფლენდ დ არა ისმინეთ დ არა
მოჰქუწნით ურნი თქუწნნი სმენად ❖ ¹⁾ დ ვთქუ მოიქეცით კაცადი
გზისაგან თჯისა ბოროტისა, დ ბოროტთაგან სიმარჯუწნთა
თქუწნთა, დ დამკვიდრენით ქუჭყანასა ზედა რომელი მივეც თქუწნ
დ მამათა თქუწნთა, საუკუნითგან დ ვიდრე საუკუნომდე ❖ დ ნუ
ზვალთ უკანა ღმერთთა უცხოთა მსახურებად მათდა დ თაყვანის ცე-
მად, რათა არა განმარისსოთ მე საქმეთა მიერ კელთა თქუწნთასა
განბოროტებად თქუწნდა ❖ დ არა ისმინეთ ჩემი, იტყუს უფალი,
რამეთუ განმარისესთ მე საქმეთა მიერ კელთა თქუწნთა განსაბო-
როტებულად თქუწნდა ❖ ამისთჯს ამათ იტყუს უფალი ძალთა, ვი-
ნათგან არა ირწმუნეთ სიტყვათა ჩემთა ❖ აჰა მე მივაფლენ დ მო-
უწოდ უოველთა ტომთა ბღვარისათა, იტყუს უფალი, დ ნაბუქოდო-
ნოსორ მეფე ბაბილონისა მონა ჩემი, დ მოვაწინე ივინი ქუჭყანასა
ამას ზედა, დ დამკვიდრებულთა ზედა მისთა, დ უოველთა ზედა ნათე-
სავთა გარემოისთა მისთა, დ მოვაოხრნე ივინი, დ მივსცნე ივინი
უჩინო საქმელად, დ სასტჯუნელად, დ საუჭუჭდრელად საუკუნოდ ❖

²⁾ დ წარვეწმიდო მათგან კმა სინარულისა, დ კმა შუჭბისა, კმა სი-

¹⁾ დ მეფ. ივ. ზემო ივ. ქვე. ჯგ. — ²⁾ გამოც. ივ.

მისა, ღ ვმა სძლისა, ღ ვმა საფქუჭლისა, ღ ნათელი ბაზმაკისა ✠
 ია ¹⁾ ღ იეოს ყოველი ესე ქუჭყანა განსაქარვებულად, ღ ჰმონებდენ
